## პარლამენტის თავმჯდომარე

# ადგილზე გაეცნო პრობლემებს



29 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ვალერი ჩხეიძეს შეხვდა. იგი ადგილზე გაეცნო ამ სამსახურში არსებულ ვითარებას და მიიღო ინფორმაცია მესაზღვრეთა წინაშე არსებული პრობლემების თაობაზე. პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად იყვნენ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების თავმჯდომარეები ირაკლი ბათიაშვილი და გაზა სიორიძე.

საქინფორმი.

## სახელმწიფო მინისტრი

# ენერგეტიკის სექტორში კონტროლი გამკაცრდება

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით ზამთრის პერიოდში ქვეყნის ელექტროენერგიით სტაბილურად მომარაგების ხელშესაწყობად შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ხელმძღვანელობს. 29 ოქტომბერს სახელმწიფო მინისტრთან გამართული კომისიის სხდომაზე სერიოზული შენიშვნები მიიღეს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ და სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა სოლომონ პაჭლიაშვილმა. როგორც ავთანდილ ჯორბენაძემ თქვა, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში ერთი თვის მანძილზე მაქსიმალურად არ გაიზრდება სახელმწიფო წილის მქონე საწარმოებიდან და ობიექტებიდან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღება, იგი ორივე მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს პრეზიდენტის წინაშე. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მასშტაბით მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღება მხოლოდ 28 პროცენტია.

კომისიის სხდომაზე სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ კორუფციის ყველაზე მაღალი სეგმენტი და დიდი პრობლემები გენერაციის ობიექტებში არსებობს, რომლებზეც ზედამხედველობა სათბობ-ენერგეტიკისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებს ეკისრებათ. ავთანდილ ჯორბენაძემ ამ უწყებათა ხელმძღვანელებს შესაბამისი საკადრო ცვლილებების განხორციელება დაავალა.

რაც შეეხება ელექტროენერგიის იმპორტს, კომისიის სხდომაზე ითქვა, რომ რუსეთისა და სომხეთის ენერგოსისტემების ხელმძღვანელებთან პრაქტიკულად მიღწეულია შეთანხმება. ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკება კომპანია „ეი-ი-ეს თელასთან", რომელიც, როგორც მიიჩნევენ, კონსტრუქციულად დასრულდება. სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტრომ მაქსიმალური მხარდაჭერის რეჟიმი უნდა შექმნას თელასის საქმიანობისათვის.

ავთანდილ ჯორბენაძემ განაცხადა, რომ კომისიის სხდომები კვირაში ერთხელ გაიმართება და ენერგეტიკის სექტორში მაქსიმალურად მკაცრი ღონისძიებები განხორციელდება.

საქინფორმი.

## ვიზიტის წინ

# გვეწვევიან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ექსპერტები

საქართველოს პარლამენტი უმასპინძლებს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ექსპერტთა ჯგუფს, რომლებიც 30 ოქტომბერს ვიზიტად ჩამოდიან საქართველოში.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ექსპერტების სამდღიანი ვიზიტის პროგრამა ფრიად დატვირთულია. ისინი შეხვდებიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანს თედო ჯაფარიძეს, აგრეთვე საგარეო საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების, თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრებს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრებს. დაგეგმილია შეხვედრები აგრეთვე საქართველოში აკრედიტებული საზღვარგარეთის დიპლომატიურ მისიათა ხელმძღვანელებთან.

საქინფორმი.

## საქართველო-რუსეთი

# კრიტიკა კონსერვატიზმისთვის

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე მხარს უჭერს რუსეთთან რეგულარული კონტაქტების დამყარებას ყველა დონეზე, რათა გამოიძებნოს შეხების წერტილები ურთიერთ ინტერესების განსაზღვრის მიზნით.

მოსკოვის გაზეთთან „ვრემია ნოვოსტეი" ინტერვიუში თედო ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ თბილისში ჯერჯერობით ვერ გაარკვიეს რაში გამოიხატება რუსეთის სტრატეგიული ინტერესები საქართველოსთან მიმართებაში.

მისი თქმით, უფრო პრაგმატულად თანამშრომლობის თვალსაზრისით ორი ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები მოქმედებენ, მაშინ, როცა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავი კონსერვატიული მხრიდან წარმოაჩინა.

თედო ჯაფარიძე თვლის, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ყოველმხრივ უნდა გაუმჯობესდეს, ამასთან, მან აღნიშნა, რომ ერთადერთი, რასაც საქართველო ვერ უღალატებს, არის დამოუკიდებლობა, თავისუფლება და დემოკრატიული განვითარების გზა.

პრაიმ-ნიუსი.


ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ..."

# საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №264 (4323) ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.



GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation


## სახელმწიფო ინტერესი

# ბუც ადგილზეა და არწივიც

ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა ბუნება შექმნა მეოთხე დღეს, ადამიანი კი — მეშვიდე დღეს. მაშასადამე, ჯერ გაჩნდა ბუნება, მერე კი ადამიანი. უბუნებოდ ადამიანის არსებობა წარმოუდგენელი გახლდათ. ეს მაშინ! ახლა? რატომღაც ახლა ჰგონიათ, რომ უბუნებოდ ადამიანი გაძლებს, იცოცხლებს. კონკრეტულად, ვის? ვის და ბორჯომის ხეობის ბინადრებს? ... მაცხოვრებლებს.

წლეულს, შარშანდელთან შედარებით, ბორჯომის ხეობაში უნებართვო სახერხებისა და სადურგლო სახელოსნოების რაოდენობა გაორმაგებულა. გესმით, — გაორმაგებულა! რეგიონში არსებულ ამ ტიპის საწარმოებს ქვეყანა ოფიციალურად ყოველწლიურად გამოუყოფს 500.000 კუბური მეტრს, მათ ნორმალურ, უფრო სწორად, მომგებიან მუშაობას კი სჭირდება 2.000.000 კუბური მეტრი.

ჰოდა, მიდის ბუნების ბარბაროსული განადგურება, ტყეების პირწმინდად ჭრა. ადიგენის ტყეებში თურმე მეწარმეები ღადიან არა ხეების საჭრელად, არამედ... საცელად. დიახ, ტყეებს სათიბებივით ცელავენ. სწორედ ასეთ ცელვას გამოუწვევია ის, რომ ბაკურიანი, ფაქტობრივად, უტყეოდ დარჩენილა. როგორ? როგორ და, — შეხედავ გარედან თითქოს ტყეა, შეხვალ შიგ და, — ტყე აღარაა. მეჩხერ კორომებში მავნებელი გაჩნდა, იქიდან ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში გადაიპარა და ფიჭვსა და წაბლს შეესია...

იხ. მე-2 გვ.

## დღეს — ხვალისათვის

# სპასოვკაში ჩასახლებულ აჭარლებს პრეზიდენტმა სახლები შეუძინა

ამას წინათ, საქართველოს რეგიონული განვითარების ინიციატივით მოწყობილი ღონისძიების მონაწილეებს, ორი დღის განმავლობაში, გულთბილი მასპინძლობა გაუწია ნინოწმინდის რაიონის ხელმძღვანელობამ.

დედაქალაქიდან სპეციალურად მივლინებულმა ენდოკრინოლოგ ექიმთა ჯგუფმა, ამ აქციის დროს, სოფელ სპასოვკისა და ნინოწმინდის ქართულ, სომხურ და რუსული სკოლების სამასამდე მოსწავლის ჯანმრთელობა შეისწავლეს და უფასო სამედიცინო გამოკვლევებიც ჩაუტარეს. სტუმრებმა საჭირო მედიკამენტებთან ერთად, დახმარების სახით, რაიონში იოდიზირებული მარილიც ჩაიტანეს.

აქცია სოფელ სპასოვკიდან დაიწყო, სადაც წლების მანძილზე ქართველი, სომეხი და დუხაბორი მოსახლეობა კეთილმეზობლურად ცხოვრობს. რაიონული ცენტრიდან 7 კილომეტრით დაშორებულ ამ სოფელში, 12 წლის წინათ ხულოს რაიონიდან სტიქიის შედეგად დაზარალებული 35 ოჯახი ჩამოასახლეს და მერაბ კოსტავას ფონდის მიერ შეძენილ 30 სახლში ჩაასახლეს. დღეისათვის ოჯახების რაოდენობამ უკვე ოთხმოცს გადააჭარბა და ამ ფონზე, ბუნებრივია, პრობლემებმაც იჩინა თავი, რომელთა დროულ მოგვარებას დიდად შეუწყო ხელი ქვეყნის პრეზიდენტმა. მისი ბრძანებულებით ეკოლოგიური მიგრანტებისათვის სახლების შესყიდვისათვის აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელება სპეციალურ სამთავრობო კომისიას დაევალა, რომელსაც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ვალერი ვადაჭკორია (ვაშაკიძე) ჩაუდგა სათავეში. გამოყოფილი 160 ათასი ლარით 11 სახლი შეისყიდეს, რომლითაც ამჯერად აჭარელთა 22 ოჯახი დაკმაყოფილდა.

იხ. მე-2 გვ.



ჩამოსახლებულ აჭარელთა ერთი ჯგუფი მათთვის ახლადშეძენილი სახლის წინ.

## გიხაროდენ!

# „დასტაქარში" 122 ბავშვი დაიბადა

დედოფლისწყაროს სააქციო საზოგადოების სამშობიარო სახლ — „დასტაქარში" (დირექტორი რევაზ კოპალიანი, მეან-გინეკოლოგიური განყოფილების გამგე ნოდარ ბოჭორიშვილი) პირველი იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით 122 ბავშვი დაიბადა. აღრიცხვაზეა კიდევ 195 ქალი. მეან-გინეკოლოგიურ განყოფილებაში ირინა ოგანესიანს მესამე შვილი გოგონა შეეძინა, იგი მომსახურე მედპერსონალის მადლიერია; დედოფლისწყაროში ახალშობილთა სიცოცხლე საიმედო ხელშია, გვაცნობა ჩვენმა კორესპონდენტმა ნანა ჭიჭინაძემ.



ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## ელჩი

# ვლადიმერ გუდევის გამოსამშვიდობებელი სტუმრობა საგარეო საქმეთა სამინისტროში

29 ოქტომბერს საქართველოში რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვლადიმერ გუდევი დასამშვიდობებლად ეწვია ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სადაც შეხვდა საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელს ირაკლი მენაღარიშვილსა და მის მოადგილეს მერაბ ანთაძეს.

— საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მე საშუალება მომეცა მენახა ადრეული ქრისტიანული კულტურის ძეგლები — იმ კულტურისა, რომელიც რუსეთში რამდენიმე საუკუნის შემდეგ შემოვიდა, — აღნიშნა ვლადიმერ გუდევმა ჟურნალისტებთან საუბრისას. მისივე განცხადებით, ბოლო დროს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ერთგვარად დაიძაბა, თუმცა მას დრამატული ხასიათი არასოდეს მიუღია.

რუსმა დიპლომატმა კიშინიოვში გამართული სამიტი საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასა.

კიშინიოვში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები შეთანხმდნენ მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა ძირითადი ნაწილი უკვე ხორციელდება. კერძოდ, ესენია, შეთანხმება საზღვრის დაცვის უწყებებსა და სამართალდაცვის ორგანოებს შორის, — განაცხადა ვლადიმერ გუდევმა.

იხ. მე-2 გვ.

ჯერ კიდევ 1997 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ კეთილი ნება გამოიჩინა, — მხარი აუბა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კამპანიას, — „საჩუქარი დედამიწას", — და დაცულად გამოაცხადა ქვეყნის ტერიტორიის 20 და ტყეების 15 პროცენტი. ეს გახლდათ უპრეცედენტო შემთხვევა ჩვენს უახლეს ისტორიაში. შანსი მოგვეცა 7 ეროვნული პარკის შექმნისა, რომლის მეოხებითაც შთამომავლობას ხელუხლებლად შემორჩება ჩვენი ფლორისა და ფაუნის უნიკალური მემკვიდრეობა.

## დეპეშა

# ლტოლვილთა შტაბი სახელმწიფო მინისტრს თანადგომას უცხადებს

იმ მრავალ წერილსა და კორესპონდენციას შორის, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი ყოველდღიურად იღებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, საყურადღებოა ზუგდიდიდან გამოგზავნილი დეპეშა, რომელშიც გადმოცემულია ამ ქალაქში დროებით მცხოვრები ათასობით ლტოლვილის გულისთქმა. დეპეშაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ზუგდიდში მცხოვრებ ლტოლვილებსა და ასევე ქალაქის მკვიდრ მოსახლეობას უაღრესად აღმფოთებთ „კარიერისტების გამოსვლები საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის წინააღმდეგ." დეპეშის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „ლტოლვილები კარიერისტებს თავად გასცემენ პასუხს." „თქვენი სახელმწიფო მინისტრად დანიშვნით საქართველოში დათბა. უკვე ნათელია შინაგან საქმეთა მინისტრის კარგი მუშაობა. ზუგდიდის მილიციის უფროსმა მამუკა შონიამ ურთიერთგადამტერებული ადამიანები შეარიგა... მრავალი ათასი ლტოლვილი ახლა იმედიანად არის და ლტოლვილთა შტაბი თანადგომას უდასტურებს სახელმწიფო მინისტრს.

საქინფორმი.

## სიტუაცია

# რკინიგზა მსუყე ლუკმაა...

**გუშინ საქართველოს რკინიგზის პრეს-ცენტრმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც კონკრეტულად ნათქვამია:**

საქართველოში ლამის ყველა ცდილობს დიდ პოლიტიკაში იყოს ჩართული. ზოგს გამოსდის ეს და ზოგსაც არა. ხალხი კი კარგად ხედავს იმას, თუ ვინ ვინ არის, ვინ ვის და რატომ ებრძვის, რა დგას ამა თუ იმ საინფორმაციო კამპანიის უკან. „60 წუთის" ბოლო გადაცემა, რომელიც საქართველოს რკინიგზის განსაქიქებლად გაკეთდა, ამ კლასიკური სქემის ნიმუშს წარმოადგენს. მაგრამ ეს არაა არსებითი, მთავარია ის, თუ ვის ინტერესებში შედის ერთი კერძო დავის მაყურებლისთვის სრულიად გაუკულმართებულად მიწოდება. ერთი ჟურნალისტი, ერთი ორგანო თუ ერთი ტელეკომპანია შეიძლება მოატყუო, ან დააინტერესო, ან აიძულო, მაგრამ ეს სრულებითაც არ ცვლის რეალურ მდგომარეობას. სიმართლე კი ასეთია: საერთაშორისო მასშტაბის აფერისტმა ალეკო მაღლაფერიძემ, რომელიც რუსეთიდან ეწვია საქართველოს და არა ამერიკიდან, როგორც ეს „60 წუთში" ითქვა, მოატყუა ათობით ადამიანი და როცა კანონიერად პასუხი მოსთხოვეს, შანტაჟით შეეცადა სახრავიც შერჩენოდა და სახელიც. ქართულმა მედიამ ამ პერსონის ნამდვილი სახე ცოტა ხნის წინათ გაშიფრა და ათობით წერილსა თუ ჟურნალისტურ გამოძიებაში მთელი მისი თაღლითობა ამხილა. იგი სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაულობებისათვის დღესაც იძებნება და ამ ფონზე მისი ხელახალი გამოჩენა არალოგიკურია, თუმცა, ბოლო დროს პოლიტიკური ინტრიგების გათვალისწინებით, სავსებით, — კანონზომიერი.

იხ. მე-2 გვ.

## ცესკოში

# ხელს გვიშლიან

ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელახალი გადათვლისას მიღებულ შედეგებს ვერა და ვერ ამტკიცებს. ამას წინათ ცესკო დაბეჯითებით აცხადებდა, ამ საკითხს უახლოეს დღეებში გადავწყვეტთო, მაგრამ როგორც ჩანს, ეს არც ისე იოლია. პარტიათა ნაწილი ნებისმიერ შემთხვევაში არჩევნების შედეგების იმ ხელახალი ოქმის გასაჩივრებას აპირებს, რომლის მიღებას ცესკო ამდენი ხანია გვპირდება. ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ლომინაძე:

*— ბატონო ჯუმბერ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა ის საჩივრები, რომელთა განხილვა მას სასამართლომ დაავალა. ამასთან დაკავშირებით, ცესკომ გადაწყვიტა, რომ კონკრეტული დარღვევა სერიოზული არ არის და არჩევნების საბოლოო შედეგებზე გავლენას არ ახდენს, მაგრამ ასე არ ფიქრობენ „სახალხოელები" და „სოციალისტები". ისინი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ამ გადაწყვეტილების კვლავ სასამართლოში გასაჩივრებით იმუქრებიან. მოტივია ამომრჩეველთა სიებზე ხელმოწერების არარსებობა, საუბნო-საარჩევნო კომისიების დაგვიანებით გახსნა და სხვა. მოკლედ, კარუსელი ისევ თავიდან ტრიალდება:*

— მინდა სიფრთხილე გამოვიჩინო, ვინაიდან ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვარ და ყოველი ჩემი სიტყვა სხვანაირად აღიქმება.

იხ. მე-2 გვ.

## ინფორმაცია

### სამშვიდობო ძალების ფორმატი შესაცვლელია

საქართველო მოითხოვს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის შეცვლას და გაფართოებას, განუცხადა პრაიმ-ნიუსს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ.

საქართველო ასევე მოითხოვს გაეროს ეგიდით შემუშავებულ თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის გეგმის რეალიზაციას, თქვა უშიშროების საბჭოს მდივანმა.

„მხოლოდ ამ გეგმის რეალიზაციის დაწყების შემდეგ დათანხმდება თბილისი საუბრის დაწყებას ეკონომიკურ საკითხებზე, კერძოდ, აფხაზეთში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე", თქვა თედო ჯაფარიძემ.

### საქმის შესწავლა 7 ნოემბრისათვის აქვთ დანიშნული

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს საზღვრის დარღვევისათვის 3-4 აგვისტოს დაკავებული 13 ჩეჩენის საქმის განხილვის დაწყება 7 ნოემბრისათვის აქვს დაგეგმილი.

ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ აცნობა.

მისი თქმით, საქმის საბოლოო შესწავლამდე გენპროკურატურას საქართველოში დარჩენილი 8 ჩეჩენის ექსტრადიცია შეჩერებული აქვს.

ამასთან, გაბრიჩიძის თქმით, ბრალდებულების საიდენტიფიკაციოდ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ რუსეთის შესაბამისი უწყებიდან დამატებითი დოკუმენტაცია გამოითხოვა.

გენპროკურორის მტკიცებით, მოსკოვში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით რუსეთის ექსტრადიციის პროცესის დაჩქარება არ მოუთხოვია.

### დიდი აბრეშუმის გზა საბაჟოთი იწყება

უზბეკეთის დედაქალაქში სამშაბათს მუშაობა დაამთავრა დიდ აბრეშუმის გზაზე მდებარე სახელმწიფოთა საბაჟო სამსახურების საერთაშორისო კონფერენციამ. აქ განიხილეს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის პრობლემები.

ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის გენერალური მდივანი მიშელ დანე და მსოფლიოს 27 ქვეყნის საბაჟო სამსახურების, მათ შორის საქართველოს, ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ინდოეთის, ნიდერლანდის, რუსეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთის, საფრანგეთის საბაჟო სამსახურების ხელმძღვანელები.

კონფერენციამ მიიღო შემაჯამებელი დოკუმენტები.

### წუხელ ევროპის სტადიონებზე

გაიმართა ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის I ჯგუფური ეტაპის V ტურის სასტარტო შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„E" ჯგუფი: „იუვენტუსი" — „ფეიენოორდი" 2:0, „ნიუკასლი" — „დინამო" (კიევი) 2:1.

„F" ჯგუფი: „ლევერკუზენი" — „ოლიმპიაკოსი" 2:0, „მაქაბი" — „მანჩესტერი" 3:0.

„G" ჯგუფი: „დეპორტივო" — „ბაიერნი" 2:1, „ლანსი" — „მილანი" 2:1.

„H" ჯგუფი: „ბრიუგე" — „ბარსელონა" 0:1, „გალათასარაი" — „ლოკომოტივი" 1:2.



ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

## ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| დაბლობში: | ღამით +5; | დღისით +13; |
| მთაში: | ღამით +2; | დღისით +8; |

**აღმოსავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| ბარში: | ღამით +7; | დღისით +15; |
| მთაში: | ღამით +2; | დღისით +7; |

**თბილისში**

უმეტესად ღრუბლიანი ამინდი, ღამით წვიმა. ღამით +7; დღისით +15.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

## ლარის კურსი

29 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.364 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.165 ლარი |
| ევრო | 1 | 2.1163 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0683 ლარი |

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

მყავს სამი შვილი, ვარ II ჯგუფის ინვალიდი. დანიშნული გვქონდა მარჩენალის პენსია და სოციალური (ოჯახური) დახმარება. ერთ-ერთი შვილი წელს გახდა სრულწლოვანი, მაგრამ არის სტუდენტი. გვეკუთვნის თუ არა სოციალური დახმარება?

ლალი რამიშვილი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სოციალური (ოჯახური) დახმარება ენიშნებათ იმ მარტოხელა უმუშევარ პენსიონერისგან შემდგარ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ მარტო, არ მუშაობენ, პენსიას იღებენ 14 ლარის ოდენობით თვეში და არ ჰყავთ კანონით ვალდებული მარჩენალი, ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

კარგად გვესმის თქვენი, სტუდენტს მშობლებისაგან დახმარება სჭირდება, მაგრამ ვინაიდან იგი სრულწლოვანი და შრომისუნარიანია, კანონის თანახმად ზემოაღნიშნული დახმარების მიღების უფლება, სამწუხაროდ, არა გაქვთ.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

## უკანასკნელ საათს



პალესტინის პარლამენტმა დაამტკიცა არაფატის მიერ შეთავაზებული ახალი მთავრობის შემადგენლობა. ახალი კაბინეტი 19 მინისტრისგან შედგება. ძველი მთავრობის ყველა საკვანძო ფიგურამ პოსტები შეინარჩუნა.



ავღანეთში უცნობი ავადმყოფობით 70 ბავშვი დაიღუპა. ამ ჯერჯერობით დაუდგენელი სენის ეპიდემიამ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით იფეთქა. ავადმყოფობის სიმპტომები ხუნაგისა და ყივანახველისას წააგავს.

## ინტერპანორამა

მექსიკაში ასამართლებენ არმიის გენერლებს, რომლებსაც ნარკომაფიასთან კავშირი ბრალდებათ. სამხედროებს, კერძოდ ადანაშაულებენ, რომ ისინი სამხედრო თვითმფრინავებს კოკაინისა და მარიხუანას გადასაზიდად იყენებდნენ, აგრეთვე უზრუნველყოფდნენ „დაზვერვას" და უსაფრთხოებას უმსხვილესი ნარკოკარტელისათვის.



ვიეტნამში დიდი ხანძრის შედეგად 48 კაცი დაიღუპა. 100-ზე მეტი კაცი დაშავდა. ხანძარმა იფეთქა ვიეტნამის სამხრეთში, ქალაქ ხოშიმინის საერთაშორისო სავაჭრო ცენტრში, იმ დროს შენობაში 700 კაცი იმყოფებოდა.



ევროპის საბჭო ცდილობს თავიდან აიცილოს რუსეთთან დიპლომატიური კრიზისი, რუსეთის ურთიერთობას დანიასთან, რომელიც ამჟამად ევროპის საბჭოს თავმჯდომარეა, სერიოზული ზიანი მიადგა მას შემდეგ, რაც დანიის ხელისუფლებამ არ აკრძალა ჩეჩენთა კონგრესი კოპენჰაგენში.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 264, ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი, 2002 წელი.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 28 ოქტომბერი ქ. თბილისი

**ივანე ჟულაკიმაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

[illegible]

ედუარდ შევარდნაძე.

## დღის — ხვალისათვის

### სპასოვკაში ჩასახლებულ აჭარლებს პრეზიდენტმა სახლები შეუძინა

(პირველი გვერდიდან)

[illegible] ...ვახეთის საკითხების კურატორის მაია სტეფნაძის უშუალო ხელშეწყობით სპასოვკელმა ნოდარ გორგაძემ იაპონური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გრანტი მოიპოვა. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე აღნიშნული ტექნიკით დღეს [illegible] ბელი ქარხანა. ამიერიდან სპასოვკელებს თავიანთი ნამატი პროდუქციის გასაღებაზე ფიქრიც აღარ დასჭირდებათ. ქარხანა მოსახლეობისაგან ადგილზე ჩაიბარებს აღნიშნულ პროდუქტს.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

## ელჩი

### ვლადიმერ გუდევის გამოსამშვიდობებელი სტუმრობა საგარეო საქმეთა სამინისტროში

(პირველი გვერდიდან)

როგორც მან თქვა, მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული რვა შეიარაღებული ჩეჩენის რუსეთისათვის გადაცემის თაობაზე.

ვლადიმერ გუდევის აზრით, მოსკოვში მომხდარი ტერორისტული აქტი ორივე ქვეყნის წინაშე აყენებს ამოცანას — გააღრმაონ და გააფართოონ თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლო მომავალში კი საქართველოში რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ვლადიმერ გუდევს წარმოშობით ქართველი დიპლომატი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი შეცვლის.

ვლადიმერ ჩხიკვიშვილის ბიოგრაფიული მონაცემები: დაიბადა 1948 წელს, საშუალო სკოლა დაამთავრა თბილისში, 1971 წელს დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი, 1983 წელს კი დიპლომატიური აკადემია. არის ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი. ფლობს ინგლისურ, ნორვეგიულ და გერმანულ ენებს. მუშაობდა ისლანდიის, ნორვეგიისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებში. 1999 წლიდან არის რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩრდილოეთ ამერიკის დეპარტამენტის დირექტორი. აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი. ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.

საქინფორმი.

## სიტუაცია

# რკინიგზა მსუყე ლუკმაა...

(პირველი გვერდიდან)

[illegible] ...არიან ალეკო მაღლაფერიძისთანა თაღლითები და ავანტიურისტები, რომლებიც პირადი გამორჩენის მიზნით ყველაფერს კადრულობენ. ასეთი ადამიანების მიმართ საქართველოს რკინიგზა და მისი ხელმძღვანელობა ყოველთვის პრინციპული იყო და იქნება.

ჩვენ პასუხს ვცემთ იმათ, ვინც ეს ბინძური კამპანია წამოიწყო და დაგეგმა. ამთავითვე ვიტყვით, რომ ეს არაა ის ძალა, ვისაც მხოლოდ ქართული რკინიგზის დასაკუთრება სურს, არსებითად ეს არის ძალა, რომელიც მთელი საქართველოს გაკონტროლებას ესწრაფვის. შევეცდებით ფაქტებით დავადასტუროთ ჩვენი მოსაზრებები:

„60 წუთის“ გადაცემას წინ უსწრებდა ინციდენტი „ლოკომოტივის“ სტადიონზე, სადაც მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან სტადიონის განათება და რუსეთ-საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი ჩაიშალა. ვერსია ბევრი იყო, თუმცაღა აშკარაა, რომ ვიღაცას ძალიან სურდა აკაკი ჩხაიძე ქვეყნის ხელმძღვანელობასთან „გაეშავებინა“, საქართველოს რკინიგზის თავკაცის, სამომავლოდ, ნეგატიური ფონი შეექმნა. „60 წუთში“ ამ ფონის გამყარება სცადეს.

[illegible] ...ფონი იყო ამ დასკვნისთვის. მიზანი გასაგებია, ვიღაცას ძალიან უნდა საქართველოს პრეზიდენტი დაარწმუნოს, რომ აშშ-ს ადმინისტრაცია აკაკი ჩხაიძეს პერსონა ნონ-გრატად განიხილავს. ასეთ შემთხვევაში, მისი მოშორება ადვილი იქნება. სინამდვილეში, არის პირიქით, — ამ ორიოდე თვის წინათ საქართველოში რკინიგზის ხელმძღვანელი აკაკი ჩხაიძე იმყოფებოდა ოკეანის გაღმა და მას აშშ-ის ადმინისტრაციაში მაღალი დონის მიღება მოუწყვეს. იგი შეხვდა ენერგეტიკის, ტრანსპორტის სფეროს მაღალი რანგის წარმომადგენლებს და საქართველოს პრეზიდენტის დიდი ავტორიტეტის წყალობით, ქართული რკინიგზისთვის, კავკასიური დერეფნის კონტექსტში, უმნიშვნელოვანეს შეთანხმებებს მიაღწია. სწორედ ამ შეთანხმებებში გახლავთ ძაღლის თავი დამარხული. სამეზობლოში ძალიან ბევრს არ მოეწონა ქართული რკინიგზისთვის უმნიშვნელოვანესი ტვირთების მოპოვება. ყველაზე მიუღებელი მათთვის აღმოჩნდა ავღანეთის მარშრუტის დაკარგვა, რომელიც, ექსპერტების განმარტებით, ბოლო დრომდე საეჭვო ტვირთების ტრანზიტის უმნიშვნელოვანეს რგოლად იყო გადაქცეული. ამერიკის მხარე ამ ტვირთების საქართველოს რკინიგზით გატარებით ცდილობს ალკვეთოს მსოფლიო ტერორიზმის ერთ-ერთი ძირითადი საფინანსო წყარო, — შემოსავლები ნარკოტიკების და იარაღის უკანონო ვაჭრობიდან. საუბარია მილიარდობით დოლარზე, რომელიც ვიღაცამ დაკარგა და, ცხადია, ეს „ვიღაცა“ ყველაფერს აკეთებს, რათა ეს არ დაუშვას. ყველაზე მარტივი გზა ამისკენ არის საქართველოს რკინიგზის ხელში ჩაგდება და ტვირთგადაზიდვებზე კონტროლის დაწესება. ამ კონტექსტში სტადიონის ინციდენტი და ტელეგადაცემა ერთი ჯაჭვის ორი რგოლია, რომლის უკან სამეზობლოსა თუ საერთაშორისო კრიმინალური კაპიტალის ინტერესები დგას.

ეს არის აკაკი ჩხაიძის და საქართველოს რკინიგზის წინააღმდეგ გაჩაღებული ბინძური კამპანიის თავი და ბოლო. გეოპოლიტიკურ თამაშებში ვიღაცამ წააგო და ამჯერად წყლის ამღვრევით ცდილობს „ღლავის“ დაჭერას, მაგრამ მათ რამდენიც არ უნდა იყეფონ, ქართული რკინიგზის ქარავანი კრიმინალთა ინტერესებს არ მოემსახურება.

* * *

გუშინ, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში მოეწყო აკაკი ჩხაიძის საგანგებო პრესკონფერენცია. მან აუღელვებლად, შეიძლება ითქვას, ოლიმპიური სიმშვიდით უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს, დაახლოებით ისევე ახსნა სიტუაცია, როგორც ეს რკინიგზის პრეს-ცენტრის განცხადებაშია გაანალიზებული და დაბეჯითებით გვთხოვა ჟურნალისტებს: შექმენით კომპეტენტური კომისია, ვინც გინდა შეიყვანეთ შიგ და კიდევ ერთხელ გამოიძიეთ საქართველოს რკინიგზის და მისი ხელმძღვანელობის „დანაშაულობები“. დაე, მე ვიყო მაგალითი, თუ დასასჯელი ვარ — საყოველთაო დასჯის, თუ უდანაშაულო ვარ, — საყოველთაო აღიარების.

ვაჟკაცური სიტყვაა, მაგრამ პრესკონფერენციაზე შეკრებილ ჟურნალისტებს გული დაგვწყდა, როცა ბატონმა აკაკი ჩხაიძემ არ უპასუხა (ვიმედოვნებ, დროებით!) ჩვენი სახელოვანი ფალავნის და პარლამენტის წევრის ლევან თედიაშვილის შეკითხვას, — გვითხარი, რომელი პოლიტიკური ძალა დგას ამ სიბინძურის უკან, ვის უნდა ამ მსუყე ლუკმის — რკინიგზის ხელში ჩაგდება და, მოზიდული თანხებით, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება?

თუმცაღა, აკაკი ჩხაიძემ რომც არ თქვას, ამ საიდუმლოებასაც მალე აეხდება ფარდა, რადგანაც, არ არსებობს დამალული, რომელიც „არა გაცხადდეს“...

პრესკონფერენციას თავისებური „რეზიუმე“ გაუკეთა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარემ ირაკლი წერეთელმა, რომელმაც განაცხადა: მე ოპოზიციაში ვუდგავარ დღევანდელ ხელისუფლებას, მაგრამ აქ მოვედი იმიტომ, რომ აკაკი ჩხაიძეს მხარი დავუჭირო, როგორც თავდადებულ პიროვნებას, ღირსეულ მეწარმეს და ქველმოქმედს... რაც შეეხება ჟურნალისტურ ცილისწამებებს და ადამიანების ზნეობრივად განადგურების ქართულ მეთოდებს, მანამ არაფერი გვეშველება, სანამ კანონს არ გავამკაცრებთ და მაბეზღარებს თუნდაც ისე არ დავაჯარიმებთ, მეორედ ცილისწამების სურვილი დაეკარგოთ...

სპარტაკ ძოწულია.

# თავად ხომ არ სჩადიან იმას, რასაც სხვას უკიჟინებენ?

მოკლედ, კატას რომ კუდი გადაუბრუნდება, აუცილებლად გენერალურმა პროკურატურამ უნდა გამოიძიოს. პარლამენტში ჩხუბი ატყდება, — გენერალური, პრესაში რაღაც დაიწერება, — გენერალური, ტელევიზიით გადაიცემა, — გენერალური... თან ლანძღავენ, თათხავენ, თან ისევ იმას აკითხავენ...

აგერ, კვირას პროგრამა „60 წუთმა“ რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე „ამხილა“. გუშინ კი ხუთი არასამთავრობო ორგანიზაცია („თავისუფლების ინსტიტუტის“ წინამძღოლობით) ისევ ამ საკითხზე სალაპარაკოდ საქართველოს გენერალურ პროკურატურას ეწვია. შეხვედრა ადრინდელივით (ჩეჩნების ექსტრადიცია გაიხსენეთ) დახურულ კარს მიღმა გაიმართა (პროკურატურას დასამალი არაფერი აქვს, მამ, არასამთავრობოები რაღას მალავენ და ჟურნალისტებს საათობით გარეთ რას აყურყუტებენ).

შეხვედრის შემდეგ **საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ** მოკლე კომენტარი გააკეთა. სატრანსპორტო პროკურატურაში, — თქვა მან, — ჯერ კიდევ შარშან, ივლისში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ბიზნესმენ ალეკო მაღლაფერიძის მიმართ, რომელსაც რკინიგზის დეპარტამენტი ედავება დაახლოებით 900 ათას დოლარს. იგი ამერიკაშია, დავუკავშირდით რამდენჯერმე, ვთხოვეთ ჩამოსვლა და ჩვენების მიცემა, მაგრამ ამაოდ. „60 წუთის“ გადაცემის შემდეგ, როცა ბრალდებები, პირიქით, ბატონ აკაკი ჩხაიძეს წაუყენეს, გენერალურმა პროკურატურამ საქმე თავის საგამოძიებო ნაწილში გადმოიტანა და გადაცემაში მოყვანილი ფაქტების შესწავლას შეუდგა. ეს პროცესი იქნება გამჭვირვალე, მასში, მონიტორინგის სახით, მონაწილეობას მიიღებენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები. შევისწავლით აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს მასალებსაც და არასამთავრობო ორგანიზაციების კომპრომატებსაც. საბოლოო შედეგებს საზოგადოება აუცილებლად შეიტყობს.

საინტერესოა, — არასამთავრობო ორგანიზაციების ასეთი გამმაგება, წამდაუწუმ გენერალურ პროკურატურაში მიხტომა, მავანისა და მავანისათვის ათასნაირი რაღაცის დაბრალება, თუნდაც მონიტორინგის სახით გამოძიების პროცესში ჩართვა, არ ითვლება ზეწოლად, ან ადამიანის უფლებათა დარღვევად? თავად ხომ არ სჩადიან იმას, რასაც სხვას უკიჟინებენ?

ბადრი იაშვილი.

## სუუამი

### დღის წესრიგშია ტერორიზმთან ბრძოლა

**29 ოქტომბერს ბაქოში დამთავრდა სუუამის (საქართველო, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, უკრაინა, მოლდოვა) რეგიონული გაერთიანების სამუშაო ჯგუფების შეხვედრა ტერორიზმთან, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან და ნარკოტიკების გავრცელების ბრძოლის საკითხებზე.** შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს გაერთიანების ფარგლებში, აგრეთვე სუუამსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობის სოციალური პროექტების შექმნასთან დაკავშირებული საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სასაზღვრო კონტროლის, ტერორიზმთან ბრძოლის, სატრანსპორტო დერეფნების უსაფრთხოების პრობლემებს და სხვ.

ბაქოს შეხვედრის ფარგლებში გაიმართა გაერთიანების წევრი ქვეყნების ექსპერტთა სესიები და კონსულტაციები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები.

საქინფორმი.

## ცესკოში

# ხელს გვიშლიან

(პირველი გვერდიდან)

მაინც უნდა ვთქვა: არის პარტიები, რომლებიც დაინტერესებული არიან ძველი საკრებულო დარჩეს და ახალი არ შეიკრიბოს. რა თქმა უნდა, დარღვევები და ხარვეზები იყო, იდეალური არჩევნების მოწყობა, ალბათ, მომავალშიც გაგვიჭირდება. მთავარია, ახლა გაცილებით ობიექტური ვიყოთ. არ შეიძლება ყველაფერს გამოვეკიდოთ.

განვიხილეთ ისეთი საჩივარი, სადაც ლაპარაკი იყო უბნის გვიან გახსნაზე. ამის გამო არჩევნებს ჩაშლილად ვერ გამოვაცხადებთ. იმიტომ, რომ მძიმე მდგომარეობა იყო, სამი დღით ადრე დავიწყეთ ბეჭდვა. ასეთი საჩივრები არ დავაკმაყოფილეთ, მივიჩნიეთ, რომ მსგავსი დარღვევები არჩევნების საბოლოო შედეგებზე გავლენას არ ახდენს. ბოლოს და ბოლოს, თუ გვინდა, რომ ახალი საკრებულო შეიკრიბოს, ამაზე საბოლოოდ უნდა შევთანხმდეთ, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, ზოგიერთი პარტიის ინტერესებში ეს არ შედის.

**— ისიც ითქვა, რომ ახალი ოქმის დამტკიცება ცესკოს გაუჭირდება, რადგანაც ერთიანი ოქმის დამტკიცებამდე მან თითოეული საუბნო-საარჩევნო კომისიების მონაცემები უნდა შეაჯამოს. უბნებზე მონაცემები კი თურმე არ არსებობს — ხელახალი გადათვლების დროს პარტიათა ხმები ისე შეჯამდა, მითითებული არ არის ის უბნები, სადაც პარტიებმა ეს ხმები მიიღესო. ამ ხარვეზის გასასწორებლად რა უნდა ქნათ?**

— ამ მხრივ ხარვეზი ნამდვილად არა გვაქვს. გარწმუნებთ, რომ ეს ეჭვები უსაფუძვლოა. მე თვითონ ვითვლიდი და ზუსტად ვიცი. ზოგიერთ ტომარაში რამდენიმე უბნის მასალა გაიბნა, შეიძლება ეჭვი ამიტომაც გაჩნდა. ყველაფერი უბნების მიხედვით არის დანომრილი.

**— და ბოლოს, 24 ნოემბერს მაჟორიტარული არჩევნები უნდა ჩატარდეს. ცესკო არის თუ არა ამისთვის მზად?**

— ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც სახელმწიფოს მმართველ სისტემას ქმნის, ასეთ პირობებში არ უნდა იყოს. ეს ეკადრება ჩვენს ქვეყანას? ერთი კვირაა შუქი არა გვაქვს. არ მუშაობს კომპიუტერი, ქსეროქსი, ტელეფონი. შაბათს სანთლის შუქზე ვისხედით. ვის არ ვთხოვე, ვემუდარე, არაფერმა არ გაჭრა. რაღა დარჩა 24 ნოემბრამდე? ფული კი ჯერ არ არის ჩარიცხული. ნებისმიერი არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად ორი რამ არის გადამწყვეტი: ნორმალური საარჩევნო კოდექსი და მუშაობისათვის შესაფერისი პირობები.

უსაუბრა მზია გელენავა.

## სახელმწიფო ინტერესი

(პირველი გვერდიდან)

ამას წინათ შეკრებილა ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივი აზრის დარბაზი, რომელსაც საგანგაშო წერილი უფრენია როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ორგანოებში, სამართალდამცავ თუ ბუნებისდამცავ სტრუქტურებში: — გვიშველეთ, თუ ასე გაგრძელდა ბორჯომის ტყეების გაჩანაგება, აღარც კურორტები გვექნება და აღარც მინერალური წყლებიო.

პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ყოვნდება. ამიტომ **ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის უშუალო ინიციატივითა და დახმარებით, სამველად უხმო საერთაშორისო ასოციაციას „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, რომლის პრეზიდენტიც გახლავთ ქალბატონი ნანული შევარდნაძე.** ზოგიერთმა შეიძლება თქვას, — აბა, სად ქალები და სად ტყეებიო. ნურას უკაცრავად! მსოფლიოს უამრავი ქვეყნის ტყეების გადარჩენაში უპირველესი სიტყვა თურმე სწორედ ქალებს უთქვამთ. ინდოეთში, მაგალითად, იქაური ტყეების დასაცავად აქციები დაუწყიათ ერთი ულარიბესი სოფლის ქალებს, რომელთა თაოსნობა მერე მთელ პლანეტას მოსდებია. თუ შანსი არის, ჩვენ რატომღა გავუშვათ ხელიდან?

იმ ორდღიანმა კონფერენციამ, რომელიც 25-26 ოქტომბერს გაიმართა ლიკანის სამთავრობო რეზიდენციაში, აშკარად აჩვენა ჩვენი ქალების დიდი შეშფოთებაც და ულევი ძალაც ამ მტკივნეული პრობლემის მოსაგვარებლად. საკითხი დაისვა მარტივად: — ქალია ყველა ოჯახში, ყველა სკოლაში, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ამ ორ კერაში ამ კუთხით ასპარეზიც დიდია და სამუშაოც ულევია. დიდსაც და პატარასაც საჭიროა შევაგნებინოთ: თუ არ იქნება ტყე, აღარ ვიქნებით ჩვენც!

**ჯერ კიდევ 1997 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ კეთილი ნება გამოიჩინა, — მხარი აუბა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კამპანიას, — „საჩუქარი დედამიწას“, — და დაცულად გამოაცხადა ქვეყნის ტერიტორიის 20 და ტყეების 15 პროცენტი. ეს გახლდათ უპრეცედენტო შემთხვევა ჩვენს უახლეს ისტორიაში. შანსი მოგვეცა 7 ეროვნული პარკის შექმნისა, რომლის მეოხებითაც შთამომავლობას ხელუხლებლად შემორჩება ჩვენი ფლორისა და ფაუნის უნიკალური მემკვიდრეობა.**

ყოველ ასეთ ინიციატივას, ცხადია, ფინანსური უზრუნველყოფაც სჭირდება. და აქ, როგორც იტყვიან, მხსნელად მოგვევლინა გერმანიის მთავრობა, რომელმაც ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შესაქმნელად უყოყმანოდ იკისრა 20 მილიონზე მეტი მარკის გამოყოფა. ჩვენნაირი ახლადფეხადგმული, გაჭირვებული ქვეყნისთვის ამხელა თანხის ჩუქება სულზე მისწრება გახლდათ და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საქართველოს წარმომადგენლობაც ყველაფერს აკეთებს ამ თანხის პატიოსანი და მიზნობრივი ხარჯვისათვის.

მე ახლა აქ უბრალოდ დავასახელებ სამ პროგრამას და თითოეულ მათგანზე გამოყოფილ თანხას: „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დაარსების პროგრამა“ (2.650.000 მარკა); „დამხმარე ზონის დასაქმების პროგრამა“ (5.000.000 მარკა); „კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა“ (7.500.000 მარკა)... ესაა არა მარტო ეროვნული პარკის აყვავება, არამედ მისი მიმდებარე 6 რაიონის მოსახლეობის მოლონიერება, — სკოლების აგება თუ გარემონტება, გზების გაყვანა თუ მოკირწყვლა, წყალსადენების მშენებლობა თუ რეაბილიტება...

პოდა, როცა უცხო ქვეყანა (უფრო უპრიანია ვიხმაროთ, მეგობარი ქვეყანა) ასე გეხმარება, პარკსაც გიშენებს და სოფელსაც გიშენებს, ამაგი არ უნდა დაუფასო? შენსავე მამულს არ უნდა მოუარო? არა! დაუცველ ტყეებს ვიღა ჩივის, შიგ ეროვნულ პარკშიც იწევენ. მხედველობაში არა მყავს ის მოსახლეობა, რომელიც ზამთარში შეშას ეძებს გასათბობად, ან ზაფხულში — თივას პირუტყვის გამოსაკვებად (ეს პრობლემები თანდათან მოწესრიგდება). ელაპარაკობ, როგორც ცხოველ-ფრინველის, ისე ხეტყის მუსუსებზე,

# ბუც ადგილზეა და არწივიც

რომლებიც ყველაფერს აკეთებენ საკუთარი ჯიბისა თუ ინტერესის დასაოკებლად.

როგორც კონფერენციის მონაწილეებს ეროვნული პარკის დირექტორმა ზვიად გოცირიძემ აუწყა, „არეულობამდე“ ამ ტერიტორიაზე 600-მდე ირემი ყოფილა. მერე ატყდა თოფის სროლა და ირმების რაოდენობა 30-მდე დაცემულა. ზოგი მოკლეს, ზოგი გადახვეწეს (არადა, თუ ირემი გადაიხვეწა, იგი უკან აღარ ბრუნდება). რაც ეროვნული პარკი დაარსდა და ტყეს პატრონი გამოუჩნდა, ირმების რაოდენობამ 70-ს გადააჭარბა. მატულობს სხვა გარეული ცხოველ-ფრინველიც, მაგრამ ეშმაკი ბევრს კიდევ არ ასვენებს. წლეულს, მაგალითად, პარკის საგუშაგოს უფროსი რეზო ქიმაძე კბილებამდე შეიარაღებულ ბრაკონიერებს გადააწყდა. მას იარაღის ტარების უფლება არა აქვს, ამიტომ ბრაკონიერებს მხარი აუარა და მათი ძაღლი დაიჭირა. თუმცა, წარმატება უმალ მარცხად იქცა. სროლა აუტეხეს და მწევარი გააშვებინეს. 79.000 ჰექტარი უკაეია ეროვნულ პარკს. როგორ უნდა მოუაროს ამხელა ტერიტორიას ოციოდე უიარაღო (ასევე, უხელფასო) მცველმა? იქაურობა უნდა დაიცვას თითოეული ჩვენგანის სინდისის ლობემ, და არა პარკის რკინის მესერმა.

ამის მიღწევა იოლი არ არის, მაგრამ მაინც უნდა შევძლოთ. შევძლოთ ყველგან და ყოველთვის ბუნების სიყვარულის ქადაგებით, ადამიანთა შეგნებაში ტყის პატივისცემის გრძნობის ჩანერგვით. კატასტროფა მოახლოვებულია. ტყის მაფიოზები, კონტრაბანდისტები კი თავიანთ საქმიანობას ისევ აგრძელებენ, პირიქით, ხალხს აქეთ უტევენ.

როგორც გაირკვა, საერთაშორისო ასოციაციას „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ კ ა რ გ ი გამოცდილება აქვს ბუნების დაცვის საკითხებზე მუშაობისა. მისი ნებისმიერი წარმომადგენელი, რუსუდან დარჩიაშვილი იყო ეს თუ ლიანა ნაკაიძე, როზიტა ფოცხიშვილი თუ კლარა სვანიძე, იზა ვეფხვაძე თუ ნინო მეტრეველი ამ საჭირბოროტო თემაზე საუბრობდა დიდი გულისტკივილით, დიდი აღელვებით. რაც ყველაზე მთავარია, თითოეული მათგანი შესაძლებლობის ფარგლებში იღებდა კონკრეტულ ვალდებულებას არა მარტო მოსახლეობის ეკოლოგიური განათლებისათვის, არამედ ჩვენი უნიკალური ტყეების პრაქტიკული გადარჩენისათვის.

მე პირადად, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი სიტყვას საქმედ აქცევენ. ეს რწმენა უფრო განმიმტკიცდა მას შემდეგ, რაც ასოციაციის წევრებმა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის (სადღეისოდ უკვე კავკასიის ოფისის) კოორდინატორებთან კახა თოლორდავასთან, კოტე ჯანდიერთან, ნუკრი სიხარულიძესთან და სხვებთან ერთად ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ფართო ფენების მობილიზებას არა მარტო ჯანსაღი საარსებო გარემოს შესანარჩუნებლად, არამედ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

კონფერენციაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ნინო ჩხობაძემ განაცხადა: **ეროვნული პარკების შექმნა სტრატეგიული მნიშვნელობით უტოლდება ნავთობსადენი და გაზსადენი მაგისტრალების მშენებლობას. როცა უცხო ქვეყნები ჩვენში დიდძალ ინვესტიციებს დააბანდებენ, ჩვენი ტერიტორიების დაცვაზეც იზრუნებენ.**

1951 წელს ლიკანის სამთავრობო რეზიდენციაში თურმე სტალინს ელოდნენ, იქაურობას აკრიალებდნენ. საბილიარდოში ერთ-ერთ დამლაგებელს ფაციფუცში ბუხრის თავიდან მარმარილოს ბუ გადმოვარდნია და გასტეხია. შეძრულა ბორჯომიც და თბილისიც. სასწრაფოდ მოუძებნიათ რესტავრატორები, საუკეთესო სპეციალისტები, ბუ გაუმთელებიათ და ისევ ბუხრის თავზე შემოუსკუპებიათ. ჩამოსულა სტალინი, ჯერ მისაღებში შებრძანებულა, მიუთვალიერებ-მოუთვალიერებია, სიტყვა არ დაუძრავს, მერე საბილიარდოში შესულა, ბუხრის თავზე შეუხედავს და უთქვამს: „აჰა, ბუ ადგილზეა“. ყველას პირი დაუღია, მაგრამ ვერავის შეუბედავს, საიდან იცით ამ ბუს ამბავიო...

უბრალოდ, ძალიან მინდა: როცა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ჩვენი შთამომავლობა შეიხედავს, მანაც დაღინჯებით თქვას: „აჰა, ბუც ადგილზეა და დათვიც, არწივიც და ირემიც“.... ასეთი სურვილი ვერ უნდა ავისრულოთ?

ბონდო გულიაშვილი.

## ზამთარი მოდის

# დავით ქურციკიძე: „ელექტროგადაცემის“ მეურნეობა ვერ გაუძლებს ენერგოდატვირთვებს“

ეს იმით იქნება გამოწვეული, რომ მკვეთრად გაიზრდება საქართველოს მოსახლეობის მიერ და, განსაკუთრებით, თბილისის მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიის მოხმარება. წლევანდელ შემოდგომა-ზამთრის პერიოდს „ელექტროგადაცემა“ პირველად ხვდება სრულიად მოუმზადებელი იმის გამო, რომ საჭირო სახსრები არა აქვს, — განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს სააქციო საზოგადოება „ელექტროგადაცემის“ ტექნიკურმა დირექტორმა დავით ქურციკიძემ.

— „ელექტროგადაცემის“ ძირითადი დებიტორია, — თქვა შემდეგ ბატონმა ქურციკიძემ, — საქართველოს საბითუმო ენერგობაზარი, რომლის ვალებმაც 100 მილიონ ლარს გადააჭარბა. უცხოელი მენეჯერის ბატონ სოლისის მუშაობამ დადებითი გავლენა ვერ მოახდინა საბითუმო ენერგობაზრის საქმიანობაზე. ახლახან გაერთიანებულმა სადისტრიბუტორო ენერგოკომპანიამ პირდაპირი ხელშეკრულება დაუდო „ელექტროგადაცემას“, მაგრამ ამანაც ვერ გააუმჯობესა „ელექტროგადაცემის“ ფინანსური მდგომარეობა, რადგან მოკლე პერიოდში კომპანიას უკვე ვალად დაედო რამდენიმე მილიონი ლარი, ყოველთვიურად კი იგი „ელექტროგადაცემას“ მხოლოდ 100 ათას ლარზე ოდნავ მეტს უხდის.

— განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის, — ხაზი გაუსვა დავით ქურციკიძემ, რომ ჩვენსა და სააქციო საზოგადოება „ეი-ი-ეს-თელასს“ შორის აპრილში დადებული ხელშეკრულება, რომლის თანახმად სტრატეგიულ ინვესტორს ჩვენგან განსაკუთრებული შეღავათი ეძლეოდა, კონკრეტულად კი „ეი-ი-ეს-თელასს“ ჩვენი კუთვნილი ვალი 3,2 მილიონი ლარი 20 წლის განმავლობაში გადაეხადა, ასევე არ სრულდება. სტრატეგიულ ინვესტორს არ სურს ყოველთვიურად ჩაგვირიცხოს ამ თანხის 0,5 პროცენტიც კი, რაც კონტრაქტით ეკისრება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უკეთეს მდგომარეობაში როდი არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დისპეტჩერიზაცია—2000“, სააქციო საზოგადოება „საქრუსეთენერგო“, აგრეთვე ქვეყნის ენერგოგენერაციის ობიექტები.

საქინფორმი.

### „ეი-ი-ესი“ „სიმენსს“ ადანაშაულებს

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულების თანახმად, შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის ამერიკული კომპანია „ეი-ი-ეს მტკვრის“ საკუთრებაში მყოფი თბილსრესის მე-10 ენერგობლოკის აფეთქების შედეგად მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის რაოდენობას და შესაბამის კომპენსაციებთან დაკავშირებულ საკითხებს.

„ეი-ი-ესი“ ავარიაში გერმანულ კომპანია „სიმენსს“ ადანაშაულებს, სიმენსის წარმომადგენლები კი ითხოვენ დამატებითი გამოძიების ჩატარებას და მასში საკუთარი სპეციალისტების ჩართვას.

აფეთქებისაგან დაზარალებული მოსახლეობა რამდენიმე მილიონი დოლარის გადახდას ითხოვს.

### კოდორის ხეობაში სიმშვიდეა

გაეროს მეთვალყურეთა მისიისა და კოლექტიური სამშვიდობო ძალების ერთობლივმა პატრულმა დაასრულა სამდღიანი მუშაობა კოდორის ხეობაში. პატრულის განცხადებით, კოდორის ხეობის ზემო ნაწილში მშვიდი სიტუაციაა. ხეობაში არ გამოუვლენიათ სხვა პირთა ყოფნის ფაქტი ან იარაღისა და საბრძოლო მასალების შევსების რაიმე ნიშანიც კი.

კოდორის ხეობის სამხრეთ ნაწილში პატრულს არ შეუმჩნევია რაიმე მზარდი სამხედრო აქტიურობა.

### კომპანიები მზად არიან

ორმა ნავთობმომპოვებელმა კომპანიამ „კანადურ-ბრიტანულმა“ „კანარგო-ნორიომ“ და „საქნავთობმა“ განაცხადეს, რომ მზად არიან მონაწილეობა მიიღონ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის ძიებასა და მოპოვებაში. ეს ორშაბათს საღამოს განაცხადა საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების რეგულირების სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი ითონიშვილმა მას შემდეგ, როცა გახსნა კონვერტები, რომლებშიც იყო ტენდერის მონაწილეთა განაცხადები.

ტენდერის პირობების თანახმად, აქ მათ უნდა განახორციელონ გეოლოგიური, გეოდეზიური და სხვა სახეობის სამუშაოები, გაბურღონ სულ ცოტა თითო ჭაბურღილი. ამასთან, მთელ ფინანსურ ხარჯებს ნავთობმომპოვებელი კომპანიები კისრულობენ.

დღეს საქართველოში ნავთობის მოპოვებაზე დასაქმებულია 1 ეროვნული და 5 ერთობლივი უცხოური კომპანია.

### ბანკს სახელი შეეცვალა

სააქციო საზოგადოება „აგრომრეწვბანკს“ სახელი შეეცვალა და ეწოდა „საქართველოს სახალხო ბანკი“. ეს ცვლილება კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს დადგენილების თანახმად განხორციელდა.

ამიერიდან „აგრომრეწვბანკის“ ვალდებულებებზე პასუხისმგებელია „საქართველოს სახალხო ბანკი“. ჯერჯერობით ბანკი ინარჩუნებს ძველ რეკვიზიტებს, კერძოდ, მისამართსა და ანგარიშებს ეროვნულ ბანკსა და უცხოეთის ბანკებში.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 264, ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი, 2002 წელი.

# გარდატეხა/ძირითადი კანონი

## უახლესი ისტორია

# ეს იყო უაღრესად შემოქმედებითი და აქტიური დიპლომატიის პერიოდი

### ნაწყვეტები ლეონიდ მლეჩინის წიგნიდან „საგარეო საქმეთა მინისტრები – რომანტიკოსები და ცინიკოსები“

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 261-263.

ბევრი რამ შეცვალა გორბაჩოვისა და რეიგანის რეიკიავიკის შეხვედრამ. ცნობილმა დიპლომატმა იური დუბინინმა გამოაქვეყნა თავისი მოგონებანი იმის შესახებ, თუ როგორ ჩაიარა ამ შეხვედრამ 1986 წლის ოქტომბერში. გორბაჩოვი ისლანდიის დედაქალაქში ჩავიდა ბირთვული იარაღის სრული განადგურების გრანდიოზული გეგმით, რასაც ამერიკელები არანაირად არ მოელოდნენ. მათ ეგონათ, ძველი იწილო-ბიწილო გაგრძელდებაო. გორბაჩოვი კი მოზეიმე სახით აცნობდა თავის გეგმას. მან წინადადება წამოაყენა, სანახევროდ შეემცირებინათ სტრატეგიული შეტევითი ბირთვული შეიარაღება; დათანხმდა ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების სრულ ლიკვიდაციას, ათას კილომეტრზე ნაკლები სიშორის რაკეტების რაოდენობის გაყინვას, რათა, დროთა განმავლობაში, შეთანხმებულიყვნენ ამ კლასის შეიარაღების სრული განადგურების თაობაზეც. და ბოლოს, გორბაჩოვმა ამერიკელებს შესთავაზა, დაეწყოთ მოლაპარაკება საცდელ ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტის შესახებ. ეს იყო ხუთი წლისათვის გაანგარიშებული პროგრამა, რომელსაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა სრული უარის თქმა ბირთვულ იარაღზე.

ამერიკის პრეზიდენტი არ იყო მზად ასეთი მასშტაბური წინადადებისათვის. რეიგანს დასჭირდა დრო, რათა მოთათბირებოდა სახელმწიფო მდივანს შულცს და ექსპერტებს. გორბაჩოვს სურდა, თავისი დათმობის სანაცვლოდ, რეიგანს ხელი აეღო სტრატეგიულ თავდაცვით ინიციატივაზე, ანუ კოსმოსში რაკეტსაწინაღო იარაღის შექმნის გეგმებზე. რეიგანის სამხედრო-კოსმოსური პროგრამა ნამდვილი ლახვარი იყო საბჭოთა სამხედროებისათვის. ისინი ხომ ამდენ წელიწადს ქმნიდნენ ბირთვულქობინიანი ბალისტიკური რაკეტების უზარმაზარ არსენალებს, რათა გაენადგურებინათ შეერთებული შტატები. ნუთუ, ამერიკელები ახლა შეძლებენ სულ უბრალოდ ჩამოყარონ ეს რაკეტები კოსმოსიდან, და მრავალი წლის შრომა წყლის ნაყვა გამოუვათ?

– ამდენი ხანია, გელოდებით, – მრავალმნიშვნელოვნად უთხრა გორბაჩოვმა რეიგანს, – როდის გადმოხვალთ დათმობებზე თქვენ.

რეიგანს არ სურდა, უარი ეთქვა თავის კოსმოსურ გეგმებზე. მან შესთავაზა, 1972 წელს დადებული რაკეტსაწინაღო თავდაცვის ხელშეკრულების ნაცვლად ხელი მოეწერათ ახალი დოკუმენტისათვის, რომელიც ნებას დართავდა, ეწარმოებინათ თუნდაც საკვლევი სამუშაოები თავდაცვითი კოსმოსური იარაღის შექმნის დარგში. აუცილებელი იყო გარანტიები იმ შემთხვევისათვის, თუ მეორე მხარეს ან რომელიღაც მანიაკს მოეპრიანებოდა, მიეყენებინა ბირთვული დარტყმა შეერთებული შტატებისათვის.

გორბაჩოვმა ამაზე უპასუხა:

– რაკი ჩვენ ბირთვული შეიარაღების ღრმა შემცირებას ვთანხმდებით, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მეორე მხარე არც თუ ფაქტობრივად, არამედ გულშიც კი არ მოინდომებს სტრატეგიული სტაბილურობის მერყევას. მამასადამე, დარწმუნებული უნდა ვიყოთ რაკეტსაწინაღო თავდაცვის ხელშეკრულების უვადო ხასიათში.

როდესაც მოლაპარაკება დასასრულს მიუახლოვდა, გორბაჩოვმა თქვა, რომ მზად არის დათანხმდეს ბირთვული ძალების უფრო მეტ შემცირებასაც, ოღონდ, რაკეტსაწინაღო თავდაცვის ხელშეკრულების ბედის განუსაზღვრელად. ამ შემცირებით მთელი სტრატეგია ინგრეოდა.

– ჩვენ საწყის პოზიციას ვუბრუნდებით და უნდა დავასრულოთ შეხვედრა, – გაშალა ხელი გორბაჩოვმა.

– გამოდის, რომ უშედეგოდ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს? – შეწუხებულმა თქვა რეიგანმა.

– ფაქტობრივად, ასე გამოდის, – დაუდასტურა გორბაჩოვმა.

მაგრამ, როდესაც გამოთხოვების დრო დადგა, მიხეილ სერგის ძემ ამერიკელებს შესთავაზა, ერთხანს შევისვენოთ, და გავაგრძელოთ შეხვედრა, რათა საგარეო საქმეთა მინისტრები შევარდნაძე და შულცი კიდევ შეეცადონ, ეგებ რაღაც მოიფიქრონო.

– ჩვენ ხომ გვაქვს უფლება, ცოტათი გავახანგრძლივოთ შეხვედრა, – რეზონულად შენიშნა გორბაჩოვმა.

საბჭოთა მხარის უკანასკნელი წინადადება ასეთი იყო. უახლოესი ხუთი წლის მანძილზე სტრატეგიული შეტევითი ძალები ორჯერ შემცირდება, ხოლო მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ორივე მხარე საერთოდ უარს იტყვის ასეთ იარაღზე. ამ ათი წლის განმავლობაში აშშ და სსრ კავშირი არ გადიან რაკეტსაწინაღო თავდაცვის ხელშეკრულებიდან. აკრძალულია რაკეტსაწინაღო თავდაცვის კოსმოსური ელემენტების გამოცდა, ნებადართულია მხოლოდ ლაბორატორიული გამოკვლევები და გამოცდები.

გორბაჩოვი რეიგანს ეუბნება:



– თუკი თქვენ ათი წლის შემდეგ მაინც მოინდომებთ, განაგრძოთ მუშაობა თქვენს სტრატეგიულ თავდაცვითი ინიციატივის პროგრამაზე, მაშინ ჩვენ შეგვეძლებთ, ეს ერთად განვიხილოთ. რა საჭიროა ახლა, წინასწარ გადავწყვიტოთ ეს საკითხი?

რეიგანმა კვლავ ითხოვა, შევისვენოთო. იგი შულცთან ერთად გავიდა, რათა მოეთათბირათ საბჭოთა წინადადების თაობაზე. ამერიკელებს კარგა ხანს გაუგრძელდათ დისკუსია. მოლაპარაკების ოთახში რომ დაბრუნდნენ, უკვე ბინდდებოდა.

ამერიკელებმა ორი შესწორება შეიტანეს. ერთთან დაკავშირებით იოლად გაერკვნენ და კომპრომისსაც მიაღწიეს. მეორე საკითხის საქმე კი უფრო რთულად იდგა. ამერიკელები გვთავაზობდნენ, ორივე მხარეს ჰქონოდა „უფლება, გაეგრძელებინათ რაკეტსაწინაღო თავდაცვის ხელშეკრულებით ნებადართული გამოკვლევები, სამუშაოები და გამოცდები“. განსხვავება ის იყო, რომ საბჭოთა დელეგაციას შესაძლებლად მიაჩნდა, ნებადართულად გამოეცხადებინა მხოლოდ ლაბორატორიული სამუშაოები, რომლებიც საშიშროებას არ წარმოადგენდნენ, – კოსმოსში პრაქტიკული გამოცდის განუხორციელებლად ასეთ იარაღს ვერ შექმნი.

გორბაჩოვმა მაშინვე იკითხა:

– თქვენი ფორმულიდან გაქრა ლაბორატორიული გამოკვლევების ხსენება. ეს შეგნებულად გააკეთეთ?

– დიახ, შეგნებულად, – უპასუხა რეიგანმა. – მერედა, რა?

– ეს მე ძალიან მაფიქრებს, – აუხსნა თავისი პოზიცია გორბაჩოვმა. – ეს ფორმულირება ერთ-ერთ მხარეს აძლევს შესაძლებლობას, აწარმოოს აღნიშნული სამუშაოები და, ამასთანავე, ამტკიცოს, ხელშეკრულება სულ არ ირღვევაო. იქმნება უთანასწორო სიტუაცია, რომელიც აუარესებს ერთ-ერთი მხარის უშიშროებას. ჩვენ ვერ ამოვიღებთ ხელშეკრულებიდან დაზუსტებას, რომ გამოცდები ლაბორატორიული პირობებით უნდა შემოიფარგლებოდეს.

– თქვენ მინგრევთ ყველა ხიდს ჩემი სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამის გაგრძელებისაკენ, – თქვა რეიგანმა. – მე ვერ დავთანხმდები ისეთი ხასიათის შეზღუდვებს, როგორსაც თქვენ მოითხოვთ.

გორბაჩოვი ისევ ისე, უდრეკად იდგა თავის პოზიციაზე:

– თუ ლაბორატორიების მიმართ ეს თქვენი საბოლოო პოზიციაა, მაშინ ჩვენ მართლაც შეგვიძლია, დავამთავროთ ჩვენი შეხვედრა.

– დიახ, საბოლოოა, – დაუდასტურა რეიგანმა. – მაგრამ, ნუთუ მთელ ტექსტში ერთი სიტყვის გულისათვის თქვენ უარყოფთ მორიგების ისტორიულ შესაძლებლობას?

– აქ მთავარია არა სიტყვა, არამედ პრინციპი. ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმას, რომ პერიოდში, როდესაც ბირთვული შეიარაღება შემცირდება, შეერთებული შტატები აფართოებდეს სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივას და ამ პროგრამით გადიოდეს კოსმოსში.

რეიგანმა ბოლო არგუმენტი მოიშველია:

– მე მაინც გთხოვთ, შეიცვალოთ თვალსაზრისი, გააკეთოთ ეს ჩემი ხათრით, რათა პირნათელნი გავიდეთ ადამიანებთან, როგორც მშვიდობისმყოფელები.

– დათანხმდით კოსმოსში გამოცდის აკრძალვას, – თავისას არ იშლიდა გორბაჩოვი. – რაღაც სხვას ჩვენ ვერ დავთანხმდებით. რაზეც შეგვეძლო, იმაზე უკვე დაგთანხმდით. თქვენგან საყვედური არ გვეთქმის.

– სამწუხაროა, რომ ჩვენ ასე ვშორდებით ერთმანეთს, – გულწრფელად შეწუხდა რეიგანი.

– მეც ასევე მწყდება გული, – უპასუხა ღრმად იმედგაცრუებულმა გორბაჩოვმა, რომელსაც ეგონა, რომ წარმატება განაღდებული ჰქონდათ. – მე გულით მეწადა მორიგება და ამისათვის ყველაფერი ვიღონე, რაც შემეძლო, თუ უფრო მეტი არა.




### დაკარგული ტანკები

პრაქტიკული შედეგის მიღწევა რეიკიავიკში ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, რეიგანმა, როგორც ჩანს, ირწმუნა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში ძირეული გადატრიალების შესაძლებლობა. ალბათ, მართლაც შეუძლებელი იყო, ერთი ხელის დაკვრით გადაეწყვიტათ ყველა სამხედრო-სტრატეგიული საკითხი. მაგრამ ამ შეხვედრამ შეუქმნა საფუძველი შემდგომ მოლაპარაკებებს. ისინი ძალზე რთული აღმოჩნდა, რადგან შევარდნაძეს უნდა შეეპირებინა არა მარტო ამერიკელების, არამედ, აგრეთვე, საბჭოთა სამხედროების მხარდაჭერა. ხოლო სამხედროებთან ზოგჯერ გაცილებით უფრო ჭირდა შეთანხმება... შევარდნაძეს თავიდანვე გამოუჩნდნენ მოსკოვში გავლენიანი ოპონენტები, თანაც, არა მარტო თავდაცვის სამინისტროში, არამედ საკუთარ უწყებაშიც.

მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი კორნიენკო გრომიკოს ძველი გეზის მომხრე იყო. კორნიენკო მრისხანე ნართაულებით ლაპარაკობდა, არიან ადამიანები, რომლებიც ჩვენი უშიშროებისათვის საშიშ წინადადებებს აყენებენ და ასეთი ადამიანები პასუხისგებაში უნდა მიეცნენო. მას კვერს უკრავდა გენერალური შტაბის უფროსი, მარშალი ახრომეევი, რომელიც იხსენებდა ხრუშჩოვის მცდარ გადაწყვეტილებებს შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ, და ამბობდა, გენერალური შტაბი შეწყვეტს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობას, თუ დიპლომატები ქვეყნისათვის საშიშ გეზს განაგრძობენო.

კორნიენკოს პრობლემა თავად გორბაჩოვმა გადაწყვიტა. სხვა რომ არაფერი, მას არ მოეწონა, რომ ჟენევაში რეიგანთან გამართულ პირველ მოლაპარაკებაზე კორნიენკო ხშირად ერეოდა საუბარში, იერიში მიჰქონდა ამერიკელებზე და გორბაჩოვი ამ დროს, უნებლიეთ, მაყურებელი ხდებოდა. ეს როლი მას ხელს არ აძლევდა. გორბაჩოვმა გიორგი კორნიენკო სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატში გადაიყვანა საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველ მოადგილედ. ფორმალურად, ეს დაწინაურებად ითვლებოდა, მაგრამ სინამდვილეში პრაქტიკული დიპლომატიისაგან ჩამოცილებას ნიშნავდა.

თარგმნა **არჩილ მანჯგალაძემ.**

(გაგრძელება იქნება).

## სახელმწიფოებრიობა

### წერილი მეთერთმეტე

# ფიქრები საქართველოს კონსტიტუციაზე

### ესსეისტური ჩანაწერები




## ბაზალეთის ტრაგედიის „საპროსპექტო“ სცენარი თუ ეროვნული თანხმობა?

**უმთავრესი** სულისკვეთება რუსი აკადემიკოსების წერილისა გახლდათ ის, რომ საბჭოთა ცენტრალიზებული დაგეგმვისა და განაწილების სისტემა ძარცვავს და ანადგურებს პირველ რიგში რუსეთის ეროვნულ სიმდიდრეს (ნავთობ-გაზის კომპლექსი, წიაღისეული, ტყე, ხორბალი, სხვა სიმდიდრეები), ხოლო შედეგის მითვისება ხდება „კოლექტიურად“ და ძირითადად ნაციონალური რესპუბლიკების სასარგებლოდ. რომ რუსი ადამიანი ამ უზარმაზარ სივრცეში და ასეთი სიმდიდრის პირობებში ცხოვრობს თითქმის XIX საუკუნის დონეზე, ხოლო საქართველოში, უზბეკეთში და სხვა რესპუბლიკებში გაჩნდნენ არაოფიციალური მილიონერები, რომლებიც პარაზიტული ცხოვრების წესით ახერხებენ სლავური დოვლათის მისაკუთრებას (ნეტავ დღეს როგორღა არის? დღეს ვის ხელშია რუსეთის ეროვნული სიმდიდრე?)

მკითხველებს ახსოვთ ე.წ. „ციმბირის ტალღა“ რუსულ მხატვრულ ლიტერატურაში – ასტაფიევი, რასპუტინი და სხვები, რომელთაც სწორედ რომ ამ თემატიკაზე დაწერეს მხატვრულად მდარე ხარისხის, მაგრამ პუბლიცისტურად ძალზე მწვავე ნაწარმოებები. მიუხედავად ყველაფრისა, მათ მიეწერათ რუსული პატრიოტიზმის გამოღვიძების ხანის დაწყება და ბევრი მათგანის მოღვაწეობა უმაღლესი ლიტერატურული პრემიებითა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებებით აღინიშნა.

პოლიტიკაში ამ „გამოღვიძების“ ნიშანი იყო ბრეჟნევის 18-წლიანი მმართველობის „ანდროპოვურით“ შეცვლა, რომელმაც ჩკ-ს მხარდაჭერით, მიუხედავად პოლიტბიუროს უხუცეს წევრთა წინააღმდეგობისა, მაინც შესძლო ჯერ მთავარი იდეოლოგი სუსლოვი შეეცვალა, ხოლო შემდგომ თვით ბრეჟნევი და დაიწყო „რუსული შოვინიზმის“ ზეიმი. თავს არ შევაწყენთ ანდროპოვის (სხვათა შორის, ჩრდილოეთ კავკასიური წარმოშობის ბერძენი?!) მიერ ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯების ანალიზით, მით უფრო მან ვერ მოასწრო მეორე ნაბიჯის გადადგმა და ეს ცდაც რუსული იმპერიის აღზევებისა, დარჩა ოცნებების სფეროში. დანარჩენი მკითხველს კარგად მოეხსენება, მაგრამ ერთს კი ვიტყვი – ელცინის ავანტიურაც (ისიც ციმბირელია, არარუსი მეუღლითურთ) მთლიანად ამ საფუძველზე აღმოცენდა და სწორედ „დაჩაგრული რუსეთის“ იდეოლოგიაზე გათელით გახდა ელცინი სლავურ მოსახლეობაში პოპულარული.

რუსეთის „ახალი მხსნელი“ სწორედ სსრკ მთავრობის გაუქმებას მოითხოვდა, რადგან მისი თქმით და ამის მომსწრე პირადად გახლავართ „გოსპლანი“ და „გოსსნაბის“ არსებობა განაპირობებდა რუსული ბუნებრივი რესურსების მტაცებლური განაწილების მექანიზმის არსებობას სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სასარგებლოდ. გორბაჩოვმა სცადა ოდნავ შეერბილებინა ეს ვითარება და 1988 წლიდან ფასები ძირითად სანედლეულო რესურსებზე არაპარიტეტულად გაზარდა – აამაღლა ფასები იმ ნედლეულზე, რომელსაც რუსეთის ტერიტორიაზე მოიპოვებდნენ. ამასთან ფასების აწევა არ შეეხო პროდუქციის ფასებს. უნდა იცოდეთ, რომ სწორედ ამ ღონისძიებამ არია ქვეყანა. ფასების ცალმხრივმა გაზრდამ თავი ერთი ციკლის შემდეგ მწვავედ იჩინა, ამაღლდა პროდუქციის თვითღირებულება, შემცირდა მოგება, ისტორიაში პირველად მძიმედ აჭრიალდა მყარი საბჭოთა ბიუჯეტი და ა.შ. ასე ჩაიშალა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური ბერკეტებით „დაჩაგვრის“ გეგმაც. მაშინ ამ ხიდის მამები უკვე ხმამაღლა და ძირითადად ელცინის და მისი გუნდის წევრების პირით ალაპარაკდნენ ცენტრალური დაგეგმვის სისტემის შეცვლაზე. ამას რა შედეგებიც მოჰყვა, თქვენც კარგად იცით, მაგრამ... 1991 წლის აგვისტოს „პუტჩის“ შემდეგ სსრკ „სსშ“-დ (სოიუზ სუვერენნიხ გოსუდარსტვ) გადაკეთდა და პირველ ლიდერად საბჭოურ სივრცეში ფაქტობრივად ელცინი იქცა. ამ უკანასკნელმა მიაღწია სანუკვარ მიზანს და მაშინათვე გააუქმა, უფრო ზუსტი იქნება ვთქვათ, გარეკა რიჟკოვის მთავრობა, ხოლო „სსშ“-ს და რუსეთის ფედერაციის მთავრობის სათავეში სილაევი ჩაუყენა.

გორბაჩოვი ჯერ კიდევ პრეზიდენტია, და გარკვეულ ბერკეტებს აშშ-ს და საერთაშორისო მხარდაჭერის წყალობით ინარჩუნებს. ამასთან არა მარტო უზრუნველყოფს წონასწორობას, არამედ ცდილობს ძველი სსრკ-დან საერთაშორისო დაწოლის შედეგად ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მოწყვეტის შემდეგ (1991 წლის 2 სექტემბერი) გარკვეულწილად აღადგინოს ძველი მდგომარეობა, არ დაუშვას შემდგომი რღვევა.

**ამ თამაშში საქართველო არც ერთ მხარეს არ მონაწილეობს, არც ელცინს უჭერს მხარს და არც გორბაჩოვს ცნობს. უფრო მეტიც, „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე“ (1991 წლის აპრილი) დაყრდნობით მხოლოდ საქართველო არ შევიდა „სსშ“-ს შემადგენლობაში, რასაც შედეგად მოჰყვა მკაცრი ზომების მიღება. გაიხსენეთ სპეცსამსახურების მიერ კარგად დამუშავებული აქცია თბილისში 1991 წლის 2 სექტემბერს და შემდეგ კ. ასათიანის „რბილი“ გამოსვლა „სსშ“-ს დამფუძნებელ ყრილობაზე მოსკოვში (3-5 სექტემბერი, 1999 წელი). ბევრს ახსოვს მის გამოსვლებში „კვებეკის ეფექტის“ ლიხაჩოვის „კულტუროგენური ეფექტით“ შეცვლა.**

ამ პერიოდში (1991 წელი, ოქტომბერი) მ. გორბაჩოვი უკან იბრუნებს „ნებაყოფლობით გადმდგარ“ ძველ მეგობარს ე. შევარდნაძეს – საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში (ამჯერად საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროს ფუნქციების შეთავსებით) და ცდილობს მომძლავრებას. ეს იდილიაც სულ რამდენიმე დღეს გაგრძელდა.

**გორბაჩოვ-შევარდნაძის პირველ ძლიერ შემოტევას ელცინმა „ბელოვეჟის ეფექტით“ უპასუხა და ორ სლავ თანამოაზრესთან (უკრაინელი კრავჩუკი და ბელორუსი შუშკევიჩი) ერთად ცხელ რუსულ აბანოში ზეწრებ მოხვეულებმა დამალეს „სსშ“-ც.**

ასე რომ, ჩვენ, რეფორმატორთა კავშირის ფუძემდებლები ჯერ კიდევ მაშინ – 1992 წელს ხალხს ვეუბნებოდით ხმამაღლა – სსრკ დაიმალა აგვისტოს პუტჩის შედეგად, რომელიც დაიწყეს – „გეკაჩეპისტებმა“ და გამარჯვება ელცინს დარჩა, რომლის გვერდით ბარიკადებზე ე. შევარდნაძეც აღმოჩნდა.

– შეიქმნა „სსშ“ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გარეშე (საერთაშორისო ჩარევის შედეგად და აშშ-ს და ევროკავშირის მხარდაჭერით), ხოლო საქართველომ საკუთარი აქტის საფუძველზე უარი განაცხადა სსშ-ში შესვლაზე. საქართველოს ეს ნაბიჯი მაშინ არ შედიოდა დიდი ქვეყნების ინტერესებში და მათი მხარდაჭერა ახალგაზრდა ქვეყნისადმი არ ჩანდა.

– „სსშ“-ს პრეზიდენტად გორბაჩოვის შენარჩუნებამ „ცენტრისკენულ ძალებს“ (რბილად რომ ვთქვათ) მისცა საშუალება დაემუშავებინათ კიდევ ერთი მზაკვრული გეგმა „ურჩი საქართველოს“ და არა ურჩი „ჩეჩნეთის“ დასასჯელად. დამსჯელ ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად დაიწყო „ჩრდილოეთ კავკასიური ძალების“ მობილიზება.

არც ელცინი იჯდა გულხელდაკრეფილი – 7-8 დეკემბერს მან სამი სლავური რესპუბლიკის მხარდაჭერით (ნაზარბაევი მინსკისკენ მიმავალ გზაზე მოსკოვში შეჩერდა და მ. გორბაჩოვთან შეხვედრის შემდეგ არ ჩავიდა „აბანოში“ შეხვედრაზე). ამას მოჰყვა ალმა-ატის სამიტი ცენტრალური აზიის რესპუბლიკების ლიდერებთან ერთად (1991 წლის 21 დეკემბერი), რომელზეც საბოლოოდ დაიმარხა „სსშ“-ს და „სსრკ“-ს იდეა. ეს ფორმალურად, დოკუმენტურად და ფაქტობრივად კი ეს მოხდა 30 დეკემბერს უკვე მინსკში, ყველა 12 ქვეყნის მონაწილეობით. გორბაჩოვი და მისი მომხრეები მაინც ხავსს ებღაუჭებოდნენ და ჩქარობდნენ – „ურჩების“ დასჯის გაკვეთილები საქართველოს მაგალითზე ეჩვენებინათ ყველა გამქცევისათვის. და დაიწყო საქართველოს ხელისუფლებაზე მძლავრი სადეკემბრო შეტევების ტალღა, რომელშიც უკვე ყველა ძალა ჩაერთო – როგორც ქვეყნის გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით. განსაკუთრებული სიყოჩაღით ქართველები გამოირჩეოდნენ.

**22 დეკემბერს ქ. თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე გავარდა ტყვია, დაიწყო ძველი „ბაზალეთის“ ახალი „საპროსპექტო“ სცენარი. ვიტყვი აქედანვე – ქართულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ძალებმა და აზროვნებამ ვერ შესძლო თუნდაც ერთი კვირით შეენარჩუნებინა მშვიდობა – „დამკვეთი ჩქარობდა“, შემსრულებლები ხარობდნენ. დაიწყო საქართველოს დანგრევა, 30 დეკემბერს ქ. მინსკში საბოლოოდ დაიმალა „სსშ“-ც. მანამდე 25 დეკემბერს ელცინმა კრემლიდან ოფიციალურად გაისტუმრა მ. გორბაჩოვი და მისი მთავრობა, ჩამოართვა რა მას კრემლისა და „ატომური ღილაკის“ გასაღებები...** ეს ისეთი თემებია, მართლაც ღირს ამაზე ცალკე წერილების გამოქვეყნება. მე ხომ ბედმა მარგუნა ვყოფილიყავი ზოგიერთი ისტორიული ფაქტის უშუალო მხილველი და მონაწილე.

უკვე 1992 წლის გაზაფხულზე ჩვენ ველაპარაკებოდით ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, არჩილ ჯორჯაძის და სხვა ქართველ მოღვაწეთა სატკივარზე, რომელთაც ზუსტად განჭვრიტეს 1918-21 წლების დამოუკიდებელი საქართველოს ბედი და მოუწოდეს საზოგადოებას ეროვნული თანხმობისაკენ, ერთიან, ქართულ ნიადაგზე დაყრდნობით. ეს მაშინ არ იქნა შესმენილი და შედეგებიც კარგად არის ცნობილი.

XX საუკუნის დასაწყისში და 90 წლის შემდეგ, იმავე საუკუნის ბოლოს, იგივე სცენარი გამეორდა. გარეშე დაწოლის შედეგად შიდა მოღალატურმა ძალებმა დაამხეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

ჩვენ, რეფორმატორთა კავშირის დამფუძნებლები გამოსავალს საერთო ეროვნული თანხმობის მიღწევაში ვხედავდით. პირველ რიგში საჭირო იყო ჩრდილში მყოფი ჯანსაღი ძალების აქტიურ ასპარეზზე გამოხმობა; იმათი, ვინც კი არ დაანგრია, არამედ ააშენა საქართველო, შეინარჩუნა წესიერება და პატიოსნება, შერწყმული მაღალ პროფესიონალიზმთან. ჩვენი კავშირის წევრებს ახსოვთ ამ ადამიანთა პირველი შეკრებები მეცნიერებათა აკადემიაში, „სოფლმშენის“ სააქტო დარბაზში, ქადრაკის სასახლეში, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში, მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში და აკადემიის პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში, ჟურნალისტთა ფედერაციაში, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში და ასე, საქართველოს ბევრ რაიონსა და ქალაქში, ბოლოს რუსთაველის სახელმწიფო თეატრის დარბაზში. ალბათ ახსოვთ ჭეშმარიტად დიდ მამულიშვილთა სახეები და მათი სიტყვები.

**მიუხედავად ამისა მაინც იმარჯვა ძველი ცენტრიდან მართულმა დესტრუქციულმა ძალამ და 1992 წლის აგვისტოში საქართველო ჩათრეული აღმოჩნდა აფხაზეთის ავანტიურაში. ამას კი სხვა მიზეზები და მექანიზმები მართავდა. რუსული შოვინისტური აზრი თავისი მრავალწლიანი დიქტატურის მსხვერპლში მთავარ დამნაშავეს არა ადგილობრივი წარმოშობის მოღვაწეებში, არამედ კავკასიაში „ეძებდა“ და „იპოვა“ კიდეც რუსეთიდან „საქართველოს მეთაურად“ გადმოსულ ქართველში და ყველა „ბოღმა“ ჩვენ გადმოგვატეხა...** საქართველოს რეფორმატორთა კავშირსა შეწყვიტა ყოველგვარი პოლიტიკური შეკრებები და ჩაება ამ საბედისწერო ქარცეცხლში. ძირითადად ჩვენ მაშველ სამუშაოებში ვიყავით ჩაბმული – ხან დაჭრილებს ვეხმარებოდით, ხან ფინანსებს ვუკეთებდით მობილიზებას, ხან სურსათ-სანოვაგეს და ბოლოს კი ჭუბერის ჯვარცმულ გზაზე სიცოცხლეს ვუნარჩუნებდით თანამოძმეთაგან განწირულ თანამემამულეებს. ამ ადამიანებზეც ღირს ცალკე წერა და ეს ბ-ნმა ლაშარ ფულარიანმა უნდა ითავოს.

აფხაზეთის კონფლიქტში ავბედითი შესვენებისას ჩვენ სასწრაფოდ შევიკრიბეთ რუსთაველის თეატრში და 1993 წლის აგვისტოში დავაფუძნეთ საქართველოს რეფორმატორთა კავშირი – ამჯერად უკვე პოლიტიკური ორგანიზაცია. თავს ლატეხილი უბედურების ფონზე შეუძლეით დავარწმუნებინა ჩვენი „კეთილშობილი ინტელიგენცია“, რომ მძლავრი პოლიტიკური ძალის შექმნის გარეშე სამეცნიერო კონფერენციებით ქვეყანას ვერ უშველი, რომ საჭიროა ხელისუფლებაზე ქმედითი ზეგავლენის ბერკეტები ან თავად ხელისუფლებაში მოსვლა.

**სწორედ კავშირის პირველ ყრილობაზე საჯაროდ გაცხადდა უმთავრესი ამოცანები აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების აუცილებლობა, საომარი მოქმედებების გამორიცხვა;**

**– რადიკალური, ყოვლის მომცველი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების სასწრაფოდ გატარების აუცილებლობა.**

**– მიუხედავად იდეოლოგიური სიჭრელისა, მრწამსისა და შეხედულებების მკვეთრი სხვადასხვაობისა, ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა და ეროვნებათა ეროვნული თანხმობის მიღწევა ქვეყნის სამომავლო სახელმწიფო მოწყობის საკითხებზე.**

მაშინ ჩვენ ნათლად ჩამოვაყალიბეთ და დავასაბუთეთ ყველა ამ თეზისის აქტუალობა, მდგომარეობის ხსნის შესაძლებლობა და მივმართეთ ერის გონიერ ნაწილს დაეჭირათ ჩვენთვის მხარი.

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი“ იყო მისი პასუხი!

ბუნებრივია მტერს არც გარეთ, არც შიგნით არ ეძინა და ასე გათენდა ის ავბედითი 16 სექტემბრის დილაც (1993 წელი), მას მოჰყვა 27 სექტემბერი და ათეულ ათასობით ადამიანის აყრა მამაპაპური მიწაწყლიდან, საკუთარ სამშობლოში დევნილებად მათი ქცევა.

9 მტანჯველი წელიწადი გავიდა ამ დღიდან და საშველი ჯერჯერობით არ ჩანს...

**– მტერს არსად ეჩქარება, ახალი მოყვრები იგვიანებენ...**

ჯერ კიდევ 1994 წლის დასაწყისში კავშირში დავიწყეთ საუბარი ეროვნული თანხმობის პირველ დოკუმენტზე, რომელშიც ქვეყნის პოლიტიკური ძალები, ძირითადი ერები და ეროვნებები, საქართველოს მხარეები და კუთხეები თავიანთი დელეგატების (დეპუტატების) მეშვეობით ჩამოაყალიბებდნენ საქართველოს ფედერალური მოწყობის ძირითად პრინციპებსა და დებულებებს (სწორედ რომ ფედერალური და არა კონფედერალური), რომელიც საბოლოოდ კონსტიტუციის სახეს მიიღებდა და ფართო განხილვის შემდეგ გახდებოდა ქვეყნის მომავალ მოწყობაზე საერთო-სახალხო, საერთო-ეროვნული შეთანხმების საფუძველი.

**ზემოთ თქმულით მე მგონი შევძელი თქვენთვის ამეხსნა ის მიზეზები, რამაც განაპირობა რეფორმატორთა კავშირში საქართველოს კონსტიტუციის პროექტზე პარალელური მუშაობა და განსაკუთრებით მისი სახელმწიფო მოწყობისას საპრეზიდენტო რესპუბლიკის ფორმისათვის უპირატესობის მიცემა... და არა ისე, როგორც ეს წარმოუდგენია ზოგიერთ თვითმხილველსაც კი, რომელსაც ჰგონია, პარლამენტში კენჭი ვუყარეთ ერთ ღამეში შეთხზულ დებულებებს.**

ვისაც ამ მოდელის უპირატესობის დასაბუთებისათვის ეკრანზე დღემდე ეკრანს მიღმა ყურადღებით უსმენია, ვისაც სამემთანხმებლო კომისიებში ყოველდღიურ მუშაობაში მიუღია მონაწილეობა, იმან კარგად იცის ჩვენი არგუმენტების ძალა, რომლებმაც ასეთი მხარდაჭერა ჰპოვა პარლამენტში.

**არა, ეს შემთხვევით არ ხდება. ასეთი ისტორიული მოვლენები უფრო სერიოზული მოტივებითაა განპირობებული და მას გვერდს ვერვინ აუვლის, რაც არ უნდა მურიანი და ღვრძლით სავსე იყოს.**

**ბაკურ გულუა**

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 248, 250, 253, 254, 255, 258, 259, 261, 262, 263.

## პარტახი

# ვინ გადაარჩენს დარბაზს?

– აბა, ერთი თქვენი გაზეთი წამაკითხეთ, – იტყვის ოთახში შემოსვლისთანავე ბატონი მურთაზი და ჩვენც ახალი ამბების მაუწყებელ ცინცხალ ნომერს დავაძრობთ.

მკითხველი კარგად იცნობს მხატვარ მურთაზ აბაშიძის შემოქმედებას, მისი კარიკატურები ღიმილის მომგვრელიც არის და ტკივილისაც. ერთი კია, მხატვარს ქვეყნის კარგი ახარებს, ცუდს კი მთელი არსებით განიცდის. იგი პროფესიით კერამიკოსია, თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები თბილისის სამშენ მასალათა კომბინატში გაატარა (იყო საწარმოს მთავარი მხატვარი), საიდანაც ახსოვს ბევრი წარმატება და სასიხარულო დღეები. ამიტომაც, ბუნებრივია, ამ კომბინატის დაშლა და მიწასთან გასწორება ზომაზე მეტად აღელვებს და გულს უღონიაქებს.

ვერც მე შევძელი გულგრილად მომესმინა მისი ნაუბარი და ქაღალდზე გადმოვიტანე. ვფიქრობ, აქ მოყვანილი ფაქტები საყურადღებოა და მავანთაგან საჭირო ანალიზს იმსახურებს.

– ზუსტად არ მახსოვს, – ამბობს ბატონი მურთაზი, – მგონი 1978 წელი იყო, საკავშირო სამშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი იამინი თბილისში რომ ჩამოვიდა, რათა მის უწყებაში შემავალი ობიექტები დაეთვალიერებინა.

საქართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელმა ედუარდ შევარდნაძემ მოსკოველი სტუმარი ჩვენთან, თბილისის სამშენ მასალათა კომბინატში მოიყვანა. მაშინ ეს საწარმო მარტო რესპუბლიკაში კი არა, საკავშირო მასშტაბითაც იყო ცნობილი და ერთ-ერთ საჩვენებელ ობიექტად ითვლებოდა. აქ მოპოვებული წარმატებები საყოველთაო განსჯისა და განზოგადების საგნად იყო ქცეული. ხუმრობა არ გახლდათ, კომბინატი ყოველთვიურად 6 მილიონი მანეთის სანიტარიულ, სამშენ მასალებსა და ფართო მოხმარების პროდუქციას უშვებდა. ფაიფურისა და შავი კერამიკის მხატვრული ნაწარმი საკმაოდ დიდი რაოდენობით საზღვარგარეთ, კერძოდ, იაპონიაში, საფრანგეთში, კანადაში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, ბულგარეთში, ინგლისში, ამერიკასა და სხვა ქვეყნებში იგზავნებოდა.

მათი სტუმრობის დღეს, ჩვენ, მხატვრებმა, ერთ პატარა ოთახში გამოვფინეთ კერამიკის ის ნიმუშები, რომლებზეც უცხოეთში დიდი მოთხოვნილება იყო. როცა მინისტრმა ისინი დაათვალიერა, აღტაცება ვერ დამალა და მხატვრებს წარმატება ხელის ჩამორთმევით მოგვილოცა. ამასთან, ისიც გვითხრა: თუ თქვენ შავ კერამიკას განავითარებთ, კომბინატსა და, საერთოდ, რესპუბლიკას დიდ მოგებას მოუტანთო.

გამოფენის ოთახიდან როცა გამოდიოდა, უცებ მინისტრმა მოინდომა ის საამქრო ენახა, სადაც ეს ნაწარმი მზადდებოდა. იგი საამქროში შემოვიდა და ყველა კუთხე-კუნჭული ყურადღებით დაათვალიერა. გაოცდა ქართველი ამომყვანის მაღალი ოსტატობით და სურვილი გაუჩნდა, თავისი ძველი ხელობა გაეხსენებინა. ხალათი მომიტანეთ, თქვა მან, მაინტერესებს, ხომ არ დამავიწყდა ამოყვანაო. ამ დროს ედუარდ შევარდნაძე მხატვრებს მოგვიბრუნდა და ჩვეული იუმორით მოგვმართა: აბა, ბიჭებო, კარგად დააკვირდით, თუ გამოდგება ამომყვანად, თქვენთან მოვაწყოთ კომბინატშიო. მინისტრმა ამაზე გულიანად გაიცინა, თან დასძინა – ასე ნუ მიყურებთ, სტუდენტობის დროს კერამიკულ ქარხანაში ვმუშაობდი და მაშინ დავეუფლე ამომყვანის ხელოვნებასო. იამინი მართლაც მიუჯდა დაზგას, მაგრამ თიხა ვერა და ვერ დაიმორჩილა, ხელობა, ეტყობა, მართლა დაივიწყნოდა. კომბინატის დირექტორის კაბინეტში გამართულ თათბირზე მინისტრმა მაღალი შეფასება მისცა კოლექტივის მუშაობას, ხოლო ბატონ ედუარდს პირობა მისცა – მომავალ წელს გადმოგირიცხავთ საკმაო თანხას, რათა ერთი კარგი საგამოფენო დარბაზი ააშენოთო. მასში გამოჰფინეთ მხატვრების ნამუშევრები, იქვე მიიღეთ სავაჭრო დელეგაციები, გააფორმეთ ხელშეკრულებები, ვატყობ, უცხოეთში თქვენს ნაწარმზე დიდი მოთხოვნილებაა და, აბა თქვენ იცით, როგორ კარგად იმუშავებთო.

სიტყვის კაცი გამოდგა მინისტრი. მართლაც იმავე წელს გამორიცხა ფული. ქართველმა სპეციალისტებმა დააპროექტეს თანამედროვე სტილისა და ფორმის საგამოფენო დარბაზი. მალე აშენდა ორსართულიანი, 400 კვადრატული მეტრი ფართობის საგამოფენო დარბაზი. პირველ სართულზე განთავსდა მაღაზია, სადაც იყიდებოდა კომბინატში დამზადებული ნაწარმი, მეორე სართულზე კი გამოფენილი იყო რამდენიმე მხატვრისა და დიზაინერის (600 ცალი) უნიკალური ნამუშევრები. აქვე იყო სტუმრებისა და სავაჭრო დელეგაციებისთვის საჭირო სხვადასხვა მასალა. დარბაზს ამშვენებდა თანამედროვე ავეჯი, სომხეთში დამზადებული ბროლის ჭაღი, ინტერიერის კედლებზე გაკეთებული შამოტის პანოები.

და ყველაფერი ეს, რომელიც საწარმოს კოლექტივმა დიდი რუდუნებით შექმნა, დღეს ისეა განადგურებული, მტერს ახარებს, მოყვარეს კი გულსა სტკენს.

კომბინატის არასწორი პრივატიზაციის გამო საგამოფენო დარბაზი უპატრონოდ და უმოქმედოდ დარჩა. რადგან კომბინატი ვეღარ უვლიდა, ამიტომ იგი საქართველოს სამშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ბალანსზე აიყვანეს და შემდეგ ვიღაცას მიჰყიდეს. ამ ვიღაცამ დაიწყო შენობის გადაკეთება, მაგრამ, მერე თავადაც დაიკარგა და ხალხმა დაიწყო ამ ობიექტის უმოწყალოდ გაძარცვა-განიავება. ჩამოხსნეს ალუმინის ფანჯრები, კარები და სახლებში წაიღეს, იატაკს მარმარილოს ფილებიც კი დააძვრეს. ახლა ეს უნიკალური შენობა საზოგადოებრივ ტუალეტად არის გადაქცეული. ამის შემხედვარე, ისე ვარ აღშფოთებული, მინდა ვიყვირო და ვინმეს შველა ვთხოვო, მაგრამ ვინ არის მშველელი და გამკითხავი. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა ხმა მივაწვდინო იმათ, ვისაც ეს ეხება და ვთხოვო, ვიდრე მთლიანად არ განადგურებულა ნაგებობა, იქნებ მას ღირსეული პატრონი გამოუჩნდეს და გადაარჩინოს.

ესაუბრა **ლალი ძინძლაძე.**





**სურათებზე:** ასეთი იყო საგამოფენო დარბაზის ერთი კუთხე; თითქმის დანგრეული საგამოფენო დარბაზი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 264, ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი, 2002 წელი.

## ჩვენი ძეგლები

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია

# ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ

## ნ. ტოკარსკის წიგნის „ძველი სომხეთის არქიტექტურის“ გამო

დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად თვლის ბაგრატიონებს ძველი ქართველი ისტორიკოსი **ჯუანშერიც**. საგვარეულო მემატიანე **სუმბატ ბაგრატიონი** კი, რომელმაც თავისი გვარის ისტორიისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო დაგვიტოვა, დაწერილებით ავითარებს იმავე გენეალოგიას XI საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში.

არტანუჯულ, ანუ ტაო-კლარჯეთულ მფლობელ სახლს IX საუკუნის დასაწყისში საძირკველი ჩაუყარა ხსენებულმა აშოტ კურაპალატმა, რომელიც აქ თბილისიდან მოვიდა, სადაც მაღალი პოსტი ეჭირა, მაგრამ არაბებს წაეჩხუბა. მისი გამოისობით, ამბობს მერჩულე, „დამყარდა ქართველებზე აშოტისა და მისი ძეების ბატონობა („მთავრობა“) საუკუნის ბოლომდე“.

ამ სახლისა და თვით სამთავროს ისტორია, აგრეთვე, კარგად არის ცნობილი ქართული, ბიზანტიური, სომხური და არაბული წყაროების მიხედვით. თბილისიდან გაქცეული აშოტი თავდაპირველად კლარჯეთში მკვიდრდება და თავის რეზიდენციად ძველ ქართულ ქალაქს არტანუჯს ირჩევს, — სადაც მშენებლობას ჯერ კიდევ V საუკუნეში ეწეოდა ცნობილი ქართველი მეფე ვახტანგ გორგასალი. რამდენადაც ეს ტერიტორია მაშინ პოლიტიკურად ბიზანტიის საზღვრებში შედიოდა, აშოტი იმპერატორს თავის სენიორად აცხადებს. აქედან — ბიზანტიური სამეფო კარის წოდებები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გვარში, მათ რიცხვში უმაღლესიც — „კურაპალატი“; თუმცა, თანდათანობით აშოტის შთამომავლები, ფაქტობრივად, თავისუფლდებიან ამ ვასალური დამოკიდებულებისაგან და X საუკუნეში სიუზერენული მმართველები ხდებიან, თანაც ადრინდელ ტიტულებს ინარჩუნებენ, პირველ ყოვლისა, კურაპალატის ტიტულს, რომელსაც გვარის უფროსი ატარებდა.

ტაო-კლარჯეთში ადრე ყალიბდება თავისებური საუფლისწულო წყობილება, რომელიც კიევის რუსეთის წყობილებას გვაგონებს, მაგრამ, ამასთანავე, აქ მრავალრიცხოვან მთავართა იერარქია ერთობ მკაფიოდ არის გამოკვეთილი. მთელი სამეფოს მეთაურის ტიტული გახლავთ **ქართველთა კურაპალატი,** რაც დადასტურებულია ყველა ზემოდასახელებული წყაროთი. IX საუკუნის ბოლოსათვის აქვე ჩნდება **ქართველთა მეფის** ტიტული, მომდევნო საუკუნის ბოლოს კი — **მეფეთ-მეფისა.** ეს პოლიტიკური მდგომარეობა ნათლად აისახა მერჩულის თხზულებაში, რომელიც მოგვითხრობს, რომ „ცხოვრება (გრიგოლ ხანძთელისა) დაწერილია 90 წლის შემდეგ მისი აღსრულებიდან, 6554 წელს სამყაროს დასაწყისიდან (950 წელს ახალი ერით)... ქართველებზე აშოტ კურაპალატის (გარდაიცვალა 954 წელს), ადარნერსეს ძის **(იგულისხმება ადარნასე II კურაპალატის ძე აშოტ II — მთარგმნელის შენიშვნა),** ქართველთა მეფის ბატონობისას... ერისთავთ ერისთავის სუმბატის, მეფე ადარნერსეს ძის დღეებში, ადარნერსეს, მაგისტრ ბაგრატის ძის, მაგისტრობისას, როცა ერისთავი იყო სუმბატი, მამფალ დავითის ძე“...

სამთავროს დამაარსებლის აშოტის შთამომავლობა IX საუკუნის მიწურულსა და X საუკუნეში წარმოდგენილია ორი შტოთი: **კლარჯეთულის,** ანუ **არტანუჯულისა,** რომელსაც სათავე დაუდო აშოტის უფროსმა ძემ ადარნასემ, და ტაოსი, რომლის წინაპარი გახლავთ აშოტის შუათანა ძე, კურაპალატი ბაგრატ I. მერჩულეს ჩანაწერში მოხსენიებული პირველი სამი მბრძანებელი ტაოს შტოს წარმომადგენელია, ბოლო, სუმბატი, — არტანუჯულისა.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებმა ჯერ კიდევ IX საუკუნის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გააფართოვეს თავიანთ სამფლობელოთა საზღვრები, სამეფოს თანდათან შემატეს მიწები მტკვრის ზედა წელის გაყოლებით — კოლა, არტაანი, ჯავახეთი, სამცხე და ჭოროხის გასწვრივაც, სადაც, კერძოდ, ტაოც დაიკავეს. სწორედ ეს მიწები გაიყვეს ერთმანეთში აშოტის შთამომავლებმა.



რამდენადაც ტოკარსკი სპეციალურად არის დაინტერესებული ამ მხარის მდგომარეობით სწორედ X საუკუნეში, ჩვენც მივმართოთ მოცემულ პერიოდს. X საუკუნის დასაწყისში ტაო-კლარჯეთის სამეფოს სათავეში უდგას ადარნასე II (888-923), აშოტ I-ის შვილთაშვილი (აშოტ I კურაპალატი — ბაგრატ I კურაპალატი — დავით I კურაპალატი — ადარნასე II კურაპალატი). იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი ბევრს მოგვითხრობს მასზე თავის თხზულებაში „ხალხთა შესახებ“, უწოდებს რა „ადრანასირს, საქართველოს (ივერიის) კურაპალატს“ (ასეა სამჯერ), ან ძალიან ხშირად — უბრალოდ კურაპალატს, თან ამ წოდებით აღნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ტაო-კლარჯეთის მპყრობელს ახლო აღმოსავლეთის ყველა სხვა მპყრობელთაგან განსხვავებით.



შატბერდი. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. 1990 წელი. დავით ხოშტარიას ფოტო.

ადარნასე II-ს ახლოს იცნობდა, აგრეთვე, სომეხი კათალიკოსი და ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტეცი, რომელიც ერთხანს ადარნასეს კარზე სტუმრობდა, როცა იძულებული შეიქნა სამშობლო დაეტოვებინა არაბთა მორიგი შემოსევის შედეგად. იოანესათვის ადარნასე გახლავთ „ქართველთა დიდი მთავარი“, (ადრეულ პერიოდში), ან „ქართველთა დიდი კურაპალატი“ (ადარნასე ასე ორჯერ იწოდება იოანეს ტექსტში), ან „ქართული ქვეყნის მეფე“, ან „ქართველი მეფე, (ასეა 14-ჯერ), ან უბრალოდ კურაპალატი (ორჯერ). იოანე მოხაზავს ტაო-კლარჯეთის სამეფოს, საზღვრებსაც ისე, რომ საეჭვოს არაფერს ხდის. ასე მაგალითად, იოანე გვიამბობს, რომ არაბთაგან დევნილი მეფე სუმბატი თავისი დომენიდან, შირაკიდან, გაიქცა მეგობრის ადარნასე კურაპალატის სამფლობელოებში მდებარე ტაიქის გამაგრებულ ადგილებში. იოანე ტაოს სხვა შემთხვევაშიც მიაკუთვნებს ადარნასეს სამფლობელოებს. დაბოლოს, იგივე ავტორი სომეხი მეფის ტრაგიკულ ბედზე საუბრისას, გვამცნობს, რომ არაბთა მხედართმთავარმა **„სდია მეფე სუმბატს, ფეხდაფეხ მიჰყვა, სდია ქართველთა ქვეყნამდე, სანამ სუმბატი არ შეეფარა კლარჯეთის მიუდგომელ ციხესიმაგრეებს“.** მაშასადამე, X საუკუნის ოციანი წლების მოწინავე სომეხთათვის ტაო (სომხურად ტაიქი) და კლარჯეთი უდავოდ ქართული ოლქები იყო.

ასე წერენ ადარნასეს თანამედროვე სომეხი ისტორიკოსები; ჩვენი თანამედროვე ზოგიერთი ისტორიკოსი (ტოკარსკი!) კი წერს: „X საუკუნის დასაწყისში, ქართული ქრონიკების მოწმობით, ქართველმა მეფემ ადარნასემ **მეზობელი ტაიქის ეპარქიაში,** სოფელ ბანაში (ამჟამად ფუნიაკი) ააშენა ტაძარი“. ადარნასესათვის ტაო „მეზობელი ეპარქია“ ყოფილა! რამდენად არის ეს მართალი თუნდაც სუბიექტურად, შეიძლება დავინახოთ იქიდანაც, რომ რამდენიმე ფრაზის ქვემოთ, ტოკარსკი, უცნაური წინდაუხედაობით, წერს: ...„არა მორეულ ვალარშაპატში, არამედ თავისთან, ტაიქში მიაგნო ადარნასემ იმ ნიმუშს, რომლის გადმოღებაც გადაწყვიტა“ (იგულისხმება იშხანი).

იოანე დრასხანაკერტეცმა (სხვათა შორის, ისევე, როგორც იმპერატორმა კონსტანტინემ) კარგად იცის ქართველ ბაგრატიონთა მეორე, პოლიტიკური აზრით უმცროსი, — არტანუჯული, ანუ კლარჯეთული შტოც, რომლის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი მის დროს გახლდათ იშხანთა იშხანი („ერისთავთ-ერისთავი“) გურგენი. იოანე მას უწოდებს „ქართველთა დიდ მთავარს“, ან უბრალოდ „ქართველთა მთავარს“, ხოლო გურგენის საუფლისწულო სამფლობელოებს მტკვრის ზემო წელის გაყოლებით და სხვა რაიონებშიც, აგრეთვე, „ქართველთა ქვეყანას“ აკუთვნებს.

რუსულიდან თარგმნა **თამაზ ეგანოიძემ.**

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 259, 261-263.

## ფინანსები

# ფული ჩვენი არსობისა

## რა მდგომარეობაა საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე?

კაპიტალის მოცულობითა და მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში ყველაზე მსხვილ და ლიკვიდურ ამერიკის შეერთებული შტატების საფონდო ბაზრებზე შექმნილ სიტუაციას ანალიტიკოსები არაერთგვაროვნად აფასებენ. თუმცა ორკვირიანი ზრდის შემდეგ გასული კვირის დასაწყისი შეერთებული შტატების აქციების ბაზრებზე ძირითადი ინდექსების დაცემით აღინიშნა, პარასკევს ბირჟებმა ვაჭრობა კვლავ პოზიტიურ ტერიტორიაზე დაასრულეს, რაც გაუმჯობესებულმა კორპორატიულმა შედეგებმა განაპირობა. მაღალტექნოლოგიური კომპანიების ძლიერი რალის შემდეგ პარასკევს **Nasdaq-**ის ინდექსი აგვისტოდან დღემდე მაქსიმალურ დონეზე დაფიქსირდა — 32.41 პუნქტით, ანუ 2.50%-ით გაიზარდა და 1331.12 მაჩვენებელი შეადგინა. ზრდის ლიდერებად შემდეგი კომპანიები მოგვევლინენ: **Intel, Microsoft, Merck Heulell-Packard, IBM, J.P.Morgan Chase, Walt Disney.** ტრადიციული ეკონომიკის ინდექსი **Dow Jones-**ი 126.65 პუნქტით, ანუ 1.52%-ით გაიზარდა 8443.99 მაჩვენებლამდე. ნიუ-იორკის საფონდო ბაზრებზე ბრუნვის მოცულობამ 1.34 მლრდ აქცია შეადგინა.

ეჭვგარეშეა, რომ უკვე სამი კვირაა ამერიკის




შეერთებული შტატების აქციების ბაზრებზე პოზიტიური განწყობა მეფობს, მისი მონაწილეების ყურადღება ძირითადი მსხვილი კომპანიების კვარტალური ანგარიშებისადმია მიპყრობილი. ამასთან, ბირჟის სპეციალისტების შეფასებით, ინვესტორებს პრაქტიკულად იგნორირებული აქვთ არცთუ სახარბიელო მაკროეკონომიკური ფონი. ასე რომ, ბაზარზე არის სიგნალები კოტირებების როგორც ზრდის, ისე შემცირების შესახებ და ამით გამონაკლისს არც გასული კვირა წარმოადგენდა. ერაყის გარშემო შექმნილი სიტუაციის გამო ინვესტორები განგაშმა გასულ კვირაშიც მოიცვა: მთავრობამ ქვეყნიდან უცხოელი ჟურნალისტების გაძევების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, რის შემდეგაც ერაყის ამბებმა ისევ წინა პლანზე წამოიწია და ხუთშაბათის სავაჭრო სესიაზე აქციებზე კოტირებების მორიგი დაცემის მიზეზი გახდა. თუმცა, როგორც ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, ხუთშაბათის დაცემა არ გამხდარა ბაზრებისათვის გარდამტეხი და მორიგი ზრდა მეორე დღესვე გაგრძელდა.

კომპანიების აქციებზე კოტირებების ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელის ალან გრინსპენის განცხადება შტატებში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების შესახებ. როგორც გრინსპენმა აღნიშნა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა აიმედებს კომპანიათა მენეჯერებს, რომ წარმოების ეფექტიანობა კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ აშშ-ის წამყვანი ტექნოლოგიური როლი მსოფლიოში კვლავ თავის შედეგს მოიტანს.

ასევე გასულ კვირაში ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ამერიკული ეკონომიკის მორიგი მიმოხილვა „ბეიჯ ბუკი“ გამოუშვა. სარეზერვო სისტემა აჯამებს იმ 12 ფედერალური ოლქის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, სადაც მისი გაყოფილებები იმყოფება და ადგენს ამერიკული ეკონომიკის ტენდენციებს გარკვეულ პერიოდში. ბოლო გამოშვების მონაცემები 3 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. მასში აღნიშნულია, რომ ხსენებულ პერიოდში ეკონომიკური აქტივობა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბალი იყო. მეწარმეობამ შეაჩერა ზრდის ტემპი, თუმცა ძლიერი აქტიურობით გამოირჩეოდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სექტორი.




ამ მონაცემებიდან გამომდინარე, ანალიტიკოსების უმრავლესობა ვარაუდობს, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის ღია ბაზრის კომიტეტი 6 ნოემბრის სხდომაზე უცვლელად დატოვებს რეფინანსირების განაკვეთს, რომელიც დღეისათვის 40-წლიანი მინიმუმის დონეზე იმყოფება და 1.75%-ს შეადგენს.

როგორც გასულ კვირაში ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს: 2002 ფინანსური წლისათვის, რომელიც 30 სექტემბერს დამთავრდა, ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტმა 159 მლრდ. დოლარი შეადგინა.

საბიუჯეტო დეფიციტი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1997 წლის შემდეგ პირველად დაფიქსირდა, მაშინ დეფიციტი 22 მლრდ. დოლარით განისაზღვრა. 1998 წლიდან ზედიზედ ოთხი წლის მანძილზე ბიუჯეტი პროფიციტით სრულდებოდა. 2001 წელს პროფიციტმა — 127 მლრდ. დოლარი, ხოლო 2000 წელს რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი 236.9 მლრდ. დოლარი შეადგინა.

გასულ კვირაში აქციების ბაზარზე ზემოქმედების




მქონე ნეგატიურ ინფორმაციათაგან აღსანიშნავია ასევე, მსოფლიოში უმსხვილესი სწრაფი მომსახურების რესტორნების ქსელის **McDonalds-**ის წარმომადგენელთა განცხადება მესამე კვარტალში კომპანიის მოგების შემცირების შესახებ, რაც ძირითადად კაფეების მოდერნიზებასთან და იაფი მენიუს რეკლამირებასთან დაკავშირებულმა დიდმა ხარჯებმა განაპირობა.

დღეს, კორპორატიული სკანდალების ეპოქაში, ბევრი ინვესტორი დანანებით იხსენებს ძველ კეთილ დროს, როდესაც ყველაზე დიდი უსიამოვნება, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელისაგან მოდიოდა იყო ის, რომ კვარტალური მონაცემი, შესაძლოა, არ დამთხვეოდა პროგნოზირებულს. იმ პერიოდში მიზეზები, რომელთა გამოც კორპორატიული მართვის მეთოდებს, შესაძლოა ინვესტორებში იმედგაცრუება გამოეწვია, მარტივი, და ნათელი იყო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სამყარო გაცილებით რთულია და „გამჭრიახმა“ მენეჯერებმა აქციონერთა დასაბნევად უამრავი ახალი მეთოდი მოიგონეს. მათ მიერ ზარალის მიყენების ხარისხობრივი მასშტაბები მართლაც გიგანტური აღმოჩნდა. საკმარისია ჩამოვთვალოთ ბოლო პერიოდში გაკოტრებული კომპანიები, რომლის მენეჯერებსაც წაყენებული აქვთ ბრალდება ფინანსების ბოროტად გამოყენებაში და საბუღალტრო ანგარიშგების ნორმების დარღვევაში: **Clobal Crossing, Enron, WorldCom, Qwest, Tyco.**

ექსპერტების გამოთვლებით, მხოლოდ ეს ხუთი კომპანიაა პასუხისმგებელი 1999 წლიდან **S&P500-**ის ინდექსის საერთო საბაზრო კაპიტალიზაციის 320 მლრდ. დოლარით, ანუ 8 % -ით შემცირებისა. რჩება მხოლოდ გაკვირვება იმ მეთოდების მრავალფეროვნებით, რომლის საშუალებითაც მენეჯერები აქციონერთა გაცურებას ახერხებენ. ექსპერტები თვლიან, რომ ინვესტორების დაცვა თაღლითებისაგან, რომლის მაგალითიც ბოლო პერიოდში არაერთი მენეჯერი გახდა, შესაძლებელია უკვე მოქმედი კანონებით, საკმარისია მხოლოდ მათი სათანადოდ ამოქმედება. რაც შეეხებათ ინვესტორებს, ექსპერტები მათ ურჩევენ, გაიხსენონ „ძველმოდური სიფრთხილე, სხვა სიტყვებით — კარგად გაცვეთილი ბანალური ჭეშმარიტება: არ არის საჭირო მეტის გადახდა აქციაში, რადგან მათი დაცემა წინასწარ გაუთვლელი მიზეზების გამო ყოველთვის შესაძლებელია.

კორპორატიული ციებ-ცხელების ეპოქაში კრიტიკის ქარცეცხლს ვერც ანალიტიკოსები გადაურჩნენ. სარეიტინგო კომპანიების მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს ხშირად სერიოზული გავლენა აქვთ აქციათა კურსის თამაშზე, ამიტომ მათი სპეციალისტების კვალიფიციურობასა და ობიექტურობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა გასულ კვირაში ამერიკის შეერთებული შტატების ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის შტაბ-ბინაში მარეგულირებელი ორგანოებისა და უმსხვილესი საინვესტიციო-საბანკო და საბროკერო ე. წ. უოლსტრიტის კომპანიების წარმომადგენელთა შეხვედრა. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს გეგმა, რომლის მიხედვითაც, უოლ-სტრიტის კომპანიები შექმნიან ფონდს, რომლის ხარჯზეც დამოუკიდებელი ანალიტიკური ფირმების შექმნა და შემდგომი მუშაობა დაფინანსდება. თითოეული კომპანიის შესატანი წილი 5 წლის მანძილზე დაახლოებით, 50 მილიონიდან, 100 მილიონ დოლარამდე განისაზღვრება.

დამოუკიდებელი ანალიტიკური ფირმების მიერ მოპოვებული მასალები შესაბამის ვებსაიტებზე განლაგდება, რათა ინვესტორებს შედარებისა და ანალიზის მაქსიმალური შესაძლებლობა მიეცეთ.

კოტირებების დაცემით დასრულდა გასული კვირა იაპონიის საფონდო ბაზრებზე. ტოკიოს ძირითადი საფონდო ინდექსი **Nikkei 4%-**ით დაეცა და 8726.29 მაჩვენებელზე განისაზღვრა. დილერების ვარაუდით, მოსალოდნელია იაპონურ კომპიუტერებზე და მათთან დაკავშირებულ ტექნიკაზე მოთხოვნის შემცირება, რაც მაღალტექნოლოგიური კორპორაციების ფასიან ქაღალდებზე კოტირებების დაცემას გამოიწვევს.

გასულ კვირაში საერთაშორისო სავალუტო ბაზრის მონაწილენი ერთსულოვნად ელოდებოდნენ ირლანდიის რეფერენდუმის მონაცემებს. ქვეყნის მოსახლეობას უნდა გადაეწყვიტა, მომხრეა თუ წინააღმდეგი 2004 წელს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ათი ქვეყნის ევროზონაში გაერთიანებისა. თუ ირლანდიელები გადაწყვეტდნენ, რომ კავშირის გაფართოების წინააღმდეგნი არიან, რასაც ზოგიერთი პოლიტოლოგიც ვარაუდობდა, ეს ნეგატიურ გავლენას იქონიებდა ერთიანი ევროპული ვალუტის კურსზე. რეფერენდუმის შედეგებმა აჩვენა, რომ ირლანდიის მოსახლეობის უმრავლესობა მომხრეა კავშირის გაფართოებისა. ეს ფაქტი ჯერჯერობით ხელს უწყობს ერთიანი ევროპული ვალუტის სიმყარეს. კვირის ბოლოს ევრო/დოლარის კურსი ამერიკულ სესიაზე 0.9755-0.9785 დიაპაზონის ფარგლებში განისაზღვრა. ფუნტი/დოლარის კურსი 1.5440-1.5500-ის ფარგლებში მერყეობდა.

გრძელდება იაპონური ვალუტის გაძლიერების ტენდენცია. კვირის ბოლოსათვის იენის კურსი 0.2%-ით გაიზარდა და 124.24 იენა ერთი დოლარის ფარგლებში განისაზღვრა.

დილერების შეფასებით, გასულ კვირაში აქტიურობა ფორექსის ბაზარზე ზედმეტად დაბალი იყო, რის გამოც ვალუტების კურსები სტაბილურია განსაზღვრულ დიაპაზონში.

დაბოლოს, გაურკვევლობა, რომელიც ერაყთან ომის მოლოდინთან არის დაკავშირებული, უკვე აისახა ზაფხულის შემდეგ ნავთობის ფასების ზრდასა და ამერიკული საფონდო ბაზრების დაცემაზე. დოლარს თუმცა შეეხო გარკვეული შესუსტება, მსოფლიო ეკონომიკაში მაინც წამყვან ადგილს იკავებს. ანალიტიკოსების შეფასებით, იგი კვლავაც ინარჩუნებს არსებულთა შორის საუკეთესო ვალუტის სტატუსს.

**ეკა ლეჟავა.**

# • კოპენჰაგენი: მსოფლიოს სათვისტომო მაინც შეიკრიბა. • მოსკოვი: ტრაგიკული ამბები დასრულდა, პრობლემები დარჩა.



## დანიაში ჩეჩენთა დიასპორა შეიკრიბა

კოპენჰაგენში მიმდინარეობს ჩეჩენთა მსოფლიო კონგრესი. რუსეთის ხელისუფალნი მის გაუქმებას მოითხოვდნენ — ამტკიცებდნენ, მოსკოვის ტრაგედიის შემდეგ უადგილო იქნებაო ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელთა შეკრების მოწვევა, რომლის ბევრი წევრიც მხარს უჭერს ასლან მასხადოვს.

რუსეთ-ევროკავშირის სამიტი, რომელიც კოპენჰაგენში უნდა გამართულიყო, ბრიუსელშია გადატანილი. აქამდე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ „თუ ტერორისტების მხარდამჭერთა თავყრილობა კოპენჰაგენში მაინც შეიკრიბა, ორმხრივი ვიზიტის, ისევე, როგორც დანიაში რუსეთ-ევროკავშირის სამიტის მოწყობა შეუძლებელი გახდებაო“.



უკვე მოვიდა ცნობები, რომ კონგრესის მოწყობის გამო ვლადიმერ პუტინი აღარ ჩადის დანიაში.

სამიტის გახსნის ცერემონიაზე თვითგამოცხადებული იჩქერიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ახმედ ზაკაევმა განაცხადა, რომ ასლან მასხადოვი მზად არის კრემლთან მშვიდობიანი მოლაპარაკების მოწყობისათვის და არ წამოაყენებს არავითარ დამატებით პირობებს.

„ეს კრიზისი შეიძლება მხოლოდ პოლიტიკური გზით გადაწყდეს, და პრეზიდენტი მასხადოვი მზად არის, მიუხედავად მოლაპარაკების მაგიდას ყოველგვარი დამატებითი პირობის წამოუყენებლად. ჯერი რუსეთის ხელმძღვანელობაზეა“, — განაცხადა ახმედ ზაკაევმა.

მოსკოვი კატეგორიულად უარყოფს ასლან მასხადოვთან მოლაპარაკების შესაძლებლობას და არ ცნობს მას იჩქერიის არჩეულ პრეზიდენტად.

დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა პერ სტიგ მელერმა აქამდე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დანია არ აკრძალავს კონგრესის მოწყობას. „მე ვერ ჩავერევი კონფერენციის მოწყობაში, რომელსაც კერძო ინიციატივით იწვევენ, — თქვა დანიელმა მინისტრმა, — კონსტიტუციის თანახმად, ჩვენს ქვეყანაში შეიძლება, მოეწყოს ნებისმიერი კრება, თუ იგი კანონს არ არღვევს“.

დანიის კონსტიტუციას იმოწმებენ ჩეჩენთა მსოფლიო კონგრესის ორგანიზატორებიც. როგორც ამ გაერთიანების პრესმდივანმა ულე-სტიგ ანდერსენმა თქვა ბი-ბი-სის კორესპონდენტთან საუბრისას, თავიდან ჩეჩენთა მსოფლიო კონგრესი სტამბოლში უნდა შეკრებილიყო მიმდინარე წლის გაზაფხულზე, მაგრამ ბოლო მომენტში გაუქმდა თურქეთის ხელისუფალთა მხრივ წინააღმდეგობის გამო.

„დანიაში ნამდვილი დემოკრატიაა, — ამბობს ბ-ნი ანდერსენი, — და აქ უცილობლად სრულდება კრებების უფლება. კონგრესის გაუქმება ანტიკონსტიტუციური ნაბიჯი იქნებოდა“.

მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ჩეჩენთა სათვისტომოების წარმომადგენლების გარდა ორგანიზატორებს მიწვეული ჰყავთ რუსეთის სათათბიროს დეპუტატები ივანე რივკინი, იული რიბაკოვი და ასლანბეკ ასლახანოვი, ევროპელი პარლამენტარები, მართლქომაგები და ზოგიერთი ჟურნალისტი, რომლებიც ჩეჩნეთის კონფლიქტს აშუქებდნენ, აგრეთვე, ახმედ ზაკაევი, წარმომადგენელი ასლან მასხადოვისა, რომელსაც ისინი ჩეჩნეთის კანონიერ პრეზიდენტად თვლიან.

კრების ორგანიზატორთა თქმით, კონგრესის ძირითადი მიზანია „ნაყოფიერი დიალოგი, რომელსაც შედეგად მოჰყვებოდა მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყება და ჩეჩნეთის კრიზისის მშვიდობიანი გადაწყვეტა“.

ამავე დროს, ულე-სტიგ ანდერსენს კარგად აქვს გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ კონგრესი წარიმართება, ტერორისტთა მიერ მძევალთა დატყვევების ავბედით ჩრდილში“. ამასვე მიაპყრო ორგანიზატორთა ყურადღება დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელმაც მოუწოდა მათ, სერიოზულად მოიფიქრონ, სახელდობრ, რა კონტექსტით წარიმართება ჩეჩენთა მსოფლიო კონგრესი და როგორ აღიქვამს ამას მთელი მსოფლიო“.

## პრეზიდენტის პოზიცია და რუსთა მწუხარება

117 დაღუპული — ასეთია, რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, იმ დრამატული დაპირისპირების შედეგი, რამდენიმე დღით რომ მიაპყრო მთელი მსოფლიოს ყურადღება დუბროვკის თეატრალურ ცენტრს.

ტრაგედიის დასრულებიდან ორი დღის შემდეგ რუსეთში ეროვნული გლოვა გამოცხადდა. ორშაბათს მთავრობის სხდომაზე გამოსვლისას პრეზიდენტმა პუტინმა შეკრებილთ სთხოვა, წუთიერი დუმილით მიეგოთ პატივი ტერაქტის მსხვერპლთა ხსოვნისათვის, და განაცხადა, რომ რუსეთის გენერალურ შტაბს დაუყოვნებლივ მიეცემა მითითებები, რათა ცვლილებები შეიტანოს შეიარაღებული ძალების გამოყენების გეგმებში საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ უფრო ეფექტიანი ბრძოლისათვის.

„ტრაგიკული მოვლენები დასრულდა, მაგრამ პრობლემები ძალზე ბევრი დარჩა, — თქვა პრეზიდენტმა. — ჩვენ ძალიან ძვირად გვიჯდება სახელმწიფოს სისუსტეც და მოქმედების არათანამიმდევრულობაც. ამასთანავე, მინდა, აღვნიშნო და ხაზი გავუსვა: რუსეთი არ დათანხმდება არავითარ მორიგებას ტერორისტებთან და არ აჰყვება არავითარ შანტაჟს. მსოფლიოში დროდადრო გაისმის ტერორისტთა მუქარა, რომ ისინი გამოიყენებენ საშუალებებს, რომლებიც მასობრივი განადგურების იარაღთან არის შესადარი. სრული პა-



სუხისმგებლობით მინდა, განვაცხადო, რომ თუკი ვინმე, თუნდაც, შეეცდება გამოიყენოს ასეთი საშუალებანი ჩვენი ქვეყნის მიმართ, მაშინ რუსეთი უპასუხებს ფედერაციისათვის შექმნილი საფრთხის ადეკვატური ღონისძიებებით“.

როგორც მოსკოველები აღიარებენ, ტერაქტის დროს გაღებული მსხვერპლის მიუხედავად, ადამიანები მაინც შვებას გრძნობენ ტრაგედიის



დასრულების გამო, გლოვობენ დაღუპულთა ნათესავებთან ერთად, გმობენ დამნაშავეებს და თანაუგრძნობენ ხელისუფალთ.

ამავე დროს, მესამე დღეა, ბევრმა არ იცის, რა ბედი ეწიათ მათ ახლობლებს, რომლებიც მძევალთა შორის იყვნენ, შტურმის შემდეგ უკვალოდ გაქრნენ და არც ცოცხლებში წერიან და არც მკვდრებში.

როგორც ინტერფაქსს აცნობეს მოსკოვის მთავრობაში, 40-მდე ოჯახმა ჯერჯერობით არაფერი იცის ახლობლების ბედის შესახებ.

კვირას, №13 საავადმყოფოდან, რომელიც ყველაზე ახლოს აღმოჩნდა ტრაგედიის ადგილთან და ამიტომ ყველაზე მეტი დაზარალებული მიიღო, სხვებთან ერთად გამოწერა 23 წლის ალექსანდრე ნიკიტენკოვი. მან გაიხსენა, რომ შტურმის დაწყებას გაზის სპეციფიკური სუნით მიხვდა.

„ჩვენ ერთბაშად გამოგვეღვიძა, და მაშინვე ვიგრძენით სუნი, რომლის არგრძნობაც შეუძლებელი იყო, — ამბობს ნიკიტენკოვი. — ეს იყო სულის შემხუთველი სუნი, ყველამ შევამჩნიეთ, რომ თანდათან ვკარგავთ ორიენტაციას, თვალებში გვიორლდებოდა და გვიბნელდებოდა, ხალხს გული მისდიოდა. ამ დროს დაიწყო სროლა, ბათქაბუთქი, ხელყუმბარების აფეთქება — აი, ყველაფერი, რაც დამახსოვრდა... გონს მხოლოდ საავადმყოფოში მოვედი“.

იგი ძრწოლით იხსენებს იმ ორ დღეს, სიკვდილის მოლოდინში რომ გაატარა ასობით სხვა ადამიანთან ერთად, და ცდილობს, არ იფიქროს იმაზე, გაკეთდა თუ არა ყველაფერი სხვების გადასარჩენად.

მაგრამ ახლა, როდესაც ყველაზე საშინელი მომენტი უკან დარჩა, სწორედ ეს კითხვა გამოდის წინა პლანზე. რამდენად გონივრულად იქნა გამოყენებული მოთარეშეთა ნეიტრალიზაციისათვის განკუთვნილი გაზი, და შეიძლებოდა, თუ არა, მიეღოთ რაღაც ღონისძიებები, რათა ამ გაზისაგან მომდევნო საათებში ადამიანები არ დახოცილიყვნენ?

როგორც მოსკოვის მთავარმა ექიმმა ანდრია სელცოვსკიმ განაცხადა, დაღუპულ მძევალთაგან მხოლოდ ორის სიკვდილის მიზეზია ცეცხლსასროლი ჭრილობები, დანარჩენები, ექიმის თქმით, სპეცსაშუალებათა გამოყენების შედეგად დაიღუპნენ.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

**არჩილ მანჯგალაძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!



# დედოზარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა | ყოველთვიური დამატება | №56 | 30 ოქტომბერი, 2002 წელი.

ჭირნახული

## აქამდე უნდა დაგვეთესა, მაგრამ ჯერ ხნულიც არ გაგვივლია

### რომელ მოსავალზე შეიძლება ლაპარაკი, ხალხო?!



როგორც იქნა, დამთავრდა საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მოსაელის აღება საგარეჯოს რაიონში – იგი ორ თვეზე მეტხანს გაგრძელდა. ავი ენები იმასაც ამბობენ, რომ ხანგრძლივი წვიმების გამო, ნათესებში სარეველებმა იმძლავრა და ზოგან სამკალი მოუმკალი დარჩაო...

აღნიშნული კულტურები 12575 ჰექტარზე ეთესა... როცა ამ სტრიქონებს ვწერდი, მოცემულ ციფრებს ვაანალიზებდი და მივედი იმ დასკვნამდე, რომ რედაქციაში ჩემი მუშაობის საუკუნის მესამედის მანძილზე მსგავსი მოუსავლიანობის ამსახველი ციფრები არ შემხვედრია... თუმცა, ზოგიერთი ჭორის მოყვარე მიმტკიცებდა, რომ შემოსავალს მთლიანად არ უჩვენებდნენო. ნეტავ ასე იყოს!

მივმართოთ ფაქტებს: 12575 ჰექტარი საშემოდგომო კულტურებიდან სხვადასხვა მიზეზით (გვალვა, სეტყვა, ქარები) ჩამოიწერა 4567 ჰექტარი – თითქმის მესამედი, ხოლო მოსავალი აიღეს 8026 ჰექტარზე, საიდანაც გამოლეწეს 67638 ცენტნერი ანუ ჰექტარზე საშუალოდ 8,6 ცენტნერი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჰექტარზე დათესილი 300 კილოგრამი თესლიდან მიიღეს 860 კილოგრამი მარცვალი ანუ თითოეული დათესილი მარცვლიდან 2,5 მარცვალი... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

რა იყო მოუსავლიანობის მიზეზი? ამ კითხვას ზოგი თავს არიდებს, ზოგი გვალვას, წვიმებს, ქარსა და სეტყვას აბრალებს...

ადრე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პერიოდში რაიონში ითესებოდა 14 ათასიდან 16 ათასამდე ჰექტარზე, მაშინაც იყო წვიმები, გვალვები, სეტყვა და ქარი, მაშინაც ჩამოწერდნენ ხოლმე მოუსავლიან ნაკვეთებს (თუმცა, ზოგი ამბობდა, ჩამოწერილ ნაკვეთებზედაც იღებენ მოსავალს და ამით ხელოვნურად ზრდიან საჰექტარო მოსავლიანობასო, შეიძლება ასეც იყო!) მაგრამ საშუალოდ ჰექტარზე ორ, ორნახევარ ტონა მარცვლეულს იღებდნენ, ცალკეულ ნაკვეთებიდან ოთხ ტონასაც... მაშ, რა დაემართათ გარეჯელ მხვნელ-მთესველებს (განგებ არ ვხმარობ სიტყვა ფერმერს). ვიღაც ბრძენმა ბრძანა: მიწა გლეხისაა და გლეხმა ყველაფერი იცისო! თურმე, დანარჩენი, მაღალკონდიციური თესლები, სასუქები, აგროტექნიკა, თესლბრუნვა და სხვა მოგონილი ყოფილა!

დავიწყოთ იმით, რომ აღნიშნულ პერიოდში მკის პარალელურად იწყებოდა საშემოდგომო თავთავიანი კულტურებისათვის განკუთვნილი ნაკვეთების ხვნა, შემდეგ ეს ხნული მოსწორდებოდა ზედაპირის მოტკეპნით და დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ითესებოდა ესა თუ ის კულტურა. უმეტესად კი ის ნაკვეთები, რომლებიც გამოქარვის ზონაში იყო. იყო თესვის სხვა მეთოდებიც; კერძოდ, ყანდაურის კოლმეურნეობაში რამდენიმე წელს ნიადაგს ამუშავებდნენ ე. წ. „მალცევის“ მეთოდით, – ხნავდნენ და თესავდნენ ბელტის გადაუბრუნებლად, რამაც სწორედ იმ გამოქარვის ზონაში საუკეთესო შედეგები მოგვცა.

თესვა იწყებოდა 10 სექტემბრიდან და მთავრდებოდა 25 ოქტომბრისათვის. ახლა კი შებრუნებით ხდება; – თესვა იწყება ოქტომბრის ბოლოს და მთავრდება წლის ბოლოს, რის გამოც აღმონაცენი ვერ ასწრებს დაფესვიანება-დაბუჩქვას და ქარი ადვილად იტაცებს. ყოველივე ამას იმისთვის ვიხსენებ, რომ 13 სექტემბრისათვის ერთი მეტრი ხნულიც კი არ იყო გაელებული საგარეჯოს მინდვრებში.

რა ითესება ახლა და რა ითესებოდა მაშინ! თუ სათესლე მასალა დამუშავებული არ იყო ლაბორატორიული წესით თესლისა და სარგავი მასალების კონტროლის ლაბორატორია ნებას არ მისცემდა მხვნელ-მთესველებს დაეწყოთ თავთავიანების თესვა. აღნიშნული ლაბორატორია და მომსახურე პერსონალი დღესაც სახეზე არიან, მაგრამ, ფასიანი მომსახურების გამო იქ თესლი არავის მიაქვს. უფრო მეტიც, ზოგი, „ყოვლისმცოდნე გლეხი“ ბუნკერიდან მიღებულ მარცვალს იყენებს სათესლედ. ამის შემდეგ რა მოსავალზე შეიძლება ლაპარაკი.

საგარეჯოს მინდვრებში, სადაც თავთავიანები ითესება, 10-12 წელიწადია სასუქები არ შეუტანიათ, თესლბრუნვაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ადრე გაზაფხულის დადგომასთან ერთად, ვიდრე ყანა მუხლს გაიკეთებდა, იწყებოდა ჯერ ქიმიური სასუქების შეტანა, მარგვლა, მერე კი აზოტით ჯეჯილების გამოკვება, რწყვა და სხვა აგროღონისძიებები.

ეს ყველაფერი დღესაც კარგად იციან ჩვენმა აგრონომებმა, მხვნელ-მთესველებმა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო უმოქმედობენ. ერთ-ერთმა აგრონომმა ისიც კი მითხრა, რომ ნორმალური მოსავალი რომ მივიღოთ, ე. ი. ყველა აგროტექნიკური ღონისძიება დროულად რომ ჩატარდეს, ერთი ჰექტარის მოვლა-პატრონობა 600 ლარი ჯდებაო. ფული კი არ გაგვაჩნია!

დიახ, ასეთია რეალური სურათი ჩვენს რაიონში... ალბათ, სხვაგანაც! მის გამოსწორებაზე კი მხოლოდ ზეპირად საუბრობენ, პრაქტიკულად, ფინანსები არ გააჩნიათ, რომ საქმე ადგილიდან დაიძრას... არადა, როდემდე უნდა გვქონდეს სამათხოვროდ გაწვდილი ხელი არა მარტო მოწინავე, მოწყალე კაპიტალისტური ქვეყნებისაკენ?!

**ვახტანგ ჩეკურიშვილი,**
**საგარეჯო.**

**სარედაქციო მინაწერი: სამწუხაროდ, ყურადღების მიღმაა დარჩენილი ეს ტრადიციული დარგი. ის, რაც ხდება საგარეჯოში, მისი ანალოგიური მდგომარეობაა კახეთის სხვა რაიონებშიც. გასაგებია წერილის ავტორის, ბატონ ვახტანგ ჩეკურიშვილის გულისტკივილი.**

**ბოლოსდაბოლოს, თუ გვინდა, რომ კარგი მოსავალი მივიღოთ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავამყაროთ წესრიგი და დავიცვათ თესვის აგროვადები, თორემ წლის ბოლოს, უზრუნველი ჭრიჭინას მსგავსად, ვიშვიში აღარ გვიშველის.**

**ისე კი, რადგან ამ შემოდგომაზეც დაგვიანდა თესლის ხნულში ჩაგდება, ბარაქიანი ჭირნახულის იმედი არც მერმისისთვის უნდა გვქონდეს.**

**მაგრამ როდემდე?**



**რაც ღვთის შემძლებელობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?**

საფიქრალი

## ღვინის ხარისხი ვენახიდან იწყება

**ქართულ მევენახეობასა და მეღვინეობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ ამ თემაზე რამდენიც უნდა ვწეროთ, სათქმელი მაინც არ დაილევა...**

**ამჯერად გთავაზობთ მასალას დარგის პრობლემებზე და საერთოდ, გლეხურ მეურნეობაში არსებულ მდგომარეობაზე. ჩემი რესპონდენტები გესაუბრებიან, აგრეთვე, უნიკალური ადგილობრივი ვაზის ჯიშების ნიშანთვისებებზე, მევენახეობის, როგორც დარგის მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკაში და სხვა მრავალ საკითხზე.**

**ამისათვის რედაქციაში მოვიწვიეთ მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერმუშაკი ვაჟა ზოციძე და ტექნოლოგი აკაკი ზოციძე. ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება მათი აზრი ქართულ მევენახეობასა და მეღვინეობაზე.**



ქართველი ხალხის ხანგრძლივი ისტორიის ყველა ეტაპზე, – ამბობს ბატონი ვაჟა, – მევენახეობა-მეღვინეობის დარგი მისი ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო იყო და სწორედ ამან განაპირობა, რომ ჩვენმა მევენახეებმა მისი არსებობის მანძილზე, დარგის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და ამ მხრივ უთუოდ გვაქვს საამაყო.

მარტო ის რად ღირს, რომ ხალხური სელექციის მეთოდებით შექმნილია სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების 500-ზე მეტი ვაზის ჯიში. მსოფლიოში არც ერთ დიდ ქვეყანას, რომელთაც ამჟამადაც საქართველოზე 10-ჯერ მეტი ვენახები აქვთ, ამდენი საუკეთესო ვაზის ჯიში არ გამოუყვანიათ.

უფრო მეტი, საქართველოს ყველა რეგიონს, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, მაღალხარისხოვანი ჯიშური ასორტიმენტი ჰქონდა. საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა კახეთის, ქართლის, მესხეთ-ჯავახეთის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურია-აჭარისა და სამეგრელო-აფხაზეთის აბორიგენულ ვაზის ჯიშთა ჯგუფები.

გარდა ამისა, ქართველი მევენახის მიერ შემუშავებულია ვაზის სხვლა-ფორმირების ორიგინალური წესები, ღვინის დაყენების ადგილობრივი ტექნოლოგიები. აღსანიშნავია კახური, იმერული, რაჭული და სხვა.

ამასთან ეროვნული ტექნოლოგიებით დამზადებული ღვინოები გამოირჩევიან თავიანთი მდიდარი ქიმიური შემადგენლობითი ორგანოლეპტიკური თვისებებით.

***– ალბათ, აქვე უნდა ვთქვათ, თუ რა განაპირობებს ქართული ღვინოების მაღალკვებით და სამკურნალო-***

იხ. მე-6 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფიქრალი



# ღვინის ხარისხი ვენახიდან იწყება

(მეხუთე გვერდიდან)

*დიეტურ თვისებებს. არადა, რაოდენ საწყენია, რომ ამ უნიკალურობას და განუმეორებელ ხარისხს, რაც ჩვენს ღვინოებს დასაბამიდან გამჩენმა დაანათლა, ალბათ, მალე დაკარგავს, რადგან ღვინის ფალსიფიკაციამ ჩვენში და არა მარტო ჩვენში, უმაღლეს გაქანებას მიაღწია.*

— ღვინის ფალსიფიკაცია, — საუბარში ბატონი აკაკი ჩაერია, — უდავოდ რთული პრობლემაა და მიგვაჩნია, რომ იგი ცალკე საუბრის თემაა. ხოლო, რაც შეეხება ხარისხს, მოგეხსენებათ, ნათქვამია, — ღვინის ხარისხი ვენახიდან იწყებაო და რომ იცოდეთ, ეს გამოთქმა თითქმის ჩვენს დღევანდელ მევენახეობაზეა ნათქვამი და ლომის წილი, უპირველესად, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ფლაგმანზე — კახეთზე მოდის.

თითქმის ორი ათეული წელია, რაც აქ ფართოდ ინერგება ეგრეთ წოდებული ჰიბრიდული ჯიშები — „ვაქირულა", „უწამლი საფერავი", „უწამლი კაბერნე" და სხვა. ქართლში კი ფეხი მოიკიდა მეტად დაბალი ხარისხის პროდუქციის მომცემმა ჰიბრიდებმა — „დირბულამ", „ქიწნურამ" და სხვა.

აი, ამ ჯიშებმა ქართლის რეგიონში წარმოებიდან თითქმის განდევნეს მაღალხარისხოვანი წითელი ღვინოების მომცემი ჯიშები: „თავკვერი", შავკაპიტო" და „ასურეთული შავი".

ალსანიშნავია, რომ ამჟამად მევენახეობა-მეღვინეობის ყველა მოწინავე ქვეყანაში ნაციონალური კანონებით და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების კანონებითაც, ჰიბრიდული ვაზის ჯიშების გამრავლება და მათი ყურძნის წარმოება-გადამუშავება კომერციული მიზნებისათვის — აკრძალულია...

***— ვფიქრობ, მკითხველთა უმრავლესობისათვის უნდა განვმარტოთ, რას ნიშნავს „ჰიბრიდი"?***

— ჰიბრიდი ლათინური სიტყვაა, — ამბობს ბატონი ვაჟა, — და ნიშნავს „ნაჯვარს", ამ შემთხვევაში ვაზის ინდივიდთა შეჯვარების შედეგად მიღებულ მცენარეს ან მის პოპულაციას.

ასეთი შეჯვარებისა და შერჩევის გზით არის მიღებული საფერავი, რქაწითელი, ჩხავერი, ოჯალეში და სხვა ჯიშები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ქართულ ვაზსა და ღვინოს. ასეთი შიდასახეობრივი შეჯვარებები და მის საფუძველზე ახალი მაღალხარისხოვანი ჯიშების სელექცია ფართოდ არის გაშლილი მთელს მსოფლიოში და ვაზის სამრეწველო ასორტიმენტის სრულყოფის ძირითად გზას წარმოადგენს.

მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყნების ნაციონალური კანონმდებლობით მიღებული აკრძალვა ეხება მხოლოდ იმ ჰიბრიდებს, რომლებიც მიღებულია ევროპული ვაზის სახეობის ჯიშების შეჯვარებით ამერიკულ ველურ სახეობებთან.

***— თუ არის ცნობილი, როდის დაიწყო კულტურული ვაზის ჯიშებისა და ამერიკული ველური სახეობების შეჯვარება?***

— ამ სახეობების შეჯვარება კაცობრიობამ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო, მას შემდეგ, რაც ამერიკიდან ევროპაში შემოვიდა ვაზის მავნებელ-დაავადებები (ფილოქსერა, ჭრაქი, ნაცარი და სხვა).

მეცნიერები და პრაქტიკოსები ცდილობდნენ შორეული ჰიბრიდიზაციის გზით მიეღოთ მავნებელ-დაავადებათა მიმართ გამძლე და მაღალხარისხოვანი ჯიშები, მაგრამ სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა, რადგან ე. წ. პირდაპირმწარმოებელი ჰიბრიდები თავიანთი ხარისხით ოდნავადაც ვერ უტოლდებიან ევროპული სახეობის ვაზის ჯიშებს.

პირველი პირდაპირმწარმოებელი, ე. ი. ჰიბრიდული ჯიში იზაბელა, რომელიც ლაბრუსკის სახეობის ევროპულ ჯიშთან ნაჯვარს წარმოადგენს, გამოვლენილია ამერიკაში ეს ჯიში მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში სამეგრელოს თავადს **დავით დადიანს** ოდესიდან გამოუწერია, ხოლო გურიაში იზაბელას გავრცელება გურიის თავადის **მიხეილ ერისთავის** სახელს უკავშირდება, აქედან კი „ადესა" დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებშიც გავრცელებულა.

ამ მცენარემ, სოკოვან დაავადებათა და ფილოქსერის მიმართ გამძლეობის გამო, საკმაოდ მოიკიდა ფეხი მთელს დასავლეთში და წარმოებიდან თითქმის განდევნა მაღალხარისხიანი პროდუქციის მომცემი ჯიშები, თუმცა მავნებელ-დაავადებათა მიმართ მგრძნობიარენი, ჩხავერი, ოჯალეში, ოცხანური, საფერე და სხვ.

მევენახეობის განვითარების შემდგომ ეტაპზე, როცა ვაზის დაავადებების მიმართ ბრძოლის ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდები შემუშავდა და დაინერგა (ბორდოს ხსნარი, გოგირდი, ვაზის მყნობა ამერიკულ საძირეებზე და სხვა), დასავლეთ საქართველოში მევენახეობა ისევ გამოცოცხლდა. კვლავ გაშენდა ვენახები, მაგრამ შემდგომ პერიოდში ჩაისა და ციტრუსების ფართოდ გავრცელებამ, მევენახეობა დასავლეთ საქართველოს ძირითად რეგიონებში, გურია-სამეგრელოში, აჭარა-აფხაზეთში (გარდა იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა), ძირითადი წამყვანი დარგიდან მეორეხარისხოვან, დამხმარე ან სამოყვარულო დარგად გადააქცია.

***— თქვენი აზრით, „ადესა" კახეთში რატომ არ გავრცელდა? რომ იცოდეთ ამ ჯიშს კახელები დღესაც ამრეზით უყურებენ. ანეკდოტიც კი დადის: თურმე მეგრელი კაცი ეკვეხნებოდა კახელს და აქებდა „ადესას" — ამ ვაზს არც შეწამვლა უნდა, არც გასხვლა, არც გაფურჩვნა, არც სხვა სამუშაოების ჩატარებაო. ამაზე კახელს გაღიმებია და უთქვამს, — მერედა, სირცხვილით როგორა სვამთ?***

— არ გავრცელდა, რადგან იმ დროისათვის, სადაც მევენახეობა-მეღვინეობა წამყვან დარგად რჩება, დღესაც ამ რეგიონში სხვა ვითარებაა. დარგის განვითარებას გარკვეული დაღი დაასვა ეკონომიკური მართვის მიუღებელმა მეთოდებმა და ამის შედეგად კახეთში დაიწყო მასობრივი მოხმარების ღვინოების წარმოება, რამაც ხელი შეუწყო ქართლ-კახეთში ერთი ჯიშის, რქაწითელის გაბატონებას და წარმოებიდან თითქმის გაიდევნა ისეთი მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ჯიშები, როგორიც არის საფერავი, თავკვერი, მწვანე, ხიხვი და სხვა.

1980 წელს უნიკალურ ჯიშს საფერავს მთელს კახეთში, — ამბობს ბატონი აკაკი, — მხოლოდ 3 300 ჰექტარი ფართობიღა ეკავა. ამრიგად, გამოუყენებელი რჩებოდა მსოფლიოში ცნობილი კახური წითელი ღვინოების წარმოების აგროეკოლოგიური პოტენციალი. აღარაფერს ვიტყვით სხვა ჯიშებზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ კახური წითელი ღვინის დეფიციტი წარმოიშვა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამან ხელი შეუწყო ქართლ-კახეთში პირდაპირი ჰიბრიდების „ვაქირულას", „ქიწნურას", „დირბულას", „უწამლი საფერავის", „უწამლი კაბერნეს" და სხვათა მასობრივ გავრცელებას.

ამ ჯიშებსა და ფორმებს თავისი ველური მშობლებიდან მემკვიდრეობით აქვთ მიღებული დაბალი ხარისხის პროდუქციის მოცემის უნარი. ამიტომ, სადაც არ უნდა გაშენდეს ეს ჯიშები, რა საუკეთესო ეკოლოგიურ პირობებშიც არ უნდა ვამყოფოთ, მათგან მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღება შეუძლებელია.

***— ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, მაგრამ ბევრი მეღვინე-სპეციალისტი ახერხებს გლეხებისაგან „ვაქირულას", „დირბულას", „ქიწნურასა" და მათი მსგავსი პირდაპირი ჰიბრიდების ყურძნის ნედლეულის იაფ ფასებში შესყიდვას იმ მიზნით, რომ მოახდინოს მაღალხარისხოვანი საფერავის ღვინის კუპაჟირება, ეს, რა თქმა უნდა, ამკარა ფალსიფიკაციაა, რითაც ტალახში სვრიან წლების მანძილზე მოპოვებულ ქართული ღვინის სახელსა და დიდებას.***

— სამწუხაროდ, პირდაპირმწარმოებლური ჰიბრიდებიდან მიღებული ყურძენი მკვეთრად აუარესებს იგივე საფერავისა და სხვა კულტურული ვაზის ჯიშებიდან მიღებულ პროდუქციას.

***— მკითხველისათვის, ალბათ, საინტერესო იქნება, თუ რა განაპირობებს პირდაპირი მწარმოებლური ჰიბრიდული ჯიშებიდან მიღებული ყურძნის დაბალ ხარისხს.***

— ამ ჯიშების პირველი უარყოფითი თვისება დაბალი შაქარმჟავიანობაა. მაშინ, როცა ადგილობრივი ჯიშის საფერავის შაქრიანობა, მისი გავრცელების ძირითად ზონაში 20-24 პროცენტს აღწევს, პირდაპირმწარმოებლური ჰიბრიდების შაქრიანობა 14-17 პროცენტს არ აღემატება. მათი შაქრიანობის მატება ხდება წყლის ხელოვნურად აორთქლებით, რასაც გურია-სამეგრელოში „მოქაფვა" ჰქვია. ქართლში კი „ჰიბრიდებს" კრეფენ დაჩამიჩების შემდეგ, რაც, აგრეთვე, შაქრის კონცენტრაციას, მის ხელოვნურ მატებას უწყობს ხელს.

მთავარი ნაკლი კი, რაც ღვინის პროდუქციის დაბალი ხარისხის მიზეზია, არის ყურძნის ნედლეულის ქიმიური შემადგენლობა.

***— მაინც რა ნივთიერებებია? ალბათ, უკეთესი იქნება მათზე კონკრეტულად ვისაუბროთ.***

— ცნობილია, რომ წითელი ღვინოების ღირსებას მასში საღებავი ნივთიერების შემცველობა განაპირობებს. ძირითად საღებავ ნივთიერებებს ანტოციანები წარმოადგენენ, რომლებიც ყურძნისა და ფოთლის შეფერადებას იწვევენ. ანტოციანები კი ვაზის ორგანოებში და ღვინოში არის გლუკოზიდების სახით, კულტურულ ჯიშებში კი ისინი ძირითადად მონოგლუკოზიდებად არის წარმოდგენილი.

„ვაქირულას", „იზაბელას", „ქიწნურას" და სხვა მსგავს ჰიბრიდულ ჯიშებში ანტოციანები, ანუ საღებავი ნივთიერებები, ძირითადად წარმოდგენილია დიგლუკოზიდების სახით.

ევროპული ვაზის ჯიშებში დიგლუკოზიდების შემცველობა ანტოციანების საერთო რაოდენობის 15 პროცენტს არ აღემატება. მაშინ, როდესაც ჰიბრიდებში დიგლუკოზიდები ანტოციანების საერთო რაოდენობის 90 პროცენტს შეადგენს.

უცხოელი სწავლულები ლეობარდი (1957 წ.) და ბრეიდერი (1968 წ.) ამტკიცებენ, რომ დიგლუკოზიდები იწვევენ ქათმის ღვიძლის ციროზულ დაავადებას. აქედან გამომდინარე ვრცელდება მოსაზრება, რომ ევროპულ-ამერიკულ ჰიბრიდებში დიგლუკოზიდების შემცველობა საშიშია ადამიანის ორგანიზმისათვის. გარდა ამისა, ღვინოში შემავალი დიგლუკოზიდები მნიშვნელოვნად აუარესებენ ღვინის ხარისხს, რადგან ისინი ადვილად იჟანგებიან, წარმოქმნიან ნალექს და ერთი წლის ან წლინახევრის შემდეგ, თითქმის, მთელი საღებავი ნივთიერებები გამოილექებიან. ამის გამო ღვინო იმღვრევა, ჟანგისფერი ხდება და მოხმარებისათვის თითქმის გამოუყენებელია.

ამრიგად, მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ ჰიბრიდული ჯიშებისაგან ხარისხიანი ღვინის წარმოება შეუძლებელია. ხოლო მათი ამა თუ იმ ხარისხით შერევა ევროპული ჯიშების პროდუქციაში, შესაბამისად, აუარესებს ღვინის ტექნოლოგიურ თვისებებს და მის ხარისხს.

ამიტომ არის, რომ ევროპის ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობით დიგლუკოზიდების შემცველობა წითელ ღვინოებში განსაზღვრულია. იგი ერთ ლიტრ ღვინოში არ უნდა აღემატებოდეს 15 მილიგრამს. თუ მისმა შემცველობამ აღნიშნულ რაოდენობას გადაამეტა, ასეთი ღვინო გასაყიდად ევროპის ბაზარზე, როგორც წესი, არ დაიშვება.

***— მაშინ ისიც გვითხარით, როგორ შეიძლება ამ საკმაოდ დამაფიქრებელ მოვლენას თავი დავაღწიოთ?***

— ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სათანადო ორგანოებმა იზრუნონ კრედიტების გამოყოფაზე იმ გლეხობისათვის, ვისაც ჰიბრიდული ჯიშებით გაშენებული ვენახები აქვთ, რომ მათ აღნიშნული ნარგაობის რეკონსტრუქცია მოახდინონ, რა თქმა უნდა, თუ მათ ვენახები ვაზისა და ღვინის კანონის მიღებამდე აქვთ გაშენებული. ამასთან, რაც მთავარია, განუხრელად უნდა განხორციელდეს კანონის მოთხოვნა კომერციული მიზნებისათვის „ჰიბრიდული" ვაზის ჯიშების გაშენების აკრძალვის თაობაზე.

აი, ეს არის ერთადერთი გზა ქართული სახელოვანი ღვინოების სახელის, დიდებისა და უცხო ქვეყნებში ბაზრის შენარჩუნებისათვის.

***— ასე რომ, ქართული ღვინოების ბედი ქართველების ხელში ყოფილა...***

— უდავოდ!

ესაუბრა
**როლანდ ბასილაშვილი.**

## გვეკითხებიან

# ვის ეკუთვნის მიწა?

**რედაქციაში ხშირად გვირეკავენ, მოდიან და გვეკითხებიან, რატომ არის, რომ ზოგიერთმა კომლმა (ოჯახმა) მიიღო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ერთ ჰექტარზე მეტი, ზოგმა ნახევარი ჰექტარი, ზოგმა მხოლოდ 1500 კვ. მ., რა პრინციპის და რის საფუძველზე მოხდა ასე მიწების განაწილება?**

აღნიშნულ საკითხზე ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიწის რეფორმისა და საადგილმამულო ურთიერთობების სამმართველოს უფროსს ანზორ მესხიშვილს, რომელმაც გვაცნობა:

— საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების რეფორმა დაიწყო 1992 წელს, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 18 იანვრის, 6 თებერვლის და 10 მარტის დადგენილებების საფუძველზე.

ამ ნორმატიული აქტებით საქართველოში მაცხოვრებელი კომლები (ოჯახები) დაიყო მიწის მიმღებ კომლთა **სამ კატეგორიად.** მიწის მიმღებთა **პირველი კატეგორიის** კომლებს მიეკუთვნა ის კომლები (ოჯახები), რომლის ერთ-ერთი წევრი მუდმივად ცხოვრობდა სოფელში და სოფლის მეურნეობის სფეროში იყო დასაქმებული. ასეთი კომლებისათვის (ოჯახებისათვის) ბარისა და ზეგნის რაიონებში მიწის მაქსიმალური ნორმა განისაზღვრა ერთ ჰექტარამდე, ხოლო იმ რაიონებში, სადაც ამის შესაძლებლობა იყო — 1,25 ჰექტარამდე. მთის რაიონებში — 5 ჰექტარამდე (მათ შორის დამუშავებაში არსებული მიწები — 1 ჰექტარამდე).



მიწის მიმღებთა **მეორე კატეგორიის** კომლებს (ოჯახებს) მიეკუთვნა სოფლად მუდმივად მცხოვრები სხვა სფეროს — მუშა-მოსამსახურეთა კომლები (ოჯახები). მათთვის მიწის ნორმა განისაზღვრა ბარისა და ზეგნის რაიონებში 0,75 ჰა-მდე, ხოლო მთის რაიონებში 5 ჰა-მდე (მათ შორის დამუშავებაში არსებული მიწები 0,75 ჰა-მდე).

მიწის მიმღებთა **მესამე კატეგორიას** განეკუთვნენ ქალაქად მცხოვრები ოჯახები, რომელთათვის მიწის მისაღები ნორმა განისაზღვრა ბარისა და ზეგნის რაიონებში 0,25 ჰა-მდე, ხოლო მთის რაიონებში ერთ ჰექტარამდე (მათ შორის დამუშავებაში არსებული მიწები 0,25 ჰა-მდე). ასეთი ოჯახებისათვის საგარეუბნო ზონაში მიწის მაქსიმალურ ნორმად განისაზღვრა 0,15 ჰა.

ალსანიშნავია, რომ სოფლებისა და დაბების ხელმძღვანელობა კომლებზე (ოჯახებზე) გასაცემ ნორმებს ადგენდა სოფელში არსებული მიწის ფონდიდან და კომლთა რაოდენობიდან გამომდინარე, და ეს ნორმები ზემოთ აღნიშნული ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ ნორმებზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
დედოზარი
№ 264, ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი, 2002 წელი.


## რეფორმა

# ნუ ვიქნებით მკაცრი გლეხების მიმართ

**რეფორმა სოფლად მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული საკრედიტო კავშირების შექმნით დაიწყო. ბევრი ამას თავიდანვე პესიმისტურად შეხვდა, რადგან თვლიდნენ, რომ მოკლევადიანი და მცირე სესხი ხალხს არა თუ დაეხმარებოდა, არამედ უფრო მძიმე და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდებდა. ეს პროგნოზი მომავალში, როცა ვალის დაბრუნების დრო დადგა, გამართლდა, რადგან სტიქიამ ფერმერები და გლეხები მოსავლის გარეშე დატოვა, შესაბამისად, მათ ვერც თანხა დააბრუნეს. კონტრაქტი დაირღვა, რის საპასუხოდ მსოფლიო ბანკმა დაფინანსება შეწყვიტა, შედეგად – ბევრი საკრედიტო კავშირი დაიშალა, ზოგი კი დღემდე ძველ ვალს იხდის.**

**შექმნილი სიტუაციის გამო საჭირო გახდა არასაბანკო-სადეპოზიტო კანონმდებლობის შექმნა, რომელიც პირველი ოქტომბრიდან შევიდა ძალაში. ხოლო ახალი კანონი შეძლებს, თუ არა, პრობლემების გადაჭრას, ამის შესახებ ინტერვიუ ვთხოვეთ სოფლად საკრედიტო კავშირების განვითარების ცენტრის თავმჯდომარეს თემურ კუპრავას.**

– ეს კანონი წლეულს, ივნისის თვეში მიიღეს, – ამბობს ბატონი თემური. ხოლო ოქტომბრიდან, როცა იგი ძალაში შევიდა, დაიწყო არსებული საკრედიტო კავშირების ხელახალი რეგისტრაცია. ქვეყანაში 255 კავშირია, აქედან ჩვენი მომსახურეობით 122 სარგებლობს. ხელახალი რეგისტრაცია კი მხოლოდ მათ ეხებათ, ვინც დღემდე შეძლო მუშაობა ჩვენი პროექტის ჩარჩოებში. კანონის შესაბამისად, ეროვნულ ბანკთან შეიქმნა საზედამხედველო სამსახური, რომელიც უშუალოდ გაუწევს კონტროლს საკრედიტო კავშირების საქმიანობას. რაც შეეხება ახალი კავშირების შექმნას, ასევე შესაძლებელია, ოღონდ ათლარიანი სავალდებულო პაი ორმოცდაათი ლარით შეიცვალა, თანაც, მეპაიეთა რაოდენობა არ უნდა იყოს ორმოცდაათზე ნაკლები. გამონაკლისი შეიძლება დავუშვათ მხოლოდ მაღალმთიან სოფლებზე.

ეროვნულ ბანკთან ერთად უამრავ ახალ პროექტზე ვმუშაობთ, რამდენიმე უკვე გადავაგზავნეთ დასამტკიცებლად იუსტიციის სამინისტროში.

ევრობანკის ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნაა ბუღალტერია თანამედროვე სტანდარტებით ვაწარმოოთ, რისთვისაც დაგეგმილი გვაქვს სემინარები საბუღალტრო ცოდნის ასამაღლებლად.

*– ახალი კანონმდებლობა ხომ არ ითვალისწინებს დავალიანების მქონე კავშირების ხელახალ დაფინანსებას?*

– არა, რა თქმა უნდა. მათთვის დასაიმედებელს ვერაფერს ვიტყვით. ისინი, უბრალოდ ვალდებულნი არიან ვალი დააბრუნონ. ჩვენ კონტრაქტი დავდეთ ერთ-ერთ იურიდიულ სამსახურთან, რომელიც ამ კუთხით მუშაობს. თანხის უქონლობის შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მეპაიე ვალდებულია ვალი საკუთარი ქონებით გადაიხადოს. ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როცა თვითონ საკრედიტო კავშირის ადმინისტრაცია მიმართავს სასამართლოს სარჩელით დავალიანების მქონე წევრების მიმართ და თანხებს ასე იღებენ, მაგალითად, ხუცუბნის საკრედიტო კავშირმა ამ მეთოდით 50 ათასი ლარი ამოიღო მეპაიეებისაგან.

*– კავშირები, ძირითადად, მოკლევადიანი და მცირე კრედიტის გამო გაკოტრდნენ. ამ მხრივ რა შეიცვალა?*

– სამწუხაროდ, ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. სესხი ისევ ძველი პირობებით გაიცემა. თანხის გაცემა წლეულს მარტიდან განვაახლეთ, მათ, ვინც რეგულარულად იხდიდნენ საურავს, კვლავ ვენდობით. ხოლო, მათ ვინც სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით ვერ იხდიდნენ, ყოველთვიურად ექვსპროცენტიანი ჯარიმა ერიცხებათ, რაც მათ მდგომარეობას უფრო ამძიმებს. დღეისათვის, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, საჯარიმო თანხა უკვე 70 ათასამდე აღწევს და ახლა ბევრი კავშირი ცდილობს ძველი ვალის დაფარვას.

*– გამოდის, რომ ახალი კანონმდებლობის შექმნა საკრედიტო კავშირის გამყარებას და სოფლად რეფორმის გატარებას კი არ უწყობს ხელს, არამედ – მხოლოდ თანხების ამოღება და კონტროლია გამკაცრებული, რაც სიტუაციას უფრო ამძიმებს.*

– დასაწყისშივე პროექტის ძირითადი მიზანი სოფლად საკრედიტო სესხის რესურსის შექმნა იყო, რაც საგრანტო სისტემისაგან განსხვავდება. თავიდანვე ყველა მეპაიესათვის იყო ცნობილი თანხის დაბრუნების ვალდებულება. კარგად ვიცით მათი დღევანდელი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ბოლო წლებში მომხდარმა სტიქიურმა მოვლენებმა გლეხები მართლაც ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო. ამიტომაც არაერთხელ მივმართეთ თხოვნით ხელისუფლებას, ფინანსთა სამინისტროს, რომ ვალი გადაევადებინა, რადგან მეპაიე საჯარიმო თანხის გადახდისაგან გათავისუფლდებოდა, მაგრამ სამინისტრო ამ დათმობაზე არ მიდის, რადგან თვლის, რომ საჯარიმო თანხაზე უარის თქმა ბიუჯეტში შემოსავალს შეამცირებს.

***ჩვენთვის აბსოლუტურად გასაგებია ფინანსთა სამინისტროს პოზიცია. იგი მაქსიმალურად ცდილობს ბიუჯეტის შევსებას. მაგრამ, მოდით, ნუ ვიქნებით ასეთი მკაცრი და მომთხოვნი სიღატაკის ზღვარზე მყოფი გლეხების მიმართ, რომლებმაც შეიძლება ამისათვის სახლ-კარიც კი დაკარგონ. ისინი ხომ მხოლოდ ვალის გადავადებას და საჯარიმო თანხის მოხსნას ითხოვენ, რაც ზღვაში წვეთია იმ თანხასთან შედარებით, რასაც ჩვენი ბიუჯეტი ყოველდღიურად გარე ვაჭრობით და კონტრაბანდით კარგავს.***

შეველიოთ მცირედს და ამით დიდ საქმეს შევუწყოთ ხელი.

**ლელა მანაგლიშვილი.**

## ო, ენავ ჩემო!

# ლაფსუსები მეცხოველეობის ტერმინოლოგიაში

**გაზეთ „ჩემი მამულის“ 2002 წლის მეცხრე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში – „დავიცვათ მეცხოველეობის ტერმინოლოგია“ დაბეჭდილია ლაფსუსები.**

კოლეგიური და მორალური მოსაზრებით შესაძლოა ამისთვის ყურადღება არ მიმექცია, როგორც ეს არაერთხელ გამიკეთებია.

იგივე კოლეგიურობა და მორალი მიბიძგებს მის ავტორს მივუთითო, რომ აწ განსვენებული მეცნიერებისა და პედაგოგების კრიტიკა, თუნდაც სამართლიანი, ულამაზო საქციელია, უხსოვარი დროის ჭეშმარიტებაა „გარდაცვლილზე უნდა თქვა კარგი, ან არაფერი!“

მით უმეტეს, თუ ეს კრიტიკა უსაფუძვლოა.

მივყვეთ სტატიას.

ავტორი არასწორად მიიჩნევს დობროხოტოვის „კერძო მეცხოველეობის“ ქართულ თარგმანში ნახმარ ტერმინს – „მსხვილი რქოსანი პირუტყვი“ და სანაცვლოდ გვთავაზობს „მსხვილფეხა საქონელს“, რაც ნაკლებად ზუსტია პირველ ტერმინთან შედარებით, თუნდაც იმიტომ, რომ „მსხვილფეხაა“, მაგრამ „არარქოსანი“: ცხენი, ჯორი, ვირი, აქლემი და სხვ. ამასთან, ბოლო ორ საუკუნეში ქართულმა ენამ მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა, გაფართოვდა ცნება „საქონლის“ მნიშვნელობა და დღეს ის აღნიშნავს გასაყიდად გამზადებულ ნივთს.

„წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის“ ნაცვლად ავტორი გვთავაზობს „წვრილფეხა საქორელს“. აქ კორექტურული შეცდომის გარდა, რაშიც ავტორს ბრალს ვერ დავდებთ, სხვა, არსებითი ლაფსუსია – რა მოვუხერხოთ ამ ცნებაში „უსამართლოდ“ მოქცეულ ღორს, ძაღლს, კატას, ან რითი ვანუგეშოთ და რითი დავაწყნაროთ ის ცხოველები, რომელთაც საქონლის დაძახებაზე გაყიდვის შიში დაეუფლებათ?

სტატიაში ვკითხულობთ: „პეტრე გუგუნავას, ეფემია ჭელიძის, მაყვალა ხუროძის და ერვანდ არზუმანიანის თარგმანში ნახმარი ტერმინები „ძროხის წარმოშობა“, „ძროხის ექსტერიერი“, „ძროხის პროდუქტიულობა“, „ძროხის ჯიშები“ და სხვა, ჩვენის აზრით, უზუსტობას წარმოადგენს და ძნელად გასაგებს ხდის ფართო მკითხველისათვის“.

როდის აქეთ გახდა სიტყვა „ძროხა“ გაუგებარი ქართველი მკითხველისათვის?

იქნებ გვიპასუხოს ავტორმა.

შემდეგ. ავტორი მიუთითებს – „არასწორია ტერმინი „ზოოტექნიას“ ხმარება „ნაცვლად „ზოოტექნიკისა“, რომელიც საუკუნენახევარია დანერგილია ფრანგი მეცნიერის ემილ ბოლერმანის მიერ და შეცვლა უხერხულიც არის. შეცდომის გასწორება არასოდეს და სრულიადაც არ არის უხერხული და ეს რაც მალე გაკეთდება, მით უკეთესი, სიტყვები: „ზოოტექნია“ და „ზოოტექნიკა“ ბერძნული წარმოშობისაა. ამ სიტყვების დაბოლოებებს **techne** და **technike** შორის ნიუანსური, ძნელად შესამჩნევი სხვაობაა. ამ სხვაობის გათვალისწინებით დარგის აღსანიშნავად ხმარობენ „ზოოტექნიას“, სპეციალისტის – „ზოოტექნიკს“. ეს მარტო ქართულ ენაში არაა, ასე მეტყველებს და წერს რუსული ენით მოსარგებლე ასობით მილიონი ადამიანი. ავტორს ვთხოვეთ, უფრო ღრმად ჩახედოს ამ საკითხს, საამისო დრო მას საკმარისზე მეტი აქვს ზოოვეტერინალური აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანაბიოზური მდგომარეობიდან გამომდინარე, და ნუ გააკეთებს ნაჩქარევ დასკვნას.

ავტორი შესაშური ტემპით შედის ემხში და მისი მენტორული ტონი ყოველგვარ საზღვრებს ლახავს: „გაწყდომა და დახოცვა მრავლის, ბევრის აღმნიშვნელია და ტერმინის გამოყენება ერთი პირუტყვის მიმართ გაუმართლებელია“. ავტორს არ ვთხოვთ ეძიოს და დაასახელოს თუნდაც ერთი წინადადება, სადაც ერთ მკვდარ ცხოველზე იყოს ნათქვამი – „გაწყდა“ ან „დაიხოცა“, – ამაოდ „დაშვრება“.

წუთისოფელი დროებითი ნავსაყუდელია ჩვენი, ყველანი მარადიული სასუფევლის შვილები ვართ. მოვასვენოთ ჩვენი კოლეგები სასუფეველში. თუ ენის გაწმენდის კეთილშობილი იდეა მოგვეძალა – იდეის ობიექტსა და სუბიექტს დიდი ძებნა არ სჭირდება ცოცხლებს შორის. სტატიის ავტორმა გადახედოს თუნდაც საქართველოს სახელმწიფო ზოოვეტერინარული აკადემიის გაზეთს და, სხვას რომ ყველაფერს თავი დაანებოს, მის სათაურს შეხედოს. „ზოოვეტერინარი“ – ასეთ უაზროდ შეკოწიწებულ, აბდაუბდა და უსაგნო სიტყვას ვერ ნახავთ მსოფლიოში ცნობილ ვერც ერთ ენაში. ენის, აი, ასეთ დამნაგვიანებლებზე უნდა ვილაპარაკოთ, ისინი ჩვენს გვერდით არიან, ამით ჩვენ ქართულ ენასთან ერთად მათაც დიდ სამსახურს გავუწევთ.

„სხვაფრივ, – როგორც დიდი ილია იტყოდა, – „დავშთები მარად პატივისმცემელი“ ხსენებული სტატიის ავტორისა, რომლის მიმართ მაქვს სიყვარულის, პატივისცემის და სიმპათიის კეთილი გრძნობები. სწორედ ეს გრძნობები მაიძულებს, პირუთვნელად მივუთითო მას მის ლაფსუსებზე სიცოცხლეშივე – პირში და არა – ზურგს უკან!

**დიმიტრი კანანაძე,**
**საქართველოს ვეტერინარ ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი.**

## წერილი რედაქციას

# ნეტავ ჩვენს გულში ჩაგახედათ

**უკანასკნელ ხანს ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარების გამო, ადამიანთა ერთმა ჯგუფმა საქართველოს ტყეები შემოსავლის წყაროდ გაიხადა. ასეა ბორჯომშიც, რითაც სერიოზული ზიანი ადგება საკურორტო მნიშვნელობის ტყეებს.**

მიუხედავად იმისა, რომ რაიონის ხელმძღვანელობა (გამგებელი ზ. ჯოხაძე) არაერთ ღონისძიებას ახორციელებს ტყეების დაცვისა და ხეტყის უკანონოდ მოპოვების აღსაკვეთად, მდგომარეობა საგანგაშოა.

სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის, ბატონ თეიმურაზ მოსიაშვილის წლევანდელი 2 ივლისის განკარგულების – „მხარის სატყეო მეურნეობებში ტყის დაცვის, აღდგენა-განახლებისა და ტყის რესურსების გამოყენების კანონიერების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ – საფუძველზე დაისახა ღონისძიებები, რომ სახელმწიფოებრივი წესრიგი დამყარდეს ტყის დაცვისა და მისი რესურსების გამოყენების საქმეში. რაიონის გამგებლის, ბატონ ზაზა ჯოხაძის ხელშეწყობით, 18 ივლისს, გაიმართა რაიონის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის სხდომა, სადაც რაიონის აქტივთან ერთად ვიმსჯელეთ ბორჯომის ხეობის ტყეებში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობაზე. გატარდა მთელი რიგი პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელიც სისტემატურად ატარებს რეიდებს, გამოვლინდა არაერთი მოძალადე და ბრაკონიერი, მაგრამ ხეტყის დატაცების ფაქტები კვლავ გრძელდება, რასაც ხელს უწყობენ ცენტრსა და ადგილებზე არსებული კორუმპირებულნი.

ქაოსის პირობებში დაუსჯელობით გათამამებულებმა, სერიოზულად დააზიანეს ბორჯომის ხეობის უნიკალური ტყის კორომები, ტყის მაფია არაფერს ერიდება, ოღონდ შემოსავალი ნახოს, ათასობით კუბმეტრი მორი თუ დახერხილი მასალა გააქვთ სამშობლოს ფარგლებს გარეთ, რითაც მილიონობით ზარალს აყენებენ ქვეყნის ეკონომიკას და ბუნებას.

საქვეყნოდ განთქმულ ბორჯომის ხეობის საკურორტო ტყეებში მომრავლებულია უნებართვო სახერხები (160 ერთეული) და სადურგლო სახელოსნოები, ისინი შეუფერხებლად მუშაობენ, რომელთა დიდ ნაწილს ბევრი არაფერი შეაქვს სახელმწიფო ბიუჯეტში. საკურორტო ტყეებში შექმნილმა ასეთმა განუკითხაობამ ხელი შეუწყო ნაძვნარკორომებში მავნებელ-დაავადების გავრცელებას, რომელიც სერიოზულად აზიანებს ტყეს.

თითქმის ყოველდღიურად ათეულობით ხეტყით დატვირთული მანქანა მავანთა ხელშეწყობით, შეუფერხებლად გადის საგზაო ინსპექციის თვალწინ, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ რატომლაც ხეებით დატვირთული მანქანები ღამით გადიან რაიონიდან, რაც საეჭვოს ხდის მათ კანონიერ გადაადგილებას. რა თქმა უნდა, ხეტყის უკანონო მოპოვება სატყეო მეურნეობათა მუშაკებთან შეუთანხმებლად არ ხდება, რასაც ემატება სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი მუშაკის სუსტი მუშაობა. დარღვეულია ტყეკაფის გამოყოფის წესებიც, რაც დამღუპველ გავლენას ახდენს ტყეზე. თუ ასეთი ბარბაროსული დამოკიდებულებით გაგრძელდა ჭრები, სულ მალე აღარ გვექნება ბორჯომის ხეობის საკურორტო და რეკრეაციული მნიშვნელობის ტყეები, რაც კურორტის დაკნინებას და მინერალური წყლის დაკარგვას გამოიწვევს.

კატეგორიულად მოვითხოვთ სახელმწიფოს ჩარევას, რათა შეწყდეს საკურორტო ტყეების მტაცებლური ჩეხვა, წერტილი დაესვას ტყის მაფიის საქმიანობას და შემცირდეს სახერხების რაოდენობა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ რაიონის მოსახლეობის შეშფოთება ტყეების ბარბაროსული ჩეხვის გამო, გთხოვთ გაამკაცროთ კანონი ტყეების დაცვის და ხეტყის მოპოვების თაობაზე ან ერთი წლით აკრძალოთ სამასალე ხეტყის ლიცენზიების გაცემა, შეირჩეს ჭრისათვის შესაფერისი ადგილები. ეს პროცესი დაარეგულირებს რაიონში მომრავლებული სახერხების კანონიერ ფუნქციონირებას, რაც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა და ტყის გადარჩენის საწინდარი იქნება.




**ვახტანგ კუციას** ნახატი.

ჩვენი სურვილია, ერთხელ და სამუდამოდ დამყარდეს წესრიგი ღედაბუნების გადარჩენაში. მზად ვართ აქტიური დახმარება აღმოვუჩინოთ აღმასრულებელ ხელისუფლებას ამ საშვილიშვილო საქმის ბოლომდე მიყვანაში.

**ღია წერილი მიღებულია რაიონის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის სხდომაზე.**

**ძვირფასო რედაქცია!**

**ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობის წევრები მოგმართავთ თხოვნით, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით იქნებ როგორმე მივაწვდინოთ ხმა, შევატყობინოთ ჩვენი გულისტკივილი მავანთა მიერ ამ სამარცხვინო, მოღალატეობრივი საქციელის გამო საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრს, საქართველოს იუსტიციის მინისტრს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს, საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარეს.**

ბორჯომის რაიონის
საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სოფელი

# უხუცესი ბოდბისხეველი

სოფელი ბოდბისხევი – მევენახეთა, მეცხოველეთა, მიწისა და თიხის მესაიდუმლეთა სამკვიდრო.

ვახუშტი ბაგრატიონის განმარტებით – „...ამას ეწოდა პირველ კამბეჩოვანი, კამეჩთა სიმრავლისთვის, შემდგომად ქიზიყნი... არიან კაცნი მბრძოლნი, მხნენი, ახოვანნი, შემმართებელნი, მაგარნი, მიმყოლი ურთიერთთა“.

აღმოსავლური კოლორიტის ეს ლამაზი სოფელი მდიდარი ტრადიციების მქონეა. მთის ფერდობებიდან მთელ ბოდბისხევს გადმოჰყურებენ – „ნიკოლოზის“, „კვირიკეს“, „ამაღლების“, „ფერისცვალების“ და „წმინდა მარიამის“ სახელობის ეკლესიები, მაგრამ სოფლის მთავარი სიმდიდრე მაინც მისი ხელებდაკოჟრილი მევენახეები, აკვნების მთლელნი, ფარდაგების მქსოველნი, თიხის ძერწვის ჯადოქარი ოსტატები არიან.



შრომობენ, წვალობენ, რომ იტყვიან, წელზე ფეხს იდგამენ, ზოგიერთებივით თბილისის ბაზრობებზე კი არ ათენ-აღამებენ, წვითა და დაგვით მოწეული მოსავლის ნაწილი თბილისში მოაქვთ, რომ ცოტაოდენი ფული დაინარჩუნონ და გოგო-ბიჭებს ან სკოლის წიგნები, ან ტანსაცმელი უყიდონ, ქალაქამდე ვაი-ვაგლახით ჩამოსულებს გადამყიდველები ბაზრამდე არც კი უშვებენ, ცდილობენ, ნარდად გამოართვან, იაფად დასცინცლონ ალალ გლეხს ხორაგი. იციან, განა არ იციან გლეხებმა, რომ მათი საქონელი უფრო ძვირი ღირს, მაგრამ იძულებულნი არიან, დათანხმდნენ...

მართალია შრომაში გამობრძმედილი კაცი, რომელსაც წლევანდელმა წვიმებმა წლების წინ ბეტონის ფილებით მოპირკეთებული ხევიც კი მიუნგრ-მოუნგრია და სავალი გზის უმეტესი ნაწილიც თან ჩაიტანა – გაუნადგურა ვენახი, ხილი, მაინც გულგაუტეხელია... თვალს იტაცებს სტიქიის შემდეგ აღდგენილი სოფლის შემოგარენი, ალაზნის ველზე გადაჭიმული ათასობით ჰექტარი სახნავ-სათესი...

უთუოდ მიაქცევთ ყურადღებას გელაშვილების სახლ-კარს, სადაც ოთხი თაობის წარმომადგენელი ურთიერთპატივისცემითა და შრომის სიყვარულით, სიამტკბილობით ცხოვრობს.

ოჯახის უფროსი რამანა გელაშვილი გახლავთ, 91 წლის კაცი, ერთ-ერთი უხუცესი ბოდბისხეველი, აქ დაბადებული, იგი, ისე როგორც ბევრი მისი მეზობელი, ზემო ბოდბისხევიდან 35-40 წლის წინათ ჩამოსახლებულა ბაზრის უბანში, სადაც ცხოვრების შედარებით უკეთესი პირობები ყოფილა (ზემო ბოდბისხევში დღესაც ცხოვრობს რამდენიმე ოჯახი).

ვზივართ ახლა მე და ბატონი რამანა თავის ოთახში, ბუხრის წინ და ვსაუბრობთ. წლებს თავისი გაუტანია, თვალის ჩინიც დაჰკლებია, მაგრამ არ იმჩნევს, ისე მიყურებს, თითქოს ნათლად მხედავდეს...

– ოთხი წლის ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა შავი ჭირით, – ამბობს მოხუცი, – იმ დღეს მამაჩემის გარდა, 19 თანასოფლელი დაუმარხავთ, ძნელი დრო იყო, არ გვქონდა წამალი, არც ექიმი გვყავდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ყვარელში წავედი და იქ სატყეო ტექნიკუმში ჩავაბარე გამოცდები.

წლების განმავლობაში ბრიგადირიც ყოფილა, პროფკავშირის თავმჯდომარე და სარევიზიო კომისიის წევრიც, რადგან თანასოფლელებმა კარგად იცოდნენ მისი პირდაპირობისა და სამართლიანობის შესახებ.

სამამულო ომი დაიწყო თუ არა, მოქმედ არმიაში წასულა, რადგან სწამდა, რომ სამშობლოს, თავის ქვეყანას იცავდა. დაჭრილი დიდხანს ლენინაკანის ჰოსპიტალშიც წოლილა, გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ ფრონტისკენ გაუწევია. მხოლოდ დემობილიზაციის შემდეგ დაბრუნებულა ოჯახში და კოლმეურნეობაში რიგით მუშად დაუწყია მუშაობა, მერე მშენებელთა ბრიგადირიც ყოფილა. მაგრამ ყველაფერს თავისი დასასრული აქვსო, ამბობს მოხუცი და სევდანარევად მიღიმის. ვგრძნობ, სიბერეს ძნელად ეგუება, საუკუნესმიტანებულ კაცს, სულ რამდენიმე ხანია რაც მუშაობისთვის თავი დაუნებებია.

რამანას მეუღლე – ნინა ჩითინაშვილი, ჯუგაანელი ყოფილა, იგი მთელ სიღნაღის რაიონში ცნობილი მეაბრეშუმე იყო. შრომისმოყვარე ცოლ-ქმარს ცხოვრება არ უჭირდა, მშვენიერი სახლ-კარი აუგიათ. შვილი დიდხანს არ ჰყოლიათ, და აი, გაჩნდა პატარა, რომელსაც სახელად ნირა დაარქვეს, რომელმაც ენით უთქმელი სიხარული და ბედნიერება შეიტანა გელაშვილების ოჯახში.

– ნირას დედამისივით უყვარდა აბრეშუმის ჭიის მოვლა, – აგრძელებს საუბარს ბატონი რამანა – ჰოდა, დაურიგებიათ ბავშვებისათვის სკოლაში ჭია მოსაელელად, ნირას შინ მოუყვანია და თვითონ უვლიდა თურმე, მის მეგობრებს კი ხევში გადაუყრიათ... – ჭიკაანთ რამანა, იცხოვრებს, აბა, რა იქნება, მისი თითისტოლა გოგოც კი შრომობსო, – უთქვამთ თანასოფლელებს.

ქალბატონი ნინა რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა. ნირას სამი შვილი ჰყავს, ორი ქალიშვილი უკვე გაათხოვა. შინ კი მისი ვაჟიშვილი, რომანი ცხოვრობს თავისი ოჯახით.

რომანმა სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საგარეჯოს პოლიტექნიკურ ტექნიკუმში გააგრძელა, დამთავრება არ აცალეს, სამხედროში გაიწვიეს. იმსახურა კიდეც შორეულ აღმოსავლეთში, ხაბაროვსკში, როცა დაბრუნდა, სწავლა დაასრულა, თავის მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და ტრაქტორზე დაიწყო მუშაობა. 20 წლისა უკვე დამოუკიდებლად მართავდა ტექნიკას. ვენახებს წამლავდა – მაისში რომ დავიწყებდით სამუშაოებს, ივნისის ბოლომდე შინ ვერ მოვდიოდით, – ამბობს.

მერე მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალი იმედებითა და ოცნებებით სავსე, რომანი ამბობს, რომ არ შეიძლება ქვეყნის ბედზე და ხალხის ინტერესებზე მაღლა ნებისმიერ სხვა ინტერესს ვაყენებდეთო – ამასვე ფიქრობს ბევრი აქაური ახალგაზრდა.

– კოლმეურნეობა რომ დაიშალა, ჩვენს ოჯახს ორი ჰექტარი სახნავი შეხვდა, ვამუშავებთ, ხან ხორბალს ვთესავთ, ხან მზესუმზირას. წელს ძალიან გაგვიჭირდა, ამიტომ რაც კი გასაყიდი გვქონდა, გავყიდეთ და კომბაინი შევისყიდეთ. მოსავლის აღებაზე ვიმუშავეთ, აბა, სახლში ხომ არ ჩავიკეტები?

რომან ბოქოლიშვილი უკვე 30 წლისაა, მეუღლე – ნანა ბადიაშვილიც ბოდბისხეველია. ჰყავთ ორი შვილი – ნირა და გიორგი. აქვთ საკუთარი ვენახი, ნახევარ ჰექტარზე საფერავი გაუშენებიათ. – ადრე ორ ტონამდე ვკრეფდით, წელს ორი ვედრო დავკრიფეთ... რაც სტიქიას დაუკლია, შეწამვლას მოუთავებია, თვით რომანს უყიდია შხამ-ქიმიკატები ბოდბისხევის ბაზრობაზე კერძო პირისგან, – რომ შევწამლე, მეორე დღესვე შევატყვე ვაზს, საქმე ცუდად რომ იყო, მაგრამ ველარაფერი ვუშველეო, – სინანულით ამბობს იგი.

– ქალაქში, ალბათ, უფრო გიჭირთ, – ამბობს რომანის დედა, ქალბატონი ნირა, – ძნელია, თუ დენი არ იქნა და ქარხანა-ფაბრიკა არ ამუშავდა. უმუშევრებმა რა უნდა ქნან... ამბობენ, სხვა რაიონებიდანაც თბილისში ჩამოდიანო. ძალიან ცუდია, ასე რომ აკეთებენ. მე აქ ქათამს მაინც გავზრდი, მწვანილს მოვიყვან, კარტოფილს, სოფელი მაინც სხვაა, სხვა ხიბლი აქვს. კი, გვიჭირს, ჩვენი პენსიები იგვიანებს, მოხუცსაც 1997, 1998, 1999 წლების პენსია სრულად არ მიუღია.

– შუქი გვიან მოდის ჩვენთან, იშვიათად, როცა პარლამენტის სხდომებს ვუყურებთ, ბავშვებისა გვრცხვენია, – ამბობს რამანა, – როგორ ექიშპებიან ერთმანეთს, ნუთუ არ ჯობია ერთმანეთს გაუგონ და მტრის ხატს სწორედ ერთმანეთში არ ხედავდნენო? – უკვირს ძალიან.

გვიანი საღამო იყო, საუბარს რომ მოვრჩით, თითქოს არ მეთმობოდა მათთან განშორება, რადგან აქ ისეთი სიკეთე, სილაღე, ისეთი სიყვარული დავინახე...

ბევრი ასეთი ოჯახი ცხოვრობს ბოდბისხევში.

**ნაზი იმნაიშვილი.**
**სიღნაღის რაიონი,**
**სოფელი ბოდბისხევი.**

ტრადიცია

# რატომ იყვნენ ჩვენი წინაპრები ძლიერნი და გაწონასწორებულნი?

საქართველოში დღეს ესოდენ პოპულარული სიმინდი და ლობიო მეჩვიდმეტე საუკუნეში შემოიტანეს ამერიკიდან და ევროპიდან.

საინტერესოა, რით იკვებებოდნენ მანამდე ჩვენი წინაპრები, რა მოჰყავდათ და რა ადგილობრივი ჯიშებით იწონებდნენ თავს საუკუნეების მანძილზე: ფაქტია, რომ მიწათმოქმედმა ლობიო, სიმინდი და სხვა უცხოეთიდან შემოსული ჯიშის მარცვლეული, მათ შორის ხორბალი, ჩათვალა უფრო უხვმოსავლიან, იოლად მოსაყვან კულტურად და, რაღა თქმა უნდა, ამით თანდათან, ნელნელა განდევნა შინდვრიდან აბორიგენული ჯიშები.

არადა, მეცნიერები დღეს იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ადამიანებს სთავაზობენ შესაფერის დიეტებს მათი სისხლის ჯგუფის მიხედვით (ამაზე ახლა მრავალ ჟურნალ-გაზეთში საუბრობენ), თურმე, ზოგ ადამიანს საერთოდ არ ეჭმევა ვთქვათ, მჭადი, ან ხორბლის პური, იმდენად შეუთავსებელია იგი მისი სისხლის შემადგენლობასთან...

ეს გნებავთ, დავიჯეროთ, გნებავთ – არა, მაგრამ ადამიანის ჯანმრთელობისათვის რომ მრავალფეროვანი საკვები პროდუქტია აუცილებელი, ამაში სადავო ნამდვილად არაფერია.

ცნობილია, რომ ადრე ეკლესიას თავისი მამულები ჰქონდა, სადაც მოჰყავდა ოსპი, მუხუდო, ჭვავი, ფეტვი და დოლის პურის სხვადასხვა სახეობები...

ოსპის შეჭამანდს მარხვისას მიირთმევდნენ ბერ-მონაზვნები, მასში შემავალი ნივთიერებები ამშვიდებს ადამიანს.

მისასალმებელი ფაქტია, რომ ნიკორწმინდის ეპარქიაში ახლაც თესავენ ქართული ხორბლის უძველეს ჯიშებს – მახას, ზანდურს, დიკას და იმათგან აცხობენ სეფისკვერებს და თესლს მრევლშიც ავრცელებენ.

ამჟამად, ზემო სვანეთში მცირე რაოდენობით შემორჩენილია ძველი კულტურები. ჭვავს უშგულში რამდენიმე ოჯახი თესავს.

აი, რას გვიამბობს ბოტანიკის ინსტიტუტის კულტურული ფლორის განყოფილების გამგე ტარიელ ბერიშვილი: – ურბანიზაციის განვითარებამ მთელ მსოფლიოში გამოიწვია ადგილობრივი ჯიშების გაქრობა და მათ ადგილზე შედარებით უხვმოსავლიანი ჯიშების დანერგვა. მაგრამ ზოგ ქვეყანაში დაიწყეს ეკოლოგიური მეურნეობების – ბიომეურნეობების შექმნა. ახლა გერმანიაში მრავალი ასეთი მეურნეობაა, რომელთა პროდუქციაც უდიდესი მოწონებით სარგებლობს. საქართველო არის „ლაიფციგის დეკლარაციის“ წევრი ქვეყანა. ეს ორგანიზაცია ხელს უწყობს სწორედ ბიომეურნეობების განვითარებას მთელ მსოფლიოში. მე თვითონ გახლავართ აგრობიომრავალფეროვნების დაცვის საზოგადოება „დიკას“ პრეზიდენტი, არის კიდევ საზოგადოება „ელკანა“, რომელთანაც ვთანამშრომლობთ და, რომელსაც ქალბატონი ნანა ნემსაძე ხელმძღვანელობს. ბოტანიკის ინსტიტუტში გვქონდა მარცვლის კოლექციები, რომლებიც არახელსაყრელი პირობების გამო მღრღნელებმა გაგვინადგურეს.



ზემო სვანეთში, 1998 წელს, ორგანიზაცია „ქეამ“ შეიტანა კარტოფილი და დაურიგა გლეხებს. როგორც ისინი ამბობენ, შეცდნენ, რადგან კარტოფილი ზუგდიდში იმხელა გზაზე წაიღეს გასაყიდად, რომ აღებული თანხა ისევ პურის საყიდლად დასჭირდათ, სხვაში არაფერში ეყოთ. ასე რომ, უკეთესია სვანმა კაცმა ისევ თავის ტრადიციულ, ნაცად კულტურას მიხედოს და მოუაროს, რომელიც კარტოფილზე ბევრად მაწიერი და ვიტამინებით მდიდარია.

***– და მაინც, იქნებ გვითხრათ, თბილისში სად შეიძლება შევიძინოთ ნამდვილი ჭვავის პური. ვინ აწარმოებს მას? და საერთოდ, მკითხველს დააინტერესებს, სად უნდა შეიძინოს ძველი ტრადიციული მარცვლეული?*** – ვკითხეთ ბატონ ტარიელს.

– ჭვავის პურს შარშან მეწარმე გია დობორჯგინიძე აცხობდა. ზუსტად არ ვიცი, ახლა კიდევ ვინ მუშაობს მასზე... წლეულს, 19-20 ოქტომბერს ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე გავმართეთ ბაზრობა, სადაც გასაყიდად ჩამოიტანეს პურპროდუქტები გურიიდან, კახეთიდან, იმერეთიდან, ქართლიდან ჩამოსულმა გლეხებმა. ორ დღეს, გაეროს ხელშეწყობით, საკმაოდ ხალხმრავალი ვაჭრობა იყო არქივის შენობასთან. თითქმის ყველაფერი გაიყიდა. მაგალითად, ხაშურის რაიონის სოფელ ალის მკვიდრს ვანო ლოლაძეს ჩამოტანილი ჰქონდა 40 კილოგრამი მუხუდო და სულ გაყიდა. მას თესლი ჩვენ მივეცით და გაამრავლა.

ყველა დასახელების პროდუქტი, რომელიც ბაზრობაზე იყო გამოტანილი, იყო ბიოლოგიურად სუფთა.

რაც შეეხება მაღაზიას, ის ორი წლის წინათ არსებობდა ერეკლეს მოედანზე. მაგრამ დაიხურა, რადგან ვაჭრობა სეზონური იყო – მხოლოდ შემოდგომით. ახლა „ელკანა“ აპირებს ასეთი მაღაზიის გახსნას. აუცილებელია, რომ ფერმერებმა მიიღონ შესაბამისი სერტიფიკატები ბიოპროდუქტების წარმოებაზე და ამას მიეცეს მოწესრიგებული სახე, ისეთი, როგორც ეს უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებშია.

ამჯერად აღარ შევჩერდებით დოლის პურებზე, – აგრძელებს საუბარს ბატონი ტარიელი, – რომლებიც წარმოიშვა ძველი ქართული ჯიშისაგან – იფქლისაგან. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ წითელი დოლის პურს ახლაც თესავენ ხიზაბავრაში.

დღეს მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ იმ უძველეს მარცვლოვან სასურსათო მცენარეებზე, რითაც ჩვენი წინაპრები იკვებებოდნენ.

**ფეტვი** – შეიცავს სილიციუმის მჟავას, რომელიც ადამიანის აზროვნებაზე, კანის დაავადებებისა და ფრჩხილების მტვრევის წინააღმდეგ მოქმედებს. ფტორის ნაერთები კარიესის საწინააღმდეგოა, უხდება კუჭ-ნაწლავის მოქმედებას. ყურადსაღებია ფეტვის კიდევ ერთი სასარგებლო თვისება – მას შეუძლია ორგანიზმის გათბობა.

**ღომი** – მისგან მომზადებული ღომი მსუბუქი, დიეტური საჭმელია, გამოიყენება კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდ. მარცვლები ფრინველის საუკეთესო საკვებია – ზრდის იმუნიტეტს და ამაღლებს ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობას სხვადასხვა დაავადებებისადმი.

**მუხუდო** – შეიცავს დიდი რაოდენობით ცილას, ცხიმებს, კარგი გემური თვისებების გამო ძვირფასი სასურსათო პროდუქტია, იყენებენ მოხარშულს, გარნირად, ყავის სუროგატად. მუხუდოს ხორცის გემო აქვს.

**ცერცვი** – მსხვილმარცვლიანი ჯიშები გამოიყენება საჭმელად. ის ნოყიერი, ძვირფასი პარკოსანი მცენარეა.

**ცულისპირა** – მისი ცილები ცხოველურ ცილებს ცვლის. მის ფქვილს ურევენ ხორბლისას და აცხობენ მაღალკალორიულ პურს. ყავის სუროგატს მისგანაც ამზადებენ.

**სელი** – ორგვარია: საზეთე და საბოჭკოვე. საზეთე სელის თესლი 35-42 პროცენტ ცხიმს შეიცავს. იგი სასურსათოა, გარდა ამისა, გამოიყენება მრეწველობაში, მედიცინასა და პარფიუმერიაში.

**წიწიბურა** – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასურსათო კულტურაა. ჩვენში წიწიბურა გავრცელებული იყო ხევსურეთში, საიდანაც სელექციონერებმა წამოიღეს ადგილობრივი ფორმა და მისგან მიღებულ ჯიშს უწოდეს „ცროლი“.

**ჭვავი** – საკმაოდ მრავალრიცხოვანი დადებითი თვისებები აქვს. ჭვავის პური თავისი კვებითი ღირებულებით და სპეციფიკური გემოთი ბევრად არ ჩამოუვარდება ხორბლისას. მდიდარია ვიტამინებით, კალორიულია; შეიცავს სრულფასოვან ცილებს.

**ქერი** – ძველად დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. არსებობდა მისი 14 სხვადასხვა ფორმა. დღეისათვის კი შემორჩა სამი ჯიში: ახალთესლი, ორრიგა საგაზაფხულო ქერი და ძველთესლი. ასევე, მცირე რაოდენობით – ქერშეელი.

**მარცვლოვანი** კულტურების დასამუშავებლად, კილის გასაცლელად და დასაფქვავად ჩვენი წინაპრები ადრეული საუკუნეებიდან იყენებდნენ საცეხველებს, – აგრძელებს საუბარს ბატონი ტარიელი, – ჩვენ გურიაში ძლივს მოვაწყვეთ ერთი წყლის საცეხველა, მაგრამ წყალი აღარ მიუშვეს და გააუქმეს.

**ამრიგად, როგორც ბატონმა ტარიელმა გვითხრა, აუცილებელია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს იმ გლეხებს, რომლებიც ადგილობრივ ჯიშებს აწარმოებენ, ჩვენ ხომ ისედაც გვევალება ლაიფციგის ტექნიკური კონფერენციის დებულებების პრაქტიკაში გატარება – ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის მიღების შემდეგ, აუცილებელია, აგრეთვე, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ფონდებმა გამოთქვან ფერმერთა დახმარების სურვილი, რათა შეიქმნას ადგილობრივი, ეკოლოგიურად სუფთა ჯიშების „მრავალფეროვნებით ფასეული“ ბაზრის სეგმენტი – გარანტირებული შესყიდვისა და შეღავათების გზით.**

მცენარეთა ადგილობრივი ჯიშები ხომ ისევე დიდი რუდუნებით, გამოცდილებით, შრომით იქმნებოდა ხალხში, როგორც თუნდაც ხალხური სიმღერა, ფოლკლორი, კულტურა. სწორედაც – უძველესი აბორიგენული ჯიშები არა მარტო მატერიალური კულტურის ძეგლებია, არამედ ქართველი ხალხის სულის გამოხატულებაა.

მივხედოთ ფესვებს, რითაც იზრდებოდა და შენდებოდა ჩვენი წინაპრის სხეული – უფრო აღნაგი, ახოვანი, ძლიერი, უფრო ამტანი და გაწონასწორებული – ვიდრე ჩვენა ვართ.

**ლია ჭიღლაძე.**

სურათზე: ღომის ყანა.

სარედაქციო კოლეგია:
როლანდ ბასილაშვილი (რედაქტორი), ნაზი იმნაიშვილი, გივი მელიძიშვილი (ტექნიკური რედაქტორი), სპარტაკ ძოზულია, ლია ჭიღლაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ხელმომწერთა საყურადღებოდ!

სააქციო საზოგადოება „საქპრესაში“ დაიწყო ხელმოწერა საქართველოსა და საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებზე 2003 წლის პირველი ნახევრისათვის.

ხელმოწერა შეგიძლიათ გააფორმოთ სს „საქპრესის“ საქალაქო და რაიონულ ფილიალებში, „აჭარპრესაში“ მისამართზე: ქ. ბათუმი, ერას ქ. №15; ასევე სს „საქპრესაში“, მისამართზე: ქ. თბილისი, 380019, ხოშარაულის ქ. №29. ელ. 93-30-54, 93-45-96, 34-98-21.

გამოწერილ გამოცემებს მიიღებთ დროულად და უდანაკარგოდ თქვენს მიერ მინიშნებულ მისამართზე.

ხელმოწერის პირობებზე, ან თქვენთვის საინტერესო საკითხებზე დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ სს „საქპრესის“ ფილიალებში, რომლებიც განთავსებულია საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში, ასევე „აჭარპრესაში“.

თუ „საქპრესის“ ფილიალების მუშაკთა მომსახურებაზე რაიმე პრეტენზია გაგიჩნდებათ, ან დამატებითი ინფორმაციის მიღება გსურთ, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე:

- სს „საქპრესა“: ქ. თბილისი, 380019, ხოშარაულის ქ. №29

ელ.: 93-45-96, 93-30-54 ფაქსი: 93-28-72

**E-mail: sakpresa@kheta.ge**

„აჭარპრესა“: ქ. ბათუმი, ერას ქ. №15, ელ.: (822) 7-22-42

**სს „საქპრესის“ ადმინისტრაცია.**

## შიდა სავალუტო ბაზრის მიმოხილვა

გასულ კვირაში თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიებზე ლარის აშშ დოლარის მიმართ ოფიციალური გაცვლით კურსი გაიზარდა და კვირის ბოლოს, 25 ოქტომბერს, 1 აშშ დოლარი 2.165 ლარი ნიშნულზე დაფიქსირდა.

შიდა სავალუტო ბაზრის ბანკნოტურ სეგმენტზე აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსები 2.172/2.185 დიაპაზონში მერყეობდა.

კვირის ბრუნვამ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 1785000 აშშ დოლარი და 12000 ევრო შეადგინა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასული კვირის საბირჟო სესიებზე 1155000 აშშ დოლარი შეისყიდა.

წყალხტომა

## ერევნიდან – უხვი ნადავლით

სომხეთის დედაქალაქში კვირას დამთავრდა წყალხტომაში სპორტის დამსახურებული ოსტატის, ევროპის ჩემპიონის, მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორის, 18-გზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონისა და 14-გზის თასის მფლობელის დავით ამბარცუმიანის მემორიალი. შეჯიბრებაში 80-მდე წყალმხტომელი მონაწილეობდა, რომლებიც სამ ასაკობრივ ჯგუფში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. საქართველოს წარგზავნილები (7 სპორტსმენი) ორ ასაკობრივ ჯგუფში ასპარეზობდნენ. მათ 6 ოქროს, ამდენივე ბრინჯაოს და 3 ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

თოთხმეტწლიანთა შეჯიბრებაში ხუთმეტრიანი კოშკურიდან, ერთ და სამმეტრიან ტრამპლინებიდან ხტომებში პირველი იყო 11 წლის სალომე ჯუღელი. ამავე ასაკში ნორიოელმა მარი ტაკაშვილმა ხუთმეტრიანი კოშკურიდან ხტომაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მესამე ადგილზე გავიდა. ასევე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 11 წლის **სოფიკო ხუციშვილმა.**

ამავე ასაკში თავი ისახელეს ვაჟებმაც. **კოტე ნანიტაშვილმა** ოქროს მედლები დაიმსახურა სამმეტრიანი ტრამპლინიდან და ხუთმეტრიანი კოშკურიდან ხტომაში, ხოლო ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში მეორე იყო. სამივე სახეობაში ბრინჯაოს მედლებს დასჯერდა **შოთა კორახაშვილი.**

თექვსმეტწლიანთა პაექრობაში შვიდმეტრიანი კოშკურიდან ხტომა 13 წლის **ჭოლა ჭანტურიამ** მოიგო. სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მან ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ბრინჯაო დაიმსახურა, სამივე სახეობაში **დავით ყვავაძე** მეოთხე ადგილზე გავიდა.

– სომხებმა ჩინებული მასპინძლობა გაგვიწიეს, – მითხრა საქართველოს წყალმხტომელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრე ბართაიამ.** – ჩვენს სპორტსმენებს ასპარეზობისა და დასვენების შესანიშნავი პირობები ჰქონდათ. შეჯიბრებები გაიმართა მოცურავეთა და წყალმხტომელთა სპეციალიზებული სპორტსკოლის აუზში, სადაც წლების განმავლობაში ვარჯიშობდა სახელოვანი სპორტსმენი დავით ამბარცუმიანი. მისმა მეუღლემ კარინემ შეისყიდა იგი და საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე კეთილმოაწყო.

კმაყოფილი ვარ ჩვენი გოგონებისა და ვაჟების გამოსვლით. ეს შეჯიბრება მათთვის სტრასბურგის საერთაშორისო ტურნირისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო. საფრანგეთში ნოემბრის მიწურულს 27 ქვეყნის საუკეთესო წყალმხტომელები იასპარეზებენ ორ ასაკობრივ ჯგუფში. ჩვენი დელეგაცია სტრასბურგს 6-7 სპორტსმენის შემადგენლობით გაემგზავრება, თანაც მშობლების ხარჯზე, რადგან, საქართველოს წყალჯომარდობის ფედერაციას საამისოდ არავითარი სახსარი არ გააჩნია. სათუოა მხოლოდ სალომე ჯუღელის გამგზავრება, რომელმაც ერევანში სამი ოქროს მედალი დაიმსახურა. მშობლებს სათანადო ეკონომიკური შესაძლებლობა არა აქვთ, დამფინანსებელი კი არ ჩანს. ვიმედოვნებთ, რომ კეთილი ადამიანები ახალგაზრდა პერსპექტიულ გოგონას დაეხმარებიან.



მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა სააქციო საზოგადოება „ლაგუნა ვერეს“ დირექტორს ვლადიმერ გოიაშვილს და დილმის ოლიმპიური რეზერვის სკოლის ხელმძღვანელს გიორგი უდესიანს თანადგომისა და დახმარებისათვის.

**ვაჟა დანელია.**

**სურათზე:** საქართველოს წყალმხტომელები ერევნის ტურნირიდან დაბრუნების შემდეგ.

**თელო ნიკოლაიშვილის** ფოტო.

ორი საერთაშორისო კონსორციუმის წამყვანი კომპანია „ბი-პი“ (BP), ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური (შაჰ დენიზის) გაზსადენის პროექტების პარტნიორების სახელით მოხარულია განაცხადოს,

რომ მან დაასრულა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის პროექტების ფარგლებში განხორციელებულ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტებზე დანართის სახით შედგენილი ანგარიში. დანართის სახით შედგენილ ანგარიშში გათვალისწინებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის პროექტების ფარგლებში განხორციელებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების საჯარო განხილვის პროცესში მიღებული შენიშვნები (2002 წლის ივნის-ივლისი). აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტები ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებისათვის, მათგან შენიშვნების მისაღებად და პროექტების განხილვის მიზნით ჩატარდა საზოგადოებრივი შეხვედრები. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტები და დანართის სახით შედგენილი ანგარიში, ორივე ერთად შეადგენს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების საბოლოო ვერსიას, რომელიც წარდგენილია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში დასამტკიცებლად.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტებზე დანართის სახით შედგენილი ანგარიში 25 ოქტომბრიდან საზოგადოებრივი განხილვისათვის ხელმისაწვდომი იქნება შემდეგ ორგანიზაციებში:

**„BP“**-ს თბილისის ოფისში, ალმაშენებლის 123 ა

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში – გუდიაშვილის №7

რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისათვის – ჭავჭავაძის პრ. 74

ფონდი „ჰორიზონტი“ – დოლიძის ქ. 2

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თბილისის ოფისის ბიბლიოთეკა – ერისთავის ქ. 9

განმარტებები ასევე განთავსებულია ინტერნეტ გვერდზე:

**www.caspiandevelopmentandexport.com**

ყველა დაინტერესებულ მხარეს მოგმართავთ თხოვნით, დანართის სახით მომზადებულ ანგარიშზე თქვენი შენიშვნები მიაწოდოთ პირდაპირ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 10 ნოემბრამდე.

ტურნირი

## გათამაშდა ნიაზ ძიაპშიპას თასი

„ქარიშხალას“ სპორტულ კომპლექსში დასრულდა ტურნირი მინიფეხბურთში, რომელიც თბილისის „დინამოს“ 50-იანი წლების გამორჩენილი ცენტრალური მცველის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ნიაზ ძიაპშიპას დაბადების 75 წლის იუბილეს მიეძღვნა. საპატიო თასისათვის იბრძოდნენ საქართველოს სამინისტროების, დეპარტამენტებისა და უწყებათა ნაკრები გუნდები. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო კანცელარიის ფეხბურთელები. ანგარიშით – 3:2 გაიმარჯვეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპორტსმენებმა, რომელებსაც საპატიო თასი ძიაპშიპას შვილმა – ომარმა გადასცა. მესამე ადგილი დაიკავა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გუნდმა.

საუკეთესო მეკარის პრიზი დაიმსახურა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გუნდის წევრმა ირაკლი მარგველაშვილმა. საუკეთესო მცველის პრიზი ხვდა სახელმწიფო კანცელარიის გუნდის წევრს დავით გურასპაშვილს. გამორჩეული ნახევარმცველის ჯილდო მიიღო ზაზა ქორიძემ, რომელიც იუსტიციის სამინისტროს გუნდში თამაშობდა.

საუკეთესო თავდამსხმელისა და ბომბარდირის პრიზი დაიმსახურა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრმა ზურაბ ანდრიაძემ. ასპარეზობის დებიუტანტებს მორის საუკეთესოდ ცნეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მინიფეხბურთელთა გუნდი. შეჯიბრების ყველაზე ტექნიკური გუნდის პრიზის მფლობელი გახდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კოლექტივი.

საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ განყოფილების გამგემ იროდი ბეჟაშვილმა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნაკრების მოთამაშეს სოსო ჯანიაშვილს გადასცა, ხოლო პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ ვალერიან რევიშვილმა ყველაზე ხანდაზმული მოთამაშის პრიზით დააჯილდოვა ზურაბ ანდრიაძე, რომელიც ფინანსთა სამინისტროს ნაკრები გუნდის ღირსებას იცავდა.

ნიაზ ძიაპშიპას ხსოვნის ტურნირი ტრადიციულად გაიმართება.

**შალვა ძორიძე.**

რეგიონი

## იური სიორიძის მემორიალზე

**ოზურგეთის ჭიდაობის სპორტულ დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა ცნობილი ფალავნის იური სიორიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა V ტრადიციული ტურნირი, რომელშიც 26 ქალაქისა და რეგიონის 80-ზე მეტი ახალგაზრდა ფალავანი გამოდიოდა. ასპარეზობა საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, დარიგდა უამრავი პრიზი და ფულადი ჯილდოები.**

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: 46 კგ – კახა დობორჯგინიძე (ოზურგეთი), 50 კგ – მალხაზ სოლომონიძე (ბათუმი), 54 კგ – ბესარიონ დვალიძე (თბილისი), 58 კგ – დავით ბედინაძე (ბათუმი), 63 კგ – ლაშა ლომაძე, 69 კგ – ლევან ზურაბიანი (ორივე ოზურგეთი), 76 კგ – აკაკი ჯოხაძე (მარტყოფი), 85 კგ – პაატა ზაქრაძე, 97 კგ – რამაზ დევაძე (ორივე – ბათუმი), 120 კგ – რევაზ ჭელიძე (ოზურგეთი).

**შოთა ბოკერია.**

ჭადრაკი

## ოლიმპიურ ბლედში



**სლოვენიის ქალაქ ბლედში 27 ოქტომბერს დაიწყო და 11 ნოემბერს დამთავრდება 35-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც 90 ქალთა და 134 ვაჟთა გუნდი მონაწილეობს. მათ შორის, ცხადია, საქართველოს წარგზავნილებიც არიან.**

ჩვენმა ქალთა გუნდმა პირველ ტურში კანადის ნაკრებს სძლია 2,5:0,5 (მაია ჩიბურდანიძემ ნაკა სთარს მოუგო, ნანა იოსელიანი საკმაოდ სუსტ მოჭადრაკეს დინა კახრამანოვას დაუზავდა, ხოლო ნინო ხურციძემ დინარა ხაზიუევა დაამარცხა). მეორე ტურში ჩვენებმა დანიელებს დააყრევინეს ფარ-ხმალი (ჩიბურდანიძემ, იოსელიანმა და ქეთევან არახამიამ, შესაბამისად, ნინა ნოიბერგს, ოქსანა ვოვკს და ლუიზა ფრედერიკს მოუგეს).

მესამე ტურში ჩვენებმა ამერიკელებთან წააგეს 1:2 (ჩიბურდანიძე და იოსელიანი, შესაბამისად, ირინე კრუშს და კამილა ბაგინსკაიტეს დაუზავდნენ, ხურციძე ელენა დონალდსონთან დამარცხდა).

კარგი სტარტი აიღეს ჩვენმა ვაჟებმა, პირველ ტურში მათ 4:0 მოუგეს ურუგვაელებს (წარმატებას მიაღწიეს ზურაბ აზმაიფარაშვილმა, ზურაბ სტურუამ, მიხეილ მჭედლიშვილმა და ბაადურ ჯობავამ).

მეორე ტურში ირლანდიის ნაკრებთან შეხვედრისას მეორე დაფაზე ბაადურ ჯობავა დამარცხდა, პარტიები მოიგეს აზმაიფარაშვილმა, ზვიად იზორიამ და მერაბ გაგუნაშვილმა.

მესამე ტურში აზმაიფარაშვილი და იზორია ბერძენ მეტოქეებს დაუზავდნენ, ხოლო სტურუამ და მჭედლიშვილმა ორი ქულა შესძინეს გუნდს.

სამი ტურის შემდეგ ქალებში 8 ქულით პოლონელები ლიდერობენ. მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ჩინელები, ამერიკელები და იუგოსლავიელები. საქართველოს ნაკრები 6,5 ქულით მეათე ადგილზეა. სამაგიეროდ, 10 ქულით ვაჟთა ნაკრებია მესამე ადგილზე, თუმცა, რუსეთის, პოლონეთის და კუბის ნაკრებებსაც 10-10 ქულა აქვთ.

გუშინ მე-4 ტურის ორთაბრძოლები გაიმართა.

**ლევსო ცინცაძე.**

ფეხბურთი

## 12 გუნდის მონაწილეობით

„ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა ჯუბა ჩუხუას მესამე ტრადიციული მემორიალი ფეხბურთში, რომელშიც 1991 წელს დაბადებულთა 12 გუნდი მონაწილეობდა. მთავარი პრიზი დაისაკუთრა „სპარტაკის“ კლუბმა, რომელმაც ფინალში დიდი ანგარიშით – 6:1 მოუგო „ოლიმპიკის“ თანატოლებს.

ჟიურიმ საუკეთესო მეკარის პრიზი გადასცა ტატო თოდრიას („ავაზა“), მცველისა – ნუგზარ ჭანკვეტაძეს („სპარტაკი“), ნახევარმცველისა – გიორგი მარგიანს („სპარტაკი“), თავდამსხმელისა – ოთარ მეუნარგიას („ავაზა“), შეჯიბრების ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელისა – გიგა ჩუბინიძეს („ოლიმპიკი“), ბომბარდირისა – გია შარაშენიძეს, საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული პრიზი ხვდა გიორგი მარგიანს („სპარტაკი“). გამარჯვებული გუნდები ჯუბა ჩუხუას ქალიშვილმა ნუცამ დააჯილდოვა.



**შოთა ჩოხელი.**

**სურათებზე:** ნუცა ჩუხუა აჯილდოებს გამარჯვებული გუნდის კაპიტანს გიორგი მარგიანს; „სპარტაკის“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი.

**რობერტ ბაგოიანის** ფოტო.



გვწერენ

## ჩვენი ალალი სურვილი

**ჭეშმარიტი მამულიშვილების და ამაგდარი ადამიანების ხვედრია – მათი საიუბილეო „მრგვალი“ თარიღები სხვადასხვა ადგილზე აღნიშნონ, დროშიც განავრცონ.**

...ქართული სპორტის თვალსაჩინო მოღვაწის **ვაჟა გვანცელაძის** 70 წლის საიუბილეო თარიღის შესახებ თქვენს გაზეთში რამდენიმე თვის წინათაც დაიწერა, მაგრამ ამჯერად ჩვენი კალათბურთის ოქროს ხანის წარმომადგენელს, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონს სხვა რაკურსით – უკვე როგორც სამედიცინო საზოგადოებრიობის შესანიშნავ პიროვნებას წარმოვაჩენთ.

ამას წინათ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ვაჟა გვანცელაძეს მისი დაბადებიდან 70 წლის აღსანიშნავად შეხვედრა მოუწყვეს და უამრავ დამსწრეთ – სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს უამბეს ამ ღირსეული ადამიანის სახელოვან სპორტულ თუ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობაზე.

სიტყვებით გამომსვლელებმა, მათ შორის – სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა რამაზ ხეცურიანმა, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ვაჟა გვანცელაძე ოთხ ათეულ წელიწადზე მეტია, რაც ზიდავს ექიმი თერაპევტის, მეცნიერის და გულისხმიერი პედაგოგის მძიმე და საპატიო ტვირთს. ამ ხნის განმავლობაში მან 70-ზე მეტი სამეცნიერო შრომა შექმნა, უამრავ სტუდენტს გაუკვალა გზა, პატიოსანი და მუხლჩაუხრელი შრომით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა სამეცნიერო და პედაგოგიურ წრეებში, იგი აირჩიეს სახელოვნებო აკადემიის ნამდვილ წევრად...



სპორტული ჟინით და მიზანსწრაფვით გამორჩეული ბატონი პროფესორი კვლავაც ენერგიულად შრომობს თავისი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ჩვენი ალალი სურვილია, კვლავაც დიდხანს, მრავალჟამიერ ედვაწოს წარჩინებულ სპორტსმენს, მეცნიერს და მოქალაქეს ვაჟა გვანცელაძეს.

**სულხან ძიმოკლიძე,**
აკადემიკოსი.

**სურათზე:** ვაჟა გვანცელაძე.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 8 ოქტომბრის № 1-3/721 ბრძანების თანახმად შპს „კალა“ აცხადებს ლიკვიდაციას.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მიაკითხოთ, მისამართზე: ჩიტაძის № 6, ტელეფონი: 98-94-33.

შპს „კალას“ დირექტორი ვ. გულბანი.
95-21-20.

## განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად შპს „სამთოელის“ მიერ წარმოდგენილია I კატეგორიის საქმიანობაზე:

ქ. ჭიათურაში, მანგანუმის გამამდიდრებელი მინიწარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

საპროექტო დოკუმენტაციების გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 17 დეკემბრამდე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრში, თბილისი, კოსტავას № 68 ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში, თბილისი, ფალიაშვილის № 87, ტ: 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2002 წლის 17 დეკემბერს, 12 საათზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.

## სს „თბილკრედიტბანკის“ სალიკვიდაციო კომისია საჯარო წესით მეხუთე აუქციონზე ყიდის:

1. კომპიუტერები მთლიანი კომპლექტაციით (უპს, პრინტერები);
2. რკინის კარადები;
3. სადეპოზიტო სეიფები;
4. სერვერი;
5. ატს და ტელეფონები (სისტემური და სხვა);
6. საოფისე ავეჯი;
7. ავტომანქანა გაზ-21061;
8. სიგნალიზაციის მოწყობილობა;
9. საკონფერენციო მაგიდა.

აუქციონი ჩატარდება 2002 წლის 6 ნოემბერს, 12 საათზე ბანკის იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №27.

განცხადების გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში აუქციონში მონაწილეობის მსურველები ვალდებულნი არიან გამოცხადნენ ს/ს „თბილკრედიტბანკის“ ოფისში (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №27), დარეგისტრირდნენ აუქციონის მონაწილეებად, გაეცნონ აუქციონის დებულებას, რომელიც მათ მოთხოვნისთანავე გადაეცემათ და აუქციონის სალაროში შემოიტანონ წინასწარი გადასახადი, რომელიც აუქციონში დამარცხების შემთხვევაში უკან დაუბრუნდებათ. ეს არ ვრცელდება გამარჯვებულ პირზე, რომელსაც შენატანი გამოექვითება საბოლოოდ გადასახდელი თანხიდან.

ოფისები, ფიზიკური პირები დაგვიკავშირდნენ ბანკის იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №27.

ს/ს „თბილკრედიტბანკის“ საკონტაქტო ტელეფონებია:
98-60-10
98-60-20
98-60-30.

საკონტაქტო პირი: მარიკა ბოცვაძე.

## განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად შპს „საქგვირაბმშენი და კომპანიას“ მიერ წარმოდგენილია II კატეგორიის საქმიანობაზე:

წალკის რაიონში, „ტიკმანთაშის“ ბეტონის მსუბუქი შემავსებლის საბადოს დამუშავების პროექტი.

საპროექტო დოკუმენტაციების გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 17 დეკემბრამდე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრში, თბილისი, კოსტავას № 68 ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში, თბილისი, ფალიაშვილის № 87, ტ: 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2002 წლის 17 დეკემბერს, 12 საათზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

**გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.**

## ცინცხალი ამბავი

ლონდონის „არსენალის“ ფორვარდმა დენის ბერგკამპმა აღიარა, რომ ქვეყნის პირველობაზე „ბლეკბერნთან“ შეხვედრისას ამ გუნდის მცველს ნილსენ-ერიკ იუჰანსონს შეგნებულად მიაყენა ტრავმა და ახლა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელთა წინაშე მოუწევს თავის მართლება, რათა არ მიიღოს დისკვალიფიკაცია.



ბერგკამპი აცხადებს, რომ მან ეს საქციელი ჩაიდინა იმიტომ, რომ მანამდე იუჰანსონი თავად ეუხეშა მას.



## ჩალაძის „პოკერი“

**სწორედ ასე ჰქვია ერთი ფეხბურთელის მიერ ერთ მატჩში გატანილ ოთხ ბურთს და ეს გააკეთა რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი დივიზიონის 33-ე ტურში ყაზანის „რუბინის“ თავდამსხმელმა, ქართველმა ლეგიონერმა დავით ჩალაძემ.**

მართალია, ყაზანელებს კარგა ხნის განაღდებული ჰქონდათ საგზური პრემიერ-ლიგაში, მაგრამ დივიზიონში პირველი ადგილი მაინც სათუო იყო. წარმატებული ფინიშის შედეგად, შეიძლება, მისთვის „ჩერნომორეცს“ გადაესწრო და ოქროს ჟეტონებსაც ის დაეუფლებოდა. და კიდევ, ტრავმის გამო „რუბინის“ ლიდერმა და დივიზიონის მთავარმა ბომბარდირმა დავით ჩალაძემ წინა მატჩი გამოტოვა და კამოლცევს „ჩერნომორეციდან“ წინ გაჭრის საშუალება მისცა.

ფინიშისწინა მატჩი „მეტალურგთან“ დიდი აღმავლობით ჩაატარეს როგორც „რუბინმა“, ისე ჩალაძემ.

ქართველმა ლეგიონერმა პირველი ტაიმის 16 წუთში ოთხი უპასუხო ბურთი გაიტანა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა, მეორე ტაიმში კი მისი მონაპოვარი კიდევ ერთი გოლით განამტკიცა კოვალენკომ – 5:0.

ჩალაძემ უმაღლესი შეფასება – 6,5 დაიმსახურა. მატჩში მონაწილეობდა მეორე ქართველი ლეგიონერიც – ჯელაძე – 5,5.

ჩვენებურმა 20 გატანილი ბურთით მთავარი სნაიპერის ტიტული დაიბრუნა (კამილცევის ანგარიშზეა 18 გოლი), „რუბინმა“ კი ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ პრემიერ-ლიგას“ ღირსეული წევრი შეემატა.



**ქარიშხალმა, კვირას დასავლეთ ევროპას რომ გადაუარა, ჩაშალა ორი საფეხბურთო მატჩი ჰოლანდიაში, ხოლო ერთი ბელგიაში, მას ხელი არც ლონდონისათვის დაუკლია, ქარისაგან წაქცეულმა ხემ ფეხბურთის კარი დაანგრია ერთ-ერთ სტადიონზე.**

## უმნიშვნელო ცვლილებებით

**გამოქვეყნდა** მსოფლიოს უძლიერესი პროფესიონალი ჩოგბურთელების საუკეთესო ოცეულების რეიტინგი 29 ოქტომბრისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ ქალთა განლაგებაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

წლევანდელი შედეგების მიხედვით, კვლავ ლიდერობენ ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), ანდრე აგასი (აშშ) და მარატ საფინი (რუსეთი), 52-კვირიანი რეიტინგით კი „შესანიშნავი სამეული“ დატოვა მარატ საფინმა და მისი ადგილი ესპანელმა კარლოს ფერერომ დაიკავა.

ასევე უცვლელია „სუსტი სქესის“ ლიდერთა სამეულიც. მას კვლავინდებურად ამერიკელები – დები სერენა და ვინუს უილიამსები, აგრეთვე, ჯენიფერ კაპრიატი წინამძღოლობენ.

## ცემა-ტყეპა ვარშავაში

**მასობრივი არეულობა ახლდა ვარშავის სტადიონზე „ლეგიასა“ და „ვიძევის“ მატჩს. 75-ე წუთზე, როცა მასპინძლები იგებდნენ – 1:0, ორივე კლუბის ასობით გულშემატკივარმა ღობე გადაანგრია და მინდორზე შეიჭრა.** „ლეგიის“ კაპიტანი ცეზარ კუხარსკი ამაოდ ცდილობდა ხულიგნების დამშვიდებას, მაგრამ თავზეხელაღებული ბრბო მხოლოდ პოლიციის ხელჯოხებისა და ცივი წყლის ჭავლის გამოყენების შემდეგ „მოარჯულეს“.

თამაში მხოლოდ 20 წუთის შემდეგ განახლდა. დაშავდა რამდენიმე ფეხბურთელი, თავი დაუზიანდა „ლეგიას“ იუგოსლაველ მწვრთნელს დრაგომირ ოკუკას. „ვოისკო პოლსკოგოს“ სტადიონი სავსეა დამტვრეული სავარძლებითა და ღობეთა ნამსხვრევებით.

„ლეგიას“ დიდი ჯარიმაც მოელის და, შეიძლება, სტადიონის დახურვაც. ვარაუდობენ, რომ მატჩი უეფას თასზე „მალქესთან“ ხუთშაბათს სხვა სტადიონზე...

**სპორტის რედაქცია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 264, ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი, 2002 წელი.

### ალბომში

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



1982 წლის აპრილი: სამხარეთმცოდნეო ექსპედიცია ზემო ამაღლების იოანე ნათლისმცემლის მონასტერში. მარცხნიდან: რევაზ თედორაძე (ჩოხატაურის კულტურის განყოფილების გამგე), ოთარ (ოტია) კალანდაძე (ჩოხატაურის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის დირექტორი), იური შაქარიშვილი (ფოტოჟურნალისტი), იური სიხარულიძე (აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი, პროფესორი).

მოგვაწოდა ლაურა გიორგაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

### დედაქალაქი

## მშრალი ხიდი — ჯოვანი სკუდიერის უკვდავების სიმბოლო



იტალიის ელჩი მიქელანჯელო პიპანი მემორიალის გახსნაზე.

**უპრეტენზიო მოსაწვევი იუწყებოდა: არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის მემორიალური დაფის გახსნასთან დაკავშირებით, იტალიის ელჩს მიქელანჯელო პიპანს პატივი აქვს მოგიწვიოთ ინაუგურაციის ცერემონიაზე. მშრალი ხიდი, 2002 წლის 28 ოქტომბერი.**

თბილისობის, — წლეულს გამორჩეულად საქმიანი და ნაკლებად პომპეზური სახალხო დღესასწაულის თავისებურ გაგრძელებად აღიქმებოდა იტალიელი არქიტექტორის ჯოვანი სკუდიერის პროექტით საუკუნენახევრის წინათ შექმნილი მშრალი ხიდის ხელახლა „დაბადება“. საქართველოში იტალიის საელჩომ საზეიმოდ გახსნა მემორიალური დაფა, რომელიც ლამაზად არის მიმაგრებული ხიდის მყარ მოაჯირზე და ორ ენაზე გვამცნობს: ხიდი აგებულია 1848-51 წლებში. არქიტექტორი ჯოვანი სკუდიერი.

მემორიალური დაფის ავტორია ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატი თამაზ გერსამია. მანვე მოიძია საქართველოში იტალიელ არქიტექტორთა მოღვაწეობის მეტნაკლებად ხელმისაწვდომი ფურცლები.

იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში მიქელანჯელო პიპანმა 28 ოქტომბერი შეაფასა როგორც ახალი ფურცელი იტალიისა და საქართველოს მეგობრული ურთიერთობის ისტორიაში და დასძინა: საქართველო მაშინაც ისწრაფვოდა ევროპული კულტურისკენ და რა სასიამოვნოა, რომ ახლა, ოცდამეერთე საუკუნეში ის მთლიანად დასავლეთზე, მის ცივილიზაციაზე ორიენტირებული სახელმწიფო გახდა. იტალიელებს გვიყვარს ლამაზი, კოლორიტული, დიდი წარსულის მქონე ქვეყანა და ყველაფერს გავაკეთებთ მისი მშვიდობიანი გზით განვითარებისთვის, მასთან მეგობრობის განმტკიცებისთვის.

არქიტექტორმა თამაზ გერსამიამ მოკლედ გააცნო მშრალ ხიდზე შეკრებილ თბილისელებს და დედაქალაქის სტუმრებს იტალიელი არქიტექტორის დაუვიწყარი ნამოღვაწარი. აი, რამდენიმე შტრიხი მისი მონათხრობიდან:

ჯოვანი-ბატისტა სკუდიერი 1816 წელს დაიბადა იტალიის ქალაქ ლუგანოში. დაამთავრა უმაღლესი სამეფო-საიმპერატორო სასწავლებელი. განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა არქიტექტურისადმი. 1837 წელს ჩამოვიდა რუსეთში. 30 წლის ასაკში საქართველოს მეფისნაცვალმა, თავადმა ვორონცოვმა თბილისში მოიწვია და საქალაქო არქიტექტურის ერთ-ერთ აღმსრულებლად დანიშნა, მალე ის მეფისნაცვლის კანცელარიის არქიტექტორი გახდა. მისი პროექტით აშენდა მიხაილოვის სახელობის ხიდი მტკვარზე (შემდეგში ვორონცოვის, კომუნისტების ხანაში, რეკონსტრუქციის შემდეგ, მარქსის სახელობის ხიდი), ამიერკავკასიაში პირველი თეატრალური შენობა თავისუფლების მოედანზე, რომელიც შემდეგ ხანძარმა დააზიანა და 1930 წელს მოედნის გაფართოების მიზნით დაანგრიეს, აგრეთვე, რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, პოლიციის ერთსართულიანი შენობა, რომელიც მერე დედაქალაქის აღმასკომის და მერიის ოფისად გარდაიქმნა. სამწუხაროდ, 35 წლის იტალიელი არქიტექტორი სამხედრო ტაძრის მშენებლობის დროს მოულოდნელად ჩამოქცეულმა თაღმა შეიწირა. დაკრძალეს მთაწმინდის ფერდობზე. მისი საფლავი დაკარგულია. სურათიც კი არ შემორჩა. მასი პროექტით აგებულ თეატრში 1851 წლის ბოლოს პირველი იტალიური საოპერო წარმოდგენა გაიმართა. აი, როდიდან იწყება იტალია-საქართველოს სისხლსავსე კულტურული ურთიერთობა.

პირვანდელი სახით დედაქალაქს შემორჩა მხოლოდ მშრალი ხიდი, რომელიც მაშინ (და დღესაც) თამამი იტალიური არქიტექტურული სტილის ნიმუში იყო და არის.

იტალიის ელჩმა და მასპინძლებმა ფარდა ჩამოხსნეს მემორიალურ დაფას. ამიერიდან ჩვენს ახალგაზრდობას და მომავალ თაობებს ეცოდინებათ, რომ მშრალი ხიდი ყველაზე ძველი ხიდია თბილისში და მისი შემქმნელია იტალიელი არქიტექტორი ჯოვანი სკუდიერი.







ასე გამოიყურება დღეს დედაქალაქის უძველესი ხიდი.

**სპარტაკ ქობულია.**

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**

### გვწერენ

## როცა არ იცი, იკითხე მაინც

ბოლო ათწლეულში ბევრი რამ შეიცვალა ქართველ მეცნიერთა ცხოვრებაში. მძიმე გამოცდა მოუწყო დრომ მათ ერთგულებას არჩეული საქმისადმი. და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ბევრს არ მიუტოვებია „პრესტიჟდაკარგული“ პროფესია, არ უძებნია უფრო მომგებიანი საქმე. ერთგულებით, თავგამოდებით იღწვის თავის დარგში და, რაც ყველაზე სასწაულებრივია, ცივილიზებულ-გალაღებული სამყაროს პირისპირ, არცთუ იშვიათად, წარმატებულადაც... ჩემი ღრმა რწმენით, ასეთ მოღვაწეთა შორის, უდავოდ გამორჩეულია აკაკი ჩხაიძე...

მე უნივერსიტეტელი მათემატიკოსი გახლავართ, — მათემატიკური სტატისტიკის სპეციალისტი. ბოლო წლებში საქართველოს რკინიგზის სტატისტიკისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახურში საშუალება მქონდა მემუშავა „სარკინიგზო ტერმინების“ შედგენაზე, წიგნი წლეულს დაისტამბა ბატონ აკაკი ჩხაიძის რედაქტორობით. ამიტომ, როგორც რიგითი მოქალაქე, მეცნიერი და „რკინიგზელი“ თავს უფლებას ვაძლევ ჩემი მოსაზრებები გამოვთქვა 26 ოქტომბერს „რუსთავი-2“-ის ეთერში გადაცემული ჟურნალისტური „გამოძიების“ შესახებ.

მართალია, აშკარად დაქვეითდა ჩვენი ახალგაზრდობის ზოგადი და პროფესიული განათლების დონე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობას თავს მოახვიონ ვიღაცისთვის სასურველი ინფორმაცია. ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არიან თაობები (და საბედნიეროდ ჯანსაღი აზროვნების ახალგაზრდებიც), რომლებიც ასეთ აკვიატებულ პოზიციას ბრმად არ ეყრდნობიან.

დარწმუნებული ვარ „რუსთავი-2“-ის ზედმეტად თავდაჯერებული ჟურნალისტებიდან ერთს მაინც რომ ენახა დილის 9 საათიდან 18 საათამდე როგორ მუშაობენ რკინიგზის დეპარტამენტის თანამშრომლები, მათი ხელმძღვანელები და გენერალური დირექტორი, აუცილებლად დაფიქრდებოდნენ აღნიშნული გადაცემის კორექტულობაზე, მასში მოყვანილი „ფაქტების“ ჭეშმარიტებაზე...

რა ლოგიკით უპირისპირებენ ერთმანეთს ამერიკაში სამოვარზე გადახვეწილ, თუნდაც წარმატებულ ბიზნესმენს საქართველოს რკინიგზის გენერალურ დირექტორს?

მინდა ვაცნობო მათ, რომ აკაკი ჩხაიძე ამერიკის შეერთებული შტატების სარკინიგზო-სამეცნიერო წრეების მიერ აღიარებული და დაფასებული მეცნიერია!

განსაკუთრებით აღსანიშნავია რკინიგზის ხელმძღვანელობის ზრუნვა თანამშრომლებისადმი, უწინარესად, ვეტერანებისა და ახალგაზრდებისადმი. გამორჩეულთათვის არის პრემიებიც.

ახსოვთ კი „რუსთავი-2“-ის თანამშრომლებს, რა მდგომარეობაში იყო ქართული ეკონომიკის ხერხემალი — რკინიგზა 1995 წლამდე? არაფერი შეცვლილა? თუ არ იციან, იკითხონ მაინც.

რა თქმა უნდა, იმის იმედი არა მაქვს, რომ „რუსთავი-2“-ის „გამომძიებელი ჟურნალისტები“ ბოდიშს მოიხდიან გენერალური დირექტორის, ან მაყურებლის წინაშე. ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ ეს წერილი ოდნავ მაინც დააფიქრებს მათ.

ხომ მოგეხსენებათ, ერთი ბრიყვის დასმულ შეკითხვას ასი ბრძენიც ვერ უპასუხებსო. ეს, სწორედ ის შემთხვევაა.

**როლანდ ტყებუჩავა,**
**თსუ-ს პროფესორი.**

## რატომ გაუქმდა შეღავათები?

ამ შეკითხვაზე, ალბათ, ხელისუფლებამ უნდა გვიპასუხოს. გავიგე, რომ 2002 წლის აპრილში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის ელექტროენერგიაზე დაწესებული შეღავათები გაუქმდა და საქართველოს პარლამენტს დაევალა გარკვეულ ვადებში პრობლემის მოგვარება. დღესდღეობით სახელმწიფოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღია. სამწუხაროდ, „ეი-ი-ეს თელასიც“ არ კისრულობს სახელმწიფოს ნაცვლად სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის შეღავათიან მიწოდებას. არადა, ჩემს გაჭირვებულ ყოფას ეს შეღავათი ძალზედ წაადგებოდა. იქნებ, საქართველოს პარლამენტმა დროულად იმსჯელოს ამ საკითხზე და სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ელექტროენერგიის საფასურზე რაღაც შეღავათი დაგვიწესოს.

**ვასილ ჩხეიძე,**
**ომის ვეტერანი.**

### ღიმილის დოზა



**კრიმინალური ქრონიკა:**
1 იანვრის ქუჩაზე მილიციამ კაცის გვამი იპოვა. ორი დღე გავიდა, მაგრამ ვერ ამოიცნეს. გამდიდრდება.

* * *

— რა განსხვავებაა ბავშვსა და ქმარს შორის?
— პრინციპულად არავითარი, მაგრამ ბავშვი შეგიძლია ახალგაზრდა ძიძას დაუტოვო, ქმარი — არა.

* * *

**ტესტების** მოყვარულთათვის:
სიტყვები, რომელთა თქმაც მთვრალ კაცს **გაუჭირდება**: სოციოლოგია. ლაპლანდია. ნეოკოლონიალიზმი. ჯავახარლალ ნერუ.
სიტყვები, რომელთა თქმაც მთვრალ კაცს **ძალიან გაუჭირდება**: გიბრალტარი. გაუვრცელებლობა. დისპანსერიზაცია. ტრაბეკულოტომია.
სიტყვები, რომელთაც სიმთვრალეში საერთოდ ვერ წარმოთქვამთ: ნუ გაიხდი, არ მომწონხარ! საღამო მშვიდობისა, ამხანაგო სერჟანტო, მადლობელი ვარ, რომ გამაჩერეთ. არა, არ ვიმღერებ, მაინც არავინ მისმენს. მეტს ნულარ დამისხამ!

* * *

**პატარა ბიჭი** მამას ეღრიჯება:
— მამი, მიყიდე ნამდვილი ავტომატი!
— გაგიჟდი?
— არ გავგიჟდი, მიყიდე ნამდვილი ავტომატი!
— გაჩუმდი, თორემ გავბრაზდები.
ბიჭი არ გაჩუმდა და მამამ წაუთაქა:
— აი შენ ავტომატის ნაცვლად. და, საერთოდ, ვინ არის აქ უფროსი?
— შენ, — უპასუხა ატირებულმა ბიჭმა, — აი, ავტომატი რომ მქონდეს...

* * *

**საოპერაციო** ოთახი. გამოცდილი ქირურგი ახალბედას ჭკუას არიგებს:
— სკალპელი ძალიან არ დააჭირო, მაგიდას გაჩხაპნი.

* * *

**მედდა** ავადმყოფს ურჩევს:
— თუ გინდა ექიმს პატივი სცე, ოპერაციამდე გააკეთე. მერე გვიან იქნება.

* * *

**ექიმო**, პაციენტი მე-11 პალატიდან გონს მოეგო.
— რა თქვა?
— ძალიან ცუდად ვარო.

* * *

— **ექიმო**, თქვენმა გამოწერილმა წამალმა მიშველა.
— რა გითხრათ, ხდება ხოლმე...

### გაბზარული სარკე

## «არა მეფეა კანონი, არამედ კანონია მეფე!»

თაღლითობის ახალი ვირუსი თბილისში 90-იანი წლების მიწურულს გავრცელდა. ხანგრძლივი შრომისათვის კომუნისტებისაგან 3-4-ოთახიანი ბინებით დაჯილდოებულმა ინტელიგენციამ თავის გადასარჩენად მასობრივად იწყო საცხოვრისის გაქირავება და ახლობლებთან შეხიზვნა. ნაძირალა მდგმურებმაც, ჯიბეუძირო ნოტარიუსთა წყალობით, მასობრივად იწყეს მათი გაყიდვა, ფულის ჩაჯიბვა და მიმალვა. ერთმანეთის პირისპირ რჩებოდნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული კეთილსინდისიერი მყიდველები და უბინაოდ დარჩენილი მეპატრონეები.

ლუდოვიკო ხუჭუამ კი ამ კატეგორიის დანაშაულში „ჰუმანიზმის“ ელემენტები შეიტანა. ანზორ კუკავას ფართო, ნათელი, მაღალჭერიანი ბინა გასაყიდად როდი გაიმეტა. მართალია, თავისი სეხნია — საძინებელი გარნიტური აითვალწუნა, მაგრამ მაინც ღირსეულად შეაფასა და ახალ, საიმედო პატრონს გადაულოცა.

ნებიერობდა მდგმური. დღისით სატელეფონო საუბრებით ირთობდა თავს, საღამოს კი ნავაჭრი ფულით რესტორნებში გრიალებდა. აღარც მაცივარი სჭირდებოდა, აღარც ტელევიზორი და ორივე თავიდან მოიშორა. მერე ანტიკვარულ კედლის საათს, სერვიზებსა და სხვა ნივთებს შეუჩნდა, გასაყიდი რომ აღარაფერი დარჩა, დაჰკრა ფეხი და რამდენიმე თვის ქირისა და სატელეფონო საუბრებისათვის დაგროვილი 1000 ლარის გადაუხდელად ახლა „ლუდოვიკო II-ს“ მიადგა. აქ კი „დაცვამ“ იმარჯვა, მდგმურის ნიღაბს ამოფარებული თაღლითი „განაიარაღა“ და პოლიციას ჩააბარა.

ძველი და ახალი ცოდვები რომ აღიარა, გაყიდული „ლუდოვიკოს“ პატრონიც გამოჩნდა, რომელმაც გამყიდველი ლუდოვიკოს ბიოგრაფიის გაცნობისას თავის გულუბრყვილობაზე მწარედ იცინა. ძარცვისა და ყაჩაღობისათვის ორჯერ ნასამართლევმა საძინებელი გარნიტურის, მაცივრის, ტელევიზორის, კედლის საათისა და სხვა საოჯახო ნივთების მოპარვა არ უარყო, მაგრამ ფასებში მათ თავდაპირველ მესაკუთრეს ვერ შეუთანხმდა და ვაჭრობა დაუწყო, — ეგ შენი ქეციანი საძინებელი 300 ლარზე მეტი არ ღირდა, დანჯღრეული მაცივარი და ტელევიზორი, ჰა, ჰა, 75 ლარისა თუ იქნებოდაო.

— რა გვეშველება, რაც გადავიხადეთ, იმდენ ფულს ვინ დაგვიბრუნებსო? კეთილსინდისიერი მყიდველების ამ კითხვას ვაკესაბურთალოს რაიონულმა სასამართლომ უპასუხა. განაჩენი შემდეგ გარემოებებსა და მოსაზრებებს დაემყარა: ლ. ხუჭუას დანაშაულებრივი განზრახვა თავიდანვე მიმართული იყო მოტყუებითა და ნდობის ბოროტად გამოყენებით დაუფლებოდა სხვის ქონებას. მისი ქმედება შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. სასაქონლო ექსპერტიზამ დაადგინა თაღლითური გზით გატაცებული ნივთების ღირებულებაც.

მსჯავრდებულმა თბილისის საოლქო და უზენაესი სასამართლოებიააწრიალა — ზარალის ოდენობა არასწორად არის განსაზღვრული და სასჯელის ღონისძიებაც ნამეტანი მკაცრიაო.

თემიდას ქურუმებმა კი იცოდნენ, ნათელი, ფართო კეთილმოწყობილი ბინიდან 4 წლით 4 კვადრატულ მეტრ საკანში გადასვლას მისი უდიდებულესობა — ლუდოვიკო ოვაციებით რომ არ შეხვდებოდა, მაგრამ რას იზამ, — „არა მეფეა კანონი, არამედ კანონია მეფე!“

**ლეილა კოშკაძე.**

### ხიდები

## სასიხარულო და საამაყოც ბევრი რამ ხდება

**წლეულს სექტემბერში ესპანეთის ქ. პალმაში ჩატარდა კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის მორიგი სხდომა. აკადემიაში 43 ქვეყანაა გაწევრიანებული, როგორც კავშირგაბმულობის ადმინისტრაციები, ასევე ამ დარგის წამყვანი სპეციალისტები, ისინი, ვინც საერთაშორისო კავშირგაბმულობის სისტემაში ქმნის და ნერგავს ახალ მიმართულებებს და ამავე დროს განსაზღვრავს მომავლის სამოქმედო გეგმებს. აკადემია გაეროს, ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ასოცირებული წევრია.**

აკადემია როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია დაფუძნდა ქ. მოსკოვში 1996 წლის მარტში. იგი სრულიად ახალი სტრუქტურაა საერთაშორისო თანამეგობრობაში და მიზნად ისახავს კავშირგაბმულობის განვითარებისათვის მსოფლიო საზოგადოების პოტენციალის ინტეგრირებას.

კავშირგაბმულობის განვითარება უშუალო კავშირშია ისეთ სფეროებთან, როგორიცაა პოლიტიკა, ეკონომიკა, მედია, სამხედრო თუ სოციალური სფერო, ტექნოლოგიური პროცესები. გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში წარმატებით გადასასვლელად აუცილებელია ამ პრობლემის დროულად და სწორად მოწესრიგება.

საქართველოში შექმნილია ამ აკადემიის განყოფილება, რომლის წევრები არიან გია არსენიშვილი, ფრიდონ ინჯია, ნოდარ ხარატიშვილი, ჯემალ ბერიძე, ოთარ ჟუმბურიძე, სერგო ესაკია, გურამ ხმალაძე, გიორგი გაბესკირია. საქართველოში კარგად ნაცნობმა უმაღლესი რანგის ამ მეცნიერებმა აღნიშნული აკადემიის დაფუძნებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

ქ. პალმაში გამართულ სემინარში კი სამი ქართველი მეცნიერი მონაწილეობდა: ფრიდონ ინჯია, სერგო ესაკია და გიორგი გაბესკირია. აქ წამოიჭრა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: „დასავლეთის წამყვანი ქვეყნების კრიზისი ტელეკომუნიკაციის სფეროში“, „ბიზნესსტანდარტები“, „სატელეკომუნიკაციო შეღწევადობის ბოლო მილის (წერტილი) პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის საკითხები“ და სხვა.

სემინარზე მოხსენებით — „საქართველოში ფართო მოცულობის მიკროტალღოვანი სისტემის ტელესაკომუნიკაციო ქსელების აგების, განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ“ — გამოვიდა გიორგი გაბესკირია, რამაც სამეცნიერო წრეებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

ბატონმა გიორგიმ ჩვენთან საუბარში განაცხადა: „ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, ყველაზე სასიხარულო ის გახლავთ, რომ თვალნათლივ დავინახე, რა გულთბილი დამოკიდებულება აქვთ აკადემიის წევრებს საქართველოს მიმართ. სემინარის მონაწილენი ერთგვარად ბოდიშს იხდიდნენ იმ დაძაბულობის გამო, რაც რუსეთის პოლიტიკურმა წრეებმა შექმნეს რუსეთ-საქართველოს საზღვარზე“.

აკადემია ეწევა აქტიურ საგამომცემლო საქმიანობასაც — რეგულარულად გამოიცემა ჟურნალი „კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიური შრომები“, ცალკეული წიგნებიც, რომლებშიც ძირითადად ყურადღება ეთმობა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს. თემატიკა ფართოა: პროგნოზირება, ტექნიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური და ფინანსური ასპექტები, მობილური სისტემის განვითარების პრობლემები, ინტერაქტიური მომსახურება.

ქართულ მასმედიაში, მართალია, ხშირად გაისმის ჩვენი დუხჭირი და გამრუდებული ცხოვრების შესახებ, მაგრამ დაკვირვებული, მონდომებული და რწმენიანი თვალი უსათუოდ აღმოაჩენს დადებითს, სასიხარულოს და საამაყოსაც ჩვენი ქვეყნისათვის. ასეთად მივიჩნევთ აკადემიის სემინარზე კავშირგაბმულობის ქართველი, მაღალი რანგის სპეციალისტების მონაწილეობას.

**მარინე მაჩაბელი.**

გაიხსნა
მთავარი
სამხედრო
პროკურატურის
ვებგვერდი,
რომლის მისამართია:
www.mmpg.ge
კითხვებისთვის
და დამატებითი
ინფორმაციისთვის მოგვმართეთ შემდეგ
ელფოსტის მისამართზე:
info@mmpg.ge

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

### გახსენება

## ნოდარ ხუბულავა

ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა, რაც ჩვენს შორის აღარ არის ნოდარ ხუბულავა, ალალ-მართალი, პატიოსნებით სავსე, უღალატო და მადლიანი ქართველი კაცი, დიდი ოჯახის ბურჯი, რომელიც უშურველად გასცემდა სითბოს.

დიდ სევდას და სიყვარულს იტევდა მისი გული და ალბათ, ამიტომაც ვეღარ გაუძლო, ვეღარ მოესწრო თავის აფხაზეთში, თავის სოხუმში დაბრუნებას კაცი, რომელსაც ცხრა წლის განმავლობაში ყოველი დილა ამ ოცნებით უთენდებოდა.

შენ, სიკეთით სავსე ადამიანო, შენი ოცნებით მუდამ ჩვენს გვერდით იქნები და გაგვაძლებინებ ამ გაუსაძლის წუთისოფელში.

**კოტე აბულაძის ოჯახი.**

ვაჟა დანელია ოჯახით თანაუგრძნობს ქალბატონ მანანა კობახიძეს დის

მიმოზა კობახიძის

გარდაცვალების გამო.



პროფ. ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, საქ. კ. ვეფხვაძის სახელობის ონკოლოგთა და გინეკოლოგ-ონკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოება მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქიმიოთერაპევტი, გამოჩენილი ონკოლოგი, ბრწყინვალე მეგობარი და შესანიშნავი პიროვნება

სვეტლანა კონსტანტინეს ასული
სპირინა

პანაშვიდი 31 X, 1 XI, 4 სთ. გამოსვენება 2 XI, 2 სთ. ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №31 (ყოფილი ათარბეგოვის №31).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანატი და რუსეთის ისტორიის კათედრა თანაუგრძნობს ია ჩიჩუას დედის

ლიდა ჩიჩუას

გარდაცვალების გამო.

### ხსოვნა



## გივი ხაჭაპურიძე

მშენებელთა რიგებს გამოაკლდა ღირსეული მოქალაქე და მეოჯახე, ღვაწლმოსილი მშენებელი, სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენის“ მთავარი სპეციალისტი **გივი პავლეს ძე ხაჭაპურიძე.**

იგი დაიბადა 1928 წელს ქ. თბილისში, 1945 წელს დაამთავრა ქ. თბილისის №1 საშუალო სკოლა, ხოლო 1951 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

ბატონმა გივიმ შრომითი საქმიანობა დაიწყო საკავშირო საპროექტო ინსტიტუტში „ჰიდროენერგოპროექტი“, სადაც იმუშავა თითქმის 10 წელი და აქტიური მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დაპროექტებაში, რომელთაგან ყველაზე აღსანიშნავია ჰიდროელექტროსადგური „ენგურჰესი“.

1961 წლიდან ბატონი გივი საქართველოს მშენებლობის სამინისტროს სისტემაში იწყებს მუშაობას და 1968 წლამდე იგი სხვადასხვა დროს იყო ამავე სამინისტროს საწარმოო, მატერიალური რესურსების, სახარჯთაღრიცხვო-სახელშეკრულებო განყოფილებების უფროსი და №2 სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილე.

1968 წელს იგი ინიშნება საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ტრესტის „მშენკომპლექტის“ მმართველად, ხოლო შემდეგ – 1972 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალური სამუშაოების მთავარი სამმართველოს „საქმთავარსპეცმონტაჟმშენი“ ტრესტის „საქსანტექმონტაჟის“ მმართველად და მთავარი სამმართველოს კოლეგიის წევრად.

1976 წლიდან ბატონი გივი მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-საწარმოო, სამონტაჟო გაერთიანების „თბილქალაქმშენის“ უფროსის მოადგილეა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში და ამ თანამდებობაზე მან წარმატებით იმუშავა 19 წელი.

1995 წლიდან იგი სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენის“ მთავარი სპეციალისტია.

ყველგან, სადაც კი უმუშავია ბატონ გივის, იგი ხასიათდებოდა როგორც გულისხმიერი, ყურადღებიანი, ენერგიული, საქმისადმი ერთგული და პროფესიონალი ადამიანი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამრეწველო, სამოქალაქო, საბინაო და კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მშენებლობისა და სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების საქმეში.

წავიდა ჩვენგან ღირსეული მოქალაქე და საუკეთესო მეოჯახე, შესანიშნავი მეგობარი და ღვაწლმოსილი მშენებელი ბატონი გივი პავლეს ძე ხაჭაპურიძე, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება თანამშრომლების, ახლობლებისა და მეგობრების მეხსიერებაში.

**საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო;**
**სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შ ეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭელია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
როლანდ ბასილაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.